საქართველოს რკინიგზა სტატუსს იცვლის და პარტნიორებს ეძებს A4

იუმორი B4-B5

ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 7 ოქტომბერი, 2002 წელი. №127

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### საპარლამენტო პრეისკურანტში დიდი ცვლილებების შეტანის დრო ჯერ არ დამდგარა

თუ ამ კვირის პარლამენტის პლენარული სხდომების დღის წესრიგს ერთი თვის წინანდელს შეადარებთ, გაოცებული აღმოაჩენთ, რომ ისინი თითქმის იდენტურია.

A3 გვერდზე

## უცხოეთი

### მასობრივი დემონსტრაცია ბაქოში

აზერბაიჯანის ოპოზიციამ, რომელიც თავისი გათიშულობით უფრო მეტადაა ცნობილი, ვიდრე თავისი რადიკალიზმით, როგორც იქნა, მოახერხა ერთობლივი აქციის ჩატარება - პრეზიდენტის გადადგომის თხოვნით.

A5 გვერდზე

## საზოგადოება

### დაუჯერეთ ჩინელებს

ჩინელებს თუ დავუჯერებთ - გაჭირვებული ადამიანი იცინის მაშინ, როცა დასაკარგი აღარაფერი აქვს. საქართველოს მოსახლეობა სწორედ ასეთ დღეშია. მან ყველაფერი დაკარგა, იმედის ჩათვლით, და ახლა გულიანად იცინის, რადგან ხელისუფლება ანაზღაურების გაზრდას ჰპირდება.

A6 გვერდზე

## სამართალი

### აფხაზეთის სინდრომი ზოგიერთ ლტოლვილს დანაშაულისკენ უბიძგებს

ბოლო პერიოდში კატასტროფულად გახშირდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მოქალაქეთა მხრიდან განზრახ მკვლელობის ფაქტები, რაც სამართლებრივის გარდა, წმინდა ფსიქოლოგიურ პრობლემასაც წარმოადგენს. ამიტომ კომენტარი ფსიქოლოგ **ნანა ჩაჩუას** ვთხოვეთ.

A7 გვერდზე

## თვალსაზრისი

### პოლიტიკური პანორამა

იმ პროცესებში, რომელთა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ, თავად ედუარდ შევარდნაძე არსად გამოჩნდება. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტი არ მოქმედებს და მშვიდად ელოდება, როდის მიადგება ხალხი, სახალხო ლიდერთან ერთად, სახელმწიფო კანცელარიის შენობას და პირადად მის გადადგომას მოითხოვს.

A8 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 24 | ☼ |
| ქუთაისი | 27 | ☁ |
| ბათუმი | 26 | ☁ |
| სოხუმი | 27 | ☁ |
| ფოთი | 27 | ☁ |
| თელავი | 23 | ☼ |
| ზუგდიდი | 28 | ☁ |
| გორი | 21 | ☼ |
| ახმეტა | 23 | ☼ |
| ჭიათურა | 24 | ☼☁ |
| გაგრა | 27 | ☁ |
| სამტრედია | 27 | ☁ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1800 |
| ევრო | 2.1057 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3448 |
| რუბლი | 0.0689 |

# დროებითი ზავი



REUTERS

შეხვედრის მთავარი შედეგი - რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრები თბილისში ითამაშებს.

*საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებმა კიშინიოვის შეხვედრის შემდეგ ერთმანეთის მისამართით თბილი სიტყვები არ დაიშურეს. მათ ერთმანეთის რეპუტაცია გადაარჩინეს. გადარჩება თუ არა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებიც?*

შოთა უტიაშვილი

დღეს დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების სამიტი იმართება. დღესვე რუსეთის პრეზიდენტი თავის 50 წლის იუბილეს აღნიშნავს და საჩუქრებს ელის. მადლიერმა ქვეშევრდომებმა თავის ბრძენ ლიდერს მონომახის ქუდის ზუსტი ასლი აჩუქეს. რამდენიმე თვის წინ ოქროსა და ძვირფასი თვლებისაგან დამზადებული ქუდი 10 მილიონ დოლარად დააზღვიეს. თურქმენეთის პრეზიდენტმა თავის რუს კოლეგას ხელით ნაქსოვი უზარმაზარი ხალიჩა უძღვნა. პუტინს საჩუქარს დაჰპირდა ედუარდ შევარდნაძეც.

შევარდნაძის საჩუქარი ყველაზე ორიგინალური იყო: მან რუს კოლეგას 5 ჩეჩენი ბოევიკი მიართვა. ამასთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტი თავის რუს კოლეგას დაჰპირდა, რომ საქართველოს სასაზღვრო სამსახურს დაავალებს რუს კოლეგებთან თანამშრომლობის განმტკიცებას, "საზღვრის ერთობლივი პატრულირების ჩათვლითაც კი".

"ჩვენ არ გამოვრიცხავთ ორი ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლობასაც, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა, - რაც ყველაზე მთავარია, საქართველოსა და რუსეთს განზრახული აქვთ, გადაჭრან მთავარი პრობლემა – დაიწყონ ეფექტური თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ".

შეხვედრის შედეგებით კმაყოფილმა პუტინმა გადაწყვიტა, თავისი წარმატების შესახებ ჟურნალისტებისათვის დაუყოვნებლივ ეუწყებინა. ჩვენი ურთიერთობები თვისობრივად იცვლება, – განაცხადა მან. მისი თქმით, შეხვედრა აბსოლუტურად გულახდილ, კეთილგანწყობილ ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

შევარდნაძემ განაცხადა, რომ შეხვედრას სრულიად პრინციპული ხასიათი ჰქონდა ორი ქვეყნისათვის და იგი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში გარდატეხის დასაწყისია. ორივემ დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა, რომ 12 ოქტომბრის მატჩი საქართველოსა და რუსეთის ნაკრებებს შორის აუცილებლად შედგება.

რა მოხდა, ნუთუ საზღვრის ერთობლივი პატრულირება, სპეცსამსახურების თანამშრომლობა და რამდენიმე ჩეჩნის გადაცემა იმხელა მნიშვნელობის მოვლენებია, რომ მათ ორი ქვეყნის ურთიერთობაში გარდატეხის შეტანა შეუძლიათ?

გაგრძელება A5 გვერდზე

## რატომ გამომზეურდა საიდუმლო დოკუმენტები

### დათმობა - ქართულ პოლიტიკაში მრავალჯერ ნაცადი ხერხი რომელსაც შედეგი არასოდეს მოუტანია

**გასულ კვირას საზოგადოების ყურადღების ცენტრში კვლავ რჩებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებთან დაკავშირებული საიდუმლო დოკუმენტის თემა. კვირის მეორე ნახევარში კი მოსახლეობამ ახალი, ასევე გასაიდუმლოებული დოკუმენტის შესახებ შეიტყო. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა ასლან აბაშიძის წერილის შინაარსი გაახმაურა.**

ბადრი კოპლატაძე

ეს ორი დოკუმენტი თავისთავად განსხვავებულ თემებს ეხება, ავტორებიც ასევე განსხვავებულები არიან. თუმცა, თუ უფრო ყურადღებით შევხედავთ სიტუაციას, შესაძლებელია გარკვეული დამაკავშირებელი ძაფების აღმოჩენაც.

უშიშროების საბჭოს მიერ მომზადებულმა რეკომენდაციებმა პოლიტიკოსების ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, ე.წ. 27-ე მუხლის გამო მიიპყრო. ეს პუნქტი დეპუტატების უკანონო ქმედებების შემთხვევაში სამართალდამცავ ორგანოებს შესაბამისი ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდებს. დოკუმენტში ჩამოთვლილ სხვა პუნქტებს დიდი ხმაური არ გამოუწვევია, არც ის უცდია ვინმეს, შემუშავებული რეკომენდაციების ეფექტურობაზე ემსჯელა. არადა, დოკუმენტი მართლაც საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ საზოგადოებას საშუალებას აძლევს, ექსტრემალურ სიტუაციებში მთავრობის მოქმედების წესზე და სტილზე იმსჯელოს. სხვათაშორის, საინტერესო იყო ისიც, თუ რატომ წავიდა მთავრობა ამ დოკუმენტების გამომზეურებაზე. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, ის პუნქტი უნდა იყოს, რომელიც დაკავებული ჩეჩნების რუსეთისათვის გადაცემას შეეხება.

გაგრძელება A8 გვერდზე

## კვირის სამართლებრივი ისტორია

### ექსტრადიციისას პროკურატურამ საერთაშორისო ნორმები ნაწილობრივ დაიცვა

**გასული კვირა, სამართლებრივი თვალსაზრისით, გამორჩეული იყო. რუსეთის კანონდამცველებისა და პოლიტიკური წრეების მიერ ატეხილმა აჟიოტაჟმა კულმინაციას სწორედ გასულ კვირას მიაღწია. ალბათ, მიხვდებოდით, საუბარია ქართველი ძალოვნების მიერ საზღვრის უკანონო გადმოკვეთისა და იარაღის უკანონო ტარებისთვის დაკავებული 13 ჩეჩნიდან 5-ის გადაცემაზე.**

ინგა ალავიძე

დაკავებულთა ექსტრადიციის თემაზე საქართველოსა და რუსეთს შორის მიმდინარე სამართლებრივი დავა 2 თვის წინ დაიწყო. ჩეჩნების დაკავების მეორე დღესვე საქართველოს გენერალურ პროკურატურას რუსეთის მთავარი პროკურორი ვლადიმირ უსტინოვი ეწვია და ჩეჩნების წაყვანის უფლება მოითხოვა. რუსეთის გენერალური პროკურორის სტუმრობა სამართლებრივად იმდენად ულოგიკო ფაქტი იყო, რომ ამ ვიზიტმა რუსული მასმედიის გაკვირვებაც კი გამოიწვია. ქართველმა სამართალდამცველებმა კოლეგას მაშინ იურიდიულად არგუმენტირებული უარი უთხრეს – რუს გენერალურ პროკურორს მხოლოდ სიტყვიერი მოთხოვნის საფუძველზე პატიმრები არ გაატანეს. უსტინოვის რუსეთში დაბრუნებისთანავე, თბილისში ჩამოვიდა ოფიციალური დოკუმენტი, ერთადერთი ფარატინა ფურცელი - შუამდგომლობა დაკავებულთა გადაცემის თაობაზე. საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის არც ეს საბუთი აღმოჩნდა იურიდიული მტკიცებულება. უკვე მესამედ, მოსკოვმა 13 დაკავებულის კრიმინალური საქმიანობის დამადასტურებელი 700-გვერდიანი ბრალდება გამოაგზავნა. ქართველი სამართალდამცველები, რუსეთის პროკურატურის წარმომადგენელთან - გიორგი წურწუმიასთან ერთად, 2 თვის მანძილზე სწავლობდნენ გამოგზავნილ მასალებს და საბოლოო გადაწყვეტილება გასულ პარასკევს მოიყვანეს სისრულეში – 5 ჩეჩენი სტავროპოლის იზოლატორში თბილისიდან სპეცტაპით ჩაიყვანეს.

თუმცა, ექსტრადიციის თაობაზე გადაწყვეტილება საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ჯერ კიდევ მაშინ მიიღო, როცა რუსეთის პრეზიდენტი საქართველოს სამხედრო აგრესიით დაემუქრა. პუტინის გამოსვლიდან მეორე დღესვე ცნობილი გახდა, რომ გენერალურმა პროკურატურამ დაასრულა რუსეთიდან მიღებული მასალების შესწავლა და ჩეჩნების ექსტრადიციაზე თანხმობა განაცხადა.

გაგრძელება A7 გვერდზე

## „იტერა-ჯორჯია„ აღარ შეიქმნება

### ˝თბილგაზს˝ კი მერიის მეთვალყურეობისაგან გაათავისუფლებენ

*გუშინ სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა მოსკოვიდან დაბრუნდნენ. ისინი "იტერას" გენერალურ დირექტორთან "იტერა-ჯორჯიას" შექმნის თაობაზე აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს. მსჯელობის საგნად "იტერა-ჯორჯიას" სუბსიდირებისათვის საჭირო თანხების გამღების ვინაობის დადგენისა და მომავალი ერთობლივი საწარმოსთვის საგადასახადო შეღავათების მინიჭება-არმინიჭების საკითხები იქცა. მოლაპარაკებების მსვლელობისას ორივე მხარე პრინციპული აღმოჩნდა. შედეგად, ძირითად საკითხებზე "იტერასა" და საქართველოს ხელისუფლებას შორის შეთანხმება არ შედგა. ამის გამო, "იტერასთან" ერთობლივი საწარმოს შექმნის თემა დღის წესრიგიდან გაურკვეველი დროით მოიხსნა.*

მაია ურუშაძე

გიორგი კალანდაძე

*"24 საათმა" ექსკლუზიური ინტერვიუ სთხოვა გიორგი ისაკაძეს.*

**- რამ გამოიწვია ის , რომ "იტერასთან" ერთობლივი საწარმოს ჩამოყალიბების საკითხმა, მოულოდნელად, აქტუალობა დაკარგა?**

- სანამ მხარეები ასეთ გადაწყვეტილებამდე მივიდოდნენ, ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე გრძელდებოდა იურისტების მუშაობა იმ პირობებზე, რის საფუძველზეც ერთობლივი საწარმო უნდა შექმნილიყო. მოსკოვში გამართულ ბოლო მოლაპარაკებაზე დავით მირცხულავას, ჩემსა და "იტერას" გენერალურ დირექტორს შორის ამ ეტაპზე პოზიციათა შეჯერება ვერ მოხერხდა. საკითხმა მიიღო ის ლოგიკური დასასრული, რაზეც თავიდანვე ორივე მხარე იყო შეთანხმებული – თუ პირობები ვერ შეთანხმდებოდა, "იტერა-ჯორჯია"არ შეიქმნებოდა.

**- კონკრეტულად, რომელი საკითხების შეჯერება ვერ მოხერხდა?**

- უმთავრესად ვერ შევთანხმდით საინვესტიციო ვალდებულებებზე. ამ ეტაპზე მხარეებმა მიიჩნიეს, რომ დღეს არ არის ისეთი სიტუაცია, როცა საქართველოსა და "იტერას" შორის რაიმე საინვესტიციო ურთიერთვალდებულებაზე შეიძლება იყოს საუბარი. ჩვენი მხარე ფინანსურად არც ისე სახარბიელო მდგომარეობაშია, რომ "იტერა-ჯორჯიაში" რაიმე ინვესტიციები განახორციელოს. ამის გამო თავი შეიკავა "იტერამაც". საბოლოო ჯამში, მოლაპარაკების შედეგზე იმოქმედა იმ ფაქტორმა, რომ ვერ შევთანხმდით, თუ ვინ იყო ინვესტიციის განმხორციელებელი მხარე - ჩვენ, "იტერა" თუ ერთობლივი საწარმო.

**- "იტერა" ქართული მხარისგან საგადასახადო შეღავათებსაც ითხოვდა...**

- საგადასახადო შეღავათებთან დაკავშირებით ჩვენ ადრეც გავაგზავნეთ "იტერას" ოფისში შენიშვნები, სადაც დავაფიქსირეთ, რომ ეს საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია. არ შეიძლება არც ერთი ეკონომიკური აგენტის, არც ერთი კომპანიის ჩაყენება პრივილეგირებულ მდგომარეობაში...

გაგრძელება A4 გვერდზე

## არსებობს მხოლოდ ერთი რუსეთი

### დიალოგი კავკასიის ქედიდან



რუსი ჟურნალისტები კონფერენციაზე

**ჩვენი გაზეთი უკვე წერდა იმის შესახებ, რომ ლიკანში რუსი და ქართველი ჟურნალისტების კონფერენცია მიმდინარეობს სახელწოდებით - "რუსეთი და საქართველო - დიალოგი კავკასიის ქედიდან." ორგანიზატორების მისამართით უნდა ითქვას, რომ რუსეთიდან ჟურნალისტების ძალზე წარმომადგენლობითი შემადგენლობა ჩამოვიდა. ახლა ბევრს საუბრობენ რამდენიმე რუსეთის არსებობაზე. კონფერენციის მონაწილეთა საუბრებიდან შეიძლება ერთი კარგი დასკვნა გამოვიტანოთ: არსებობს მხოლოდ ერთი რუსეთი, მაგრამ მას ჰყავს ბოლომდე არარეფორმირებული საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც საქართველოს ასევე ბოლომდე არარეფორმირებულ საბჭოთა ხელისუფლებას ებრძვის.**

მაია ჭალაგანიძე

**ოლეგ პანფილოვი - ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრი.**

*- რას აკეთებს თქვენი ცენტრი?*

- ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია. ძირითადად, ვაგროვებთ ინფორმაციას ჟურნალისტთა უფლებების შელახვის შესახებ. გვაქვს საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც ვცდილობთ, შევცვალოთ ჟურნალისტთა დამოკიდებულება მათი სამსახურისა და საკუთარი უფლებებისადმი.

*- გეჩვენებათ, რომ ჟურნალისტები პასიურები არიან საკუთარი უფლებების დაცვაში?*

- დიახ, და მათ შორის, საქართველოშიც. მინდა გითხრათ, რომ რუსეთის ზოგიერთ რეგიონში სიტუაცია ანალოგიურია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოსტსაბჭოთა ჟურნალისტიკა, სულ რაღაც 10 წელია, არსებობს. ასე რომ, ჟურნალისტების უმრავლესობა ყოფილი საბჭოთა პარტიული პრესის წარმომადგენლები არიან. ახალ თაობას უფრო ესმის თავისი უფლებები.

*- თავად თუ ყოფილხართ ომში?*

- ვიყავი ტაჯიკეთში და 1995 წელს ავღანეთში. ვმუშაობდი ექსპერტად ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.

*- რა არის ომი?*

- ომი დიდი სისაძაგლეა. ომში ჟურნალისტის მუშაობა რთულია. ის უნდა იყოს დაცული და მან თავად უნდა დაიცვას ობიექტურობა. როგორც წესი, ომში ჟურნალისტები

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 იუმორი B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** 7 ოქტომბერს ქალაქი რუსთავი უშუქოდ დარჩება. ეს გადაწყვეტილება საბითუმო ბაზრის გენერალურმა დირექტორმა ალბერტო სოლისმა მიიღო.

როგორც სოლისმა აღნიშნა, რუსთავის ენერგოგამანაწილებელი კომპანია "რელასმა" დაარღვია სამმხრივი მემორანდუმის პირობები. ელექტროგამანაწილებელს საბითუმო ბაზრის მიმართ 187 ათასი ლარის დავალიანება დაუგროვდა.

სოლისის თქმით, რუსთავის მოსახლეობას ელექტროენერგიის მიწოდება 7 ოქტომბერს 12 საათზე შეუწყდება, სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს კი ელექტროენერგიას სხვა გამანაწილებელი კომპანია მიაწოდებს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-რუსულ ურთიერთობებში არსობრივად დაიწყო "ცივი ომის" პერიოდი - ამ მოსაზრებას ეთანხმება საქართველოს ელჩი რუსეთის ფედერაციაში ზურაბ აბაშიძე, რომელმაც ინტერვიუ მისცა "როსიისკაია გაზეტას".

"სამწუხაროდ, დღეს ეს ასეა და ასეთი ვითარება დიდ ხანს არ უნდა გაგრძელდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკური გარემოდან ეს შესაძლოა ყოფით დონეზეც გადაიზარდოს, - აღნიშნა ელჩმა გუშინ გამოქვეყნებულ ინტერვიუში, - ქართულ-რუსული ურთიერთობების დღევანდელ მდგომარეობას მე დავახასიათებდი, როგორც რთულს, მეტიც - არაბუნებრივს, რაც არ შეესაბამება იმ კეთილ ტრადიციებს, რომლებიც ისტორიულად არსებობდა ჩვენს ხალხებს შორის."

ელჩმა განაცხადა, რომ საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტები 7 ოქტომბერს კიშინიოვში სამიტზე აპირებენ პირისპირ შეხვედრას, თუმცა, საბოოლო შეთანხმება ამასან დაკავშირებით არ არის.

"ალბათ, ეს იქნება საუბარი პირისპირ, - აღნიშნა მან, - იმედი გვაქვს, რომ დიალოგი პრეზიდენტებს შორის, თუ ის გაიმართება, შემოაბრუნებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს ნორმალურ ფარგლებში".

ელჩის თქმით, აუცილებელია "ნერვული დაძაბულობისა და პრეტენზიების გარეშე გაირკვეს, თუ რატომ მივიდა ჩვენი ურთიერთობები კრიზისამდე და როგორ გამოვიდეთ არსებული მდგომარეობიდან". აბაშიძის აზრით, პრეზიდენტებმა აუცილებლად უნდა შეაჯერონ ერთმანეთთან პარამეტრები - რა საერთო ინტერესები აქვს რუსეთ-საქართველოს და რაშია პრინციპული განსხვავება. "არ არის საჭირო სიტუაციის დრამატიზირება," - აცხადებს აბაშიძე. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**კიშინოვი.** გუშინ სამ საათზე საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და ქართული დელეგაციის წევრები სპეცრეისით გაემგზავრნენ კიშინიოვში, სადაც ისინი მონაწილეობას მიიღებენ დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების სამიტში. როგორც სახელმწიფო კანცელარიაში აცხადებენ, შევარდნაძე-პუტინი ერთმანეთს გუშინვე შეხვდებოდნენ.

პრეზიდენტი ვიზიტის ფარგლებში გამართავს მთელ რიგ ორმხრივ შეხვედრებს თავის კოლეგებთან, კერძოდ, შეხვდება მოლდოვას პრეზიდენტ ვლადიმირ ვორონინს, რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს, აზერბაიჯანის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს და სომხეთის პრეზიდენტს რობერტ კოჩარიანს. განიხილება ორმხრივი ინტერესის მქონე საკითხები.

მოსკოვის ოფიციალური წყაროების ცნობით, შევარდნაძისა და პუტინის შეხვედრაზე პანკისის პრობლემა არ განიხილება.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე მონაწილეობას მიიღებს დსთ-ს სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების საბჭოს სხდომაში, ასევე გამართავს ორმხრივ შეხვედრას მოლდოვას მთავრობის თავმჯდომარე ვასილ ტარლევთან.

კიშინიოვში ასევე შედგება დსთ-ს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომა და დაგეგმილია თანამეგობრობის ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრა.

7 ოქტომბერს საღამოს საქართველოს პრეზიდენტი და დელეგაციის წევრები თბილისში დაბრუნდებიან. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს თბილისში ქართულ-ამერიკული გეგმიური ორმხრივი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართება. ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გელა ბეჟუაშვილმა განაცხადა.

ბეჟუაშვილის თქმით, ამერიკიდან მაღალი დონის სამუშაო ჯგუფი ჩამოდის, დელეგაციას კი უხელმძღვანელებს ამერიკის თავდაცვის მინისტრის თანაშემწე საქართველოს საკითხებში ოთარ შალიკაშვილი, რომელიც თბილისში შაბათს ჩამოვიდა.

ქართულ-ამერიკული სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მეორე დღეს კი სამმხრივი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა იგეგმება, რომელშიც საქართველოსა და ამერიკის სამუშაო ჯგუფებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ თურქეთის თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის წევრები, რომელსაც უხელმძღვანელებს თურქეთის თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული დაგეგმარების უფროსის მოადგილე. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის საკითხებს ჯერჯერობით გელა ბეჟუაშვილი არ აზუსტებს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საჰაერო სივრცის განვითარებისა და გაძლიერების საკითხები იქნება განხილული უკრაინის თავდაცვის მინისტრის, არმიის გენერლის ვლადიმირ შკიდჩენკოს თბილისში ვიზიტისას, რომელიც 7 ოქტომბერს გაიმართება. ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრეს-ცენტრში აცხადებენ.

შკიდჩენკოს თბილისში ვიზიტისას დაგეგმილია მისი შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანთან თედო ჯაფარიძესთან და თავდაცვის მინისტრთან დავით თევზაძესთან.

უკრაინის მინისტრის ვიზიტისას განხილული იქნება უკრაინაში ქართველი სამხედროების მომზადებისა და ქართული სამხედრო ტექნიკის შეკეთების საკითხები.

შეგახსენებთ, რომ საქართველომ ხელშეკრულება გააფორმა უკრაინასთან, რომლის მიხედვითაც, უკრაინა საქართველოს დაეხმარება ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის შეძენაში, რისთვისაც საჭიროა 12 მილიონი დოლარი. აღნიშნული იარაღი გამოყენებული იქნება საქართველოს საჰაერო სივრცის დამრღვევი ვერტფრენების ჩამოსაგდებად. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** "რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარე, ბლოკ "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტის" ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი 2003 წლის შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე "სერიოზულ საარჩევნო პოლიტიკურ ბრძოლას" გამართავს აჭარის ავტონომიის მეთაურთან, "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" ლიდერთან ასლან აბაშიძესთან.

ამასთან, იგი არ აპირებს აბაშიძის კრიტიკას მხოლოდ თბილისიდან და ამ მიმართულებით ბათუმშიც იმუშავებს.

ბერძენიშვილის თქმით, პარტია გეგმავს, აღადგინოს ის სურათი, რაც იყო 90-იანი წლების პირველ ნახევარში, როდესაც "რესპუბლიკური პარტია" საკმაოდ მძლავრად იყო წარმოდგენილი აჭარის უზენაეს საბჭოში და უამრავ ხმას იღებდა აჭარიდან საქართველოს პარლამენტის არჩევნებში.

ამასთან, მისი განცხადებით, "ნაციონალური მოძრაობის" ბლოკი იმდენად "დაუნდობელი იქნება" აბაშიძის რეჟიმის კრიტიკისას, როგორიცაა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებასთან მიმართებაში.

რეპრესიების საფრთხე მაშინაც არსებობდა, როდესაც "რესპუბლიკელები"აბაშიძის დამარცხებას ბათუმში ახერხებდნენ, - აღნიშნა მან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** სოხუმის ხელისუფლება კოდორის ხეობის დათმობას არ აპირებს და მის დემილიტარიზაციას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხეობის აღებით იმუქრება.

"კოდორის ხეობასთან დაკავშირებით მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ქართულმა მხარემ ხეობიდან შეიარაღებული ძალები უნდა გაიყვანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისეთ მნივნელოვან პლაცდარმს, როგორიც კოდორის ხეობაა, სოხუმი ქართული მხარის ხელში არ დატოვებს," - განაცხადა სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ.

მან ქართული მხარე კოდორის ხეობიდან საჯარისო ქვედანაყოფების გაყვანის შესახებ 1994 წლის 14 მაისისა და 2002 წლის 2 აპრილის ხელშეკრულებების დარღვევაში დაადანაშაულა და უსაფუძვლო უწოდა ქართველი პოლიტიკოსების განცხადებებს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ აფხაზების მონაწილეობით კოდორის ხეობაში პროვოკაციის მზადების თაობაზე.

შამბას თქმით, აფხაზური მხარე ხეობაში ტვირთბრუნვის გასაკონტროლებლად საქართველოსა და აფხაზეთს შორის, ხიდას უღელტეხილზე რუსი სამშვიდობოებისა და გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა საგუშაგოს გახსნის ინიციატივით გამოდის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი .** სოხუმის ხელისუფლება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის ინიციატივებს ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ნდობის აღდგენის ერთადერთ სწორ გზად მიიჩნევს.

"ჯერჯერობით აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ასლან აბაშიძე აფხაზურ მხარეს არ დაკავშირებია," - განაცხადა სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ ასლან აბაშიძის განცხადების კომენტირებისას და აღნიშნა, რომ იგი ერთადერთი პოლიტიკური ფიგურაა, რომელთანაც აფხაზური მხარე სასაუბროდ მზადაა. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ აბაშიძის იდეები კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით სოხუმის ხელისუფლებისათვის მისაღებია.

შამბას თქმით, აბაშიძეს, როგორც "საღად მოაზროვნე პოლიტიკოსს", კარგად ესმის, რომ მხარეებს შორის ნდობა ვერ აღდგება, სანამ საქართველოს ხელისუფლება არ გააუქმებს თბილისში მოქმედ "ე.წ. ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურებს", არ შეწყვეტს პარტიზანული მოძრაობის ხელშეწყობას, არ მოუხსნის აფხაზეთს ეკონომიკურ ბლოკადას და არ აღადგენს მასთან სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო მიმოსვლას.

აბაშიძის ამ ინიციატივებს შამბა მხარეებს შორის ნდობის აღსადგენად და ურთიერთგაგების გასაიოლებლად აუცილებელ პირობად მიიჩნევს, რომლის განხორციელების შემდეგ მხარეები ერთობლივი ეკონომიკური პროექტების რეალიზაციას შეძლებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**კოდორი .** კოდორის ხეობაში ჩეჩენი "ბოევიკების" ყოფნის შესახებ რუსეთის მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ხეობაში მყოფი რუსი სამშვიდობოები უარყოფენ.

"მესამე დღეა, ხეობაში ვიმყოფებით და არც ერთი ჩეჩენი "ბოევიკი" არ გვინახავს," - განაცხადა 3 ოქტომბერს ხეობაში დაწყებული მორიგი ერთობლივი პატრულირების მონაწილე, რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, მაიორმა ვიქტორ პოპოვმა.

მისივე თქმით, პატრულირების მონაწილეებმა სოფელ ჩხალთასა და სოფელ საკენს შორის ტერიტორია არაერთხელ მოინახულეს, ჩეჩენ ბოევიკთა ბანაკების აღმოსაჩენად მჟავე წყლების მიმდებარე ტერიტორიაც დაათვალიერეს, მაგრამ "ბოევიკთა" კვალი ვერსად ნახეს.

პოპოვმა გაკვირვება გამოთქვა 400 ჩეჩენი "ბოევიკის" ხეობაში ყოფნის შესახებ რუსეთის სახელმწიფო ტელეარხ "ერ-ტე-ერის" მიერ ინფორმაციის გავრცელების გამო და განაცხადა, რომ წყარო, რომელმაც მოსკოვს ეს მცდარი ინფორმაცია მიაწოდა, მისთვის უცნობია.

მისივე თქმით, დღეს ერთობლივი პატრული კოდორის ხეობის სოფელ ჩხალთიდან 4 სატვირთო მანქანით საბრძოლო იარაღისა და ჭურვების გატანას დაასრულებს, 3 ოქტომბერს დაწყებული პატრულირება 6-ის ნაცვლად, 8 ოქტომბრამდე გასტანს, შემდეგ კი ხეობაში მყოფ ჯგუფს გაერო-სა და სამშვიდობო ძალების წარმომადგენლთა მორიგი პატრული შეცვლის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის პარლამენტი აპირებს, პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადოს დამოუკიდებელი გაზეთის "ალიას" კორესპონდენტი. როგორც კავკას-პრესს აჭარის პარლამენტიდან სარწმუნო წყარომ განუცხადა, ამგვარი გადაწყვეტილება შეუძლია, მიიღოს აჭარის პარლამენტმა იმ პუბლიკაციების გამო, რომელიც მიმართულია აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის წინააღმდეგ, რომელიც "არასწორად აფასებს რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებს".

გაიგო რა ამგვარი გადაწყვეტილების შესახებ, აჭარაში მყოფმა ამერიკელმა დიპლომატმა, საელჩოს ახალმა მრჩეველმა მეტიუ კრისტმა გაკვირვება გამოთქვა და აღნიშნა, რომ მისი მიღების შემთხვევაში "ეს იქნება ცივილიზებული ქვეყნის ისტორიაში უპრეცენდენტო შემთხვევა". "ამან, შესაძლოა, გამოიწვიოს სერიოზული ნეგატიური რეაქცია," - აღნიშნა მან. **კავკას-პრესი.**

# საგამოძიებო კომისიის ახალი სვლა

## საარჩევნო კოდექსში მორიგი ცვლილებების პაკეტმა პოლიტიკურ პარტიებს თავსატეხი გაუჩინა

***მიმდინარე კვირას საარჩევნო თემატიკა კვლავ დაიბრუნებს თავის აქტუალობას. ცენტრალური საარჩევნო კომისია თბილისის არჩევნების შედეგების ხელახალი ოქმის დამტკიცებას შეეცდება, ხოლო საარჩევნო დარღვევების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელობა დეპუტატების წინაშე საარჩევნო კოდექსში მორიგი ცვლილებების პაკეტით წარსდგება.***

თამარ მჭედლიშვილი

საპარლამენტო კომისიის ახალი საკანონმდებლო ინიციატივა არჩევნების მიმდინარეობისა და შედეგების გასაჩივრების ვადებს ეხება. ამ პროექტის თანახმად, არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო კანდიდატ პარტიასა თუ ფიზიკურ პირს უფლება ეძლევა, არჩევნებიდან ექვსი თვის მანილზე მიმართოს სასამართლოს. დღეს მოქმედი საარჩევნო კოდექსი კი არჩევნებში მონაწილე სუბიექტს გასაჩივრებისთვის მხოლოდ სამი დღის ვადას აძლევს.

პროექტის უშუალო ავტორები საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე, "სოციალისტი" ზაქარია ქუცნაშვილი და ფრაქცია "მრეწველების" წევრი ვახტანგ ხმალაძე არიან. წესით, პარლამენტმა ცვლილებათა პროექტი მიმდინარე სასესიო კვირას უნდა განიხილოს. ყოველ შემთხვევაში, საკითხი უკვე შეტანილია დღის წესრიგში. ავტორები იმედოვნებენ, რომ პარლამენტი შეძლებს ცვლილებათა პროექტის მიღებას, რადგან მისი ამოქმედება ყველა პარტიის ინტერესებში შედის.

**"ამჟამად საარჩევნო კოდექსი მკაცრად განსაზღვრავს სარჩელის შეტანის სამდღიან ვადას, მაგრამ ვერავინ შესძლებს ამ ვადაში სარჩელის შეტანას, რადგან მოქალაქეებს არა აქვთ უფლება, გადაამოწმონ არჩევნების შედეგები. გადამოწმება მხოლოდ პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ შესძლო და ისიც, რამდენიმედღიანი მუშაობის შემდეგ,"** - განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ ზაქარია ქუცნაშვილმა.

მართლაც, ასეთი ცვლილებები ხელს უნდა აძლევდეს არჩევნებში დამარცხებულ მონაწილეებს, რადგან ექვსი თვე საკმარისი ვადაა საკუთარი პოზიციების დასაცავად. არჩევნებში მონაწილე პარტიებიცა და დამოუკიდებელი კანდიდატებიც სამი დღის ვადაში ხშირად ვერ ახერხებენ საჩივრის შეტანას საარჩევნო კომისიებში. ყოფილა შემხთვევები, როცა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საჩივრის შემოსატანად რაიონებიდან ჩამოსულ მაჟორიტარ კანდიდატებს, სულ რაღაც, რამდენიმე წუთით დაუგვიანიათ და ცესკო-ს კანცელარია უკვე დაკეტილი დახვედრიათ.

ამის მიუხედავად, პოლიტიკოსთა ნაწილი ამ პროექტში გარკვეულ საფრთხეს ხედავს. საქმე ის არის, რომ კანონპროექტში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა თავად პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის როლს. **"კანონპროექტის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია, დაეყრდნოს ან არ დაეყრდნოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ გადათვლის შედეგად დადგენილ მონაცემებს და ცენტრალურ საარჩევნო ან საოლქო კომისიებს შედეგების გადამოწმება დაავალოს,"** - ამბობენ პროექტის ავტორები და იქვე აცხადებენ, რომ თუ კანონპროეტი ვერ გავა, მაშინ კომისიისთვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას აზრი დაეკარგება (შეგახსენებთ: ზაქარია ქუცნაშვილიცა და ვახტანგ ხმალაძეც დაჟინებით ითხოვენ კომისიისთვის ამ ვადის გაგრძელებას).

"გაერთიანებული დემოკრატების" აზრით კი, პროექტის ავტორების სიტყვები შეიძლება სხვაგვარადაც გავიგოთ – თუ კომისიას ვადას არ გაუგრძელებენ, მაშინ ამ კანონპროექტის მიღებას აზრი დაეკარგება. ასე რომ, პროექტის შინაარსის ორმაგი დატვირთვა სერიოზულ საფიქრალს უჩენს პარტიებს, რადგან, ერთი მხრივ, გასაჩივრების ვადის ექვსთვემდე გაზრდის იდეა ყველა პოლიტიკური ორგანიზაციისთვის ძალზე მომხიბვლელია. მით უფრო ახლა, როდესაც საარჩევნო ადმინისტრაციებს მთელ ვერტიკალზე ვერც ერთი პარტია ვეღარ აკონტროლებს. შესაბამისად, არჩევნების შედეგების გაყალბების დამტკიცების ალბათობა უფრო რეალური ხდება.

მეორე მხრივ კი, პარლამენტის ფრაქციათა უმრავლესობა დროებითი საგამოძიებო კომისიისთვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების წინააღმდეგია. მოწინააღმდეგე პოლიტიკოსთა ღრმა რწმენით, მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ კომისიის ხელმძღვანელობა ვერ ასცდება ცდუნებას და კანონით ბოძებულ პოლიტიკურ ბერკეტებს საკუთარი პარტიების ინტერესების ლობირებისთვის გამოიყენებს. მით უფრო, რომ ზაქარია ქუცნაშვილს უკვე ღიად დაუპირისპირდნენ რამდენიმე პარტიის წარმომადგენლები და იგი ქუთაისისა და ფოთის საკრებულოების არჩევნების შედეგების გადამოწმებისას ტენდენციურობაში დაადანაშაულეს.

პარლამენტის ბიუროს დღევანდელ სხდომაზე უფრო დეტალურად იმსჯელებს ამ კანონპროექტზე. ფრაქციათა ლიდერები პირველ ოფიციალურ პოზიციებს ამ კანონპროექტთან დაკავშირებით სწორედ დღეს გამოხატავენ.




გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია, ლია თოფურია, ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა: ზურა ჯაოშვილი.

# არსებობს მხოლოდ ერთი რუსეთი

პირველი გვერდიდან


გალინა კოვალსკაია


ოლეგ პანფილოვი


პაველ ფელგენგაუერი

რამდენიმე მიმართულებით მუშაობენ. ერთნი არიან ანგაჟირებული ჟურნალისტები, რომლებიც რომელიმე მხარის ინტერესებს ატარებენ და მეორენი, ობიექტური ჟურნალისტები, ვინც ცდილობს, გაერკვეს და ობიექტურად გადმოსცეს ინფორმაცია.

*- როგორ აბერხებენ პოლიტიკოსები ფაქტების დამახინჯებას, რატომ აქვთ მათ ამის სურვილი?*

- ეს მათი საქმეა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაიქვემდებარეს პრესა.

*- საინფორმაციო ომზე თუ გსმენიათ რამე?*

- ყველა ომი საინფორმაციოა და მათ შორის, საინფორმაციოც. საინფორმაციო ომში, ჩვეულებრივ მონაწილეობენ პოლიტიკოსები და გამოცემების მფლობელები.

*- ვინ აგებს? რომელი კატეგორიის ჟურნალისტები აგებს. ის, ვინც მართალს ამბობს, თუ ვინც ტყუის?*

- პირველ რიგში, ადამიანები აგებენ. ისე კი, ამ ომში არც მოგებული და არც დამარცხებული ჟურნალისტი არ არის, რადგანაც ნაგებულია რიგითი მკითხველი, მაყურებელი და მსმენელი. ხოლო თუკი მოგებული მხარე თავს გამარჯვებულად მიიჩნევს, ეს დროებითია. ადრე თუ გვიან სიმართლე მაინც გაირკვევა.

*- თქვენ გამოეცით წიგნი ომში ჟურნალისტის ქცევაზე. როგორ გგონიათ, შეიძლება ამ წიგნით ომში წასვლა?*

- ეს არის ცნობარი. [illegible]

**მიხეილ შეველიოვი - ყოველკვირეული Московские Новости-ს მთავარი რედაქტორის მოადგილე.**

- საქართველოს შესახებ 1991 წლიდან ვწერ. ჩემი პირველი მივლინება საქართველოში იყო. შემდეგ იყო აფხაზეთი, შემდეგ - გამსახურდია, შემდეგ - საკუთრივ საქართველო.

*- თქვენ, უკვე ათ წელზე მეტია, გვაკვირდებით...*

- 10 წლის წინ ჟურნალი ადვილი გასარკვევი იყო, ვინ არის კარგი და ვინ - ცუდი. 1992-1994 წლებში ტრაგიკული სანახაობა იყო ყველაფერი. მეჩვენებოდა, რომ თბილისი ვერ გადარჩებოდა. მერე დამეუფლა სიხარული, რომ სადღაც, რაღაც წინ წავიდა. ყველაზე რთული პერიოდი დგება მაშინ, როცა, თითქოს, ასე თუ ისე სიმშვიდეა და ნორმალური ქვეყნისთვის დამახასიათებელი პრობლემების ხანა დგება.

*- არსებობს კი ნორმალური პრობლემები?*

- არსებობს, არსებობს. 1991 წელს საქართველოს ყოფნა-არყოფნის პრობლემა ედგა, 2002 წელს კი პრეზიდენტის პრობლემა დგას... სულ სხვა კლასის პრობლემებია. რუსეთსა და საქართველოს შორის არც სირთულეების შინაარსითა და არც მათი მოცულობით განსხვავება არ არის. ყველაფერი ერთმანეთს ჰგავს. უბრალოდ, იყო საბჭოთა კავშირი, რომელიც დაიშალა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება დარჩა. დარჩა 15 პატარა სსრკ. ასეთი სტრუქტურის რეფორმირებისთვის 10 ისტორიული წელი ძალზე ცოტაა. ესაა სწორედ პრობლემა და ტრაგედია, მაგრამ ამაში გარკვეული სიმსუბუქეც არის, რადგან ჩვენ ერთმანეთის უკეთ გვესმის, ვიდრე, ვთქვათ, საქართველოსა და ბელგიას.

*- როგორია დღეს რუსეთის პოლიტიკური ძალების განლაგება. რა მოჩანს და რა ამოტივტივდება სულ მალე ზედაპირზე?*

- ძალზე ძნელია ამის ანალიზი. ეს არის სტაგნაციის პერიოდი, სიჩუმის პერიოდი, დაახლოებით, ბრეჟნევშჩინაა... თუ კრიტიკულად პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური ამბავი არ მოხდა, ეს პერიოდი დიდხანს გაგრძელდება. და ეს არ არის ცუდი, რადგან ნებისმიერი ევოლუცია ნებისმიერ რევოლუციას სჯობს. მაგრამ თუკი სერიოზული რყევები მოხდება, ეს პირველ რიგში კავკასიაზე და საქართველოზე აისახება. ჩვენ ორი ურთიერთდამოკიდებული ქვეყანა ვართ. იმის თქმა, რომ რუსეთს საქართველოსთან კონფლიქტი აქვს, კატეგორიულად არასწორია. ეს იგივეა, რომ საქართველო ედუარდ შევარდნაძესთან გავაიგივოთ, რაც არასწორი იქნებოდა. ერთი სიტყვით, ეს არის კონფლიქტი ორ ძმურ, ანტიხალხურ რეჟიმს შორის.

**გენადი სისოევი - საგამომცემლო სახლი Комерсантъ-ის პოლიტიკური მიმომხილველი.**

- კონფერენცია ჩემთვის იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ დამოუკიდებელ საქართველოში პირველად ვარ. მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო ჩემთვის (და ამისთვის ქართველი კოლეგების მადლობელი ვარ) ის, რომ საკითხი საქართველოს პასუხისმგებლობაზეც დაისვა. რა თქმა უნდა, ჩხუბში ორი მხარეა. დიდ ქვეყანას დიდი პასუხისმგებლობაც აქვს. საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო, მეტი გაეკეთებინა. კონკრეტულად, ვთქვათ, ის ფაქტი, რომ ორი წელი თქვენი ხელისუფლება არ ტყდებოდა ბოევიკების არსებობაში. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ საომრად განწყობილ რუს პოლიტიკოსებსა და სამხედროებს საბაბი აქვთ, საქართველოს სიმართლეში ეჭვი შეიტანონ. ახლა, როდესაც პანკისის დაბომბვისას საქართველო ამბობს სიმართლეს იმის შესახებ, რომ რუსებმა დაბომბეს, რუსებს სათქმელად ის აქვთ, რომ ქართული მხარე მაშინაც ტყუოდა, როცა საკუთარ ტერიტორიაზე ბოევიკების არსებობას უარყოფდა. ჩემი აზრით, როცა საქართველოს უსაფრთხოებაზეა საუბარი, ხელისუფლებამ ყველა ზომა უნდა მიიღოს, რომ ეს აიცილოს თავიდან. მით უფრო, ევროკავშირიც სიმკაცრეს ითხოვს. სამაგალითოდ მაინც რომ დაესაჯათ რომელიმე ბოევიკი ან კრიმინალური ელემენტი - ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საერთაშორისო საზოგადოების თვალში. ეს საქართველოს კოზირი იქნებოდა... რადგანაც ეს არ ხდება, ორი რამ შეიძლება ვიფიქროთ - ან არ შეუძლია ხელისუფლებას, ან ვერ ბედავს ამ ნაბიჯის გადადგმას. ალბათ, აქაც ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის პრობლემა დგას - დიდი ჩინოვნიკები სერიოზულ კავშირში არიან კრიმინალურ ელემენტებთან...

*- მე მაინც მგონია, რომ ეს საქართველოს შინაური საქმეა. როგორ გგონიათ, რა დაგვირგვინებს ორ ქვეყანას შორის დაძაბულობას?*

- რუსეთში პრობლემის ძალისმიერი გადაწყვეტის მომხრეებიც კი რომ მოვიდნენ ხელისუფლებაში, დიდ, მასშტაბურ სამხედრო ჩარევას არ უნდა ველოდოთ. მაინც მგონია, რუსეთის ხელისუფლებას ეყოფა ჭკუა და გონება და სიმბოლური, საჩვენებელი ზომებით შემოიფარგლება, რომელსაც დაარქმევს "ტერორისტული ბუნაგის განადგურებას". უარეს შემთხვევაში კი აგვისტოს დაბომბვას გაიმეორებს, ოღონდ, განაცხადებს: "დიახ! ეს რუსების თვითმფრინავები იყო." ეს უკიდურესი ზომა იქნება, სადამდეც, ძალიან არ მინდა, რომ მივიდნენ. ჩვენი სამხედრო მიმომხილველები ამბობენ, რომ ოპერაციის დაწყება არ შეიძლება, რადგან მერე ჩარევა იცის. ხომ შეიძლება, ქართველმა მესაზღვრეებმა ჩამოაგდონ თვითმფრინავი... მერე ნამდვილად მოხდება ესკალაცია.

კიშინიოვის სამიტისგან, სიმართლე გითხრათ, ბევრს არაფერს ველი, რადგან რაც სათქმელი იყო, ყველაფერი ითქვა. არც ერთი პრეზიდენტი მზად არაა გადაწყვეტილების მისაღებად. მაინც მგონია, რომ გადამწყვეტ სიტყვას ამერიკა იტყვის...

**გალინა კოვალსკაია - Еженедельный Журнал-ის პოლიტიკური მიმომხილველი**

*- რა დამოკიდებულება აქვთ პუტინსა და სამხედროებს?*

- ზაფხულიდან პრეზიდენტის დამოკიდებულება სამხედროებისადმი შეიცვალა. ცოტა ხნის წინ აშკარა იყო, რომ არმია ქვეყანაში იმას აკეთებდა, რაც უნდოდა. მათ შორის, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებსაც (მაგალითად, ჩეჩნეთი). არმიის მოთვინიერება არავის ხელეწიფება. პრეზიდენტს არ სურს სამხედროებთან წაჩხუბება და ეს გასაგებია, რადგან მათ წვლილი მიუძღვით პუტინის გაპრეზიდენტებაში. შუა ზაფხულიდან გამოიკვეთა, რომ პრეზიდენტი სამხედროებით ძალზე უკმაყოფილოა და მან გარკვეული ნაბიჯები გადადგა ჯარის მოსათვინიერებლად - რამდენიმე ნაკლებ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, მაგრამ მაინც გამოვყოფდი: ჩეჩნეთში ვერტმფრენის ჩამოგდების შემდეგ პრეზიდენტმა უმალვე მოსთხოვა პასუხი სამხედროებს. ყველა სამხედრო მაღალჩინოსანი მაშინვე დასაჯა, არადა, კურსკის ტრაგედიის მერე წელი გავიდა, სანამ პუტინმა ხმამაღლა განაცხადა, რომ დამნაშავეები სამხედროები იყვნენ. შემდეგ, სამხედროთათვის სრულიად მოულოდნელად, პუტინმა სამხედრო რეფორმის კურირება მათთვის საძულველ ნემცოვის გუნდს დაავალა. ამის შემდეგ, პარლამენტში, თავდაცვის მინისტრს მემარჯვენე ძალების შეკითხვაზე, თუ როდის გახსნიან საბჭოთა დროიდან დახურულ სამხედრო ბიუჯეტს, ივანოვმა ყველას გასაგონად უპასუხა, რომ სანამ ის მინისტრია, არასოდეს გახსნიან... რამდენიმე დღეში კი პუტინის უზენაესი ბრძანებით, ბიუჯეტი გახსნეს. ეს ყველაფერი არის სიგნალი იმისა, რომ პრეზიდენტი სამხედროებს თავისი ადგილის მიჩენას უპირებს.

*- ნუთუ პუტინს რაიმეს შეცვლა მოუნდა?*

- როგორც ჩანს, ის მიხვდა, რომ ჩეჩნეთში არაფერი გამოდის, რომ ასეთი არმიით ცხოვრება საერთოდ არ შეიძლება, თუმცა, საბჭოთა ჯარების ნამსხვრევები ყველგან ასეა. ალბათ, თქვენთანაც. ეს ჯარი მხოლოდ გენერლების აგარაკების ასაშენებლად გამოდგება.

პრეზიდენტის ზემოხსენებული ნაბიჯები, შეიძლება, მხოლოდ პოლიტიკური თამაშები იყო. პუტინი თავისი გუნდის გარეშე მოვიდა ხელისუფლებაში. მისი ერთადერთი ახლობელი ადამიანი სერგეი ივანოვი იყო. ახლა აშკარად სახეზეა მათი უთანხმოება. სამხედრო ბიუჯეტის თემით პუტინმა იგი დაამცირა კიდეც. პრეზიდენტის ქმედებები ივანოვ-კვაშნინის რაღაცნაირ გაბათილებასაც ჰგავს. ჩვენი პრეზიდენტის საქციელი არ არის თანმიმდევრული. ეკონომიკური გადაწყვეტილებები შეიძლება, ლიბერალურიც კი იყოს, მაგრამ ამასთანავე მას შეუძლია, სავსებით არალიბერალური ნაბიჯები გადადგას. მის ყოველ მცდელობას - სამხედროები სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებაროს, გენერალიტეტის მხრიდან მძაფრი წინააღმდეგობა ხვდება, რის გადალახვასაც პუტინი მხოლოდ უზარმაზარი სახელმწიფო ნებით თუ მოახერხებს.

**პაველ ფელგენგაუერი - ყოველდღიური ინგლისურენოვანი გაზეთის Moscow Times, Мсоковские Новости-ს და რადიოსადგურ Эхо Москвы-ს დამოუკიდებელი სამხედრო მიმომხილველი.**

*- რადგანაც ანალიტიკოსი ხართ, და არა სანგრის ჟურნალისტი, იქნებ გვითხრათ, ორი ქვეყნის იარაღის ჟღარუნი რითი დამთავრდება და, იქნებ, იმის პროგნოზიც გააკეთოთ, რა იქნება ამ დაძაბულობის მწვერვალი.*

- ან არაფერი მოხდება, ან მოხდება. თუ მოხდება, ეს იქნება უახლოეს ორ კვირაში, რადგან მერე მთებში თოვლი ჩამოწვება, ნისლი, არასაფრენი ამინდები იქნება... ფეხით კი ვერ იომებ. თუკი ორ კვირაში არაფერი მოხდება, სახლებში დავიშლებით და დავისვენებთ... ისე, შიგადაშიგ, შეიძლება აგვისტოსავით დაბომბვები იყოს.

*- რა არის ომში ინფორმაცია და რა - დეზინფორმაცია?*

- ძნელი სათქმელია. ჩემი სხვადასხვა და სანდო წყაროები ერთნაირ ინფორმაციას იძლევიან. ყველა საუბრობს, რომ შესაძლებელია, ერთ კვირაში წმენდის ჩასატარებლად პანკისში რუსეთმა დესანტი გადმოსხას, ასე - ორი ბატალიონის შემადგენლობით. საბოლოო გადაწყვეტილებას კიშინიოვის სამიტის შემდეგ მიიღებენ. ჩვენი გენერალური შტაბი ოპერაციას ამ სამიტის შემდეგ გეგმავს. განხორციელდება თუ არა, არ ვიცი. ალბათობა კი დიდია. სამხედროები არასდროს არავის არ უჯერებდნენ - არც ბრეჟნევს და არც სტალინს, ტყუილად კი არ ამოწმებდა ყოველ წუთს. თავად სამხედროებს შორის კი დიდი უთანხმოებაა. ძალიან ბევრი სამხედრო საქართველოში ოპერაციის ჩატარების წინააღმდეგია. არა იმიტომ, რომ მათ საქართველო უყვართ, არამედ ესმით, რომ ეს საშიშია. დიდი რისკია, რადგან ამისი არც საშუალება და არც ძალა გააჩნიათ. ისინი მეუბნებიან: კი, მართალია, ჩეჩენი ბოევიკები პანკისიდან მარაგდებიან, მაგრამ იქ შეძრომა არაფრით არ შეიძლება... თუმცა, არსებობენ ისეთი ძალებიც, რომელთაც იქ ერთი კვირით მძლავრი, საჩვენებელი წარმოდგენის დადგმა უნდათ. მერე გაფრინდებიან.

**ანა პოლიტკოვსკაია - Новая Газета-ს სპეციალური კორესპონდენტი**

*- ჩვენ რუსის ჯარი გვემუქრება. თქვენ კი მათთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება გაქვთ. როგორ იქცევიან სამხედროები ჩეჩნეთში?*

- რუსეთში სამხედროების როლი ძალზე დიდია. პუტინის მოსვლასთან ერთად, საშუალო რგოლის ოფიცრებმა სახელისუფლო იერარქიაში საკმაოდ მაღალი პოსტები მიიღეს. ამ დროისთვის პიტერის "ფეესბეს" გენერალი სერგეი ივანოვი მეთაურობს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საკადრო სამმართველოს. ეს არის ადამიანი, რომელიც არჩევს ყველა კადრს - გუბერნატორებს, მინისტრებს, მათ მოადგილეებს, რაღა თქმა უნდა, სამხედრო ელიტას და მათაც, ვინც ხელმძღვანელობს ე.წ. ანტიტერორისტულ კამპანიას ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ჩეჩნეთის ომს. როგორც წესი, ასეთი პოლიტიკით სათავეებში საეჭვო ინტელექტის მქონე ადამიანები მოდიან. მათი მუშაობის შედეგები კი სახეზეა. გენერალიტეტი უჭკუო ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებს. მოვლენათა ანალიზის არანაირი უნარი არ გააჩნიათ. ჩეჩნეთის უმაღლეს გენერალიტეტში მხოლოდ ორი ადამიანი მეგულება, ვისთანაც გასაგებ ენაზე შეიძლება გაარკვიო, თუ რა ხდება. დანარჩენები დოგმატიკოსები არიან. მათი ფორმულა ასეთია - ჩეჩენი უდრის ბოევიკს. თანაც, ამ კატეგორიაში შედის ქალიც, ბავშვიცა და მოხუციც. პარლამენტშიც ბევრი ყოფილი ოფიცერია. ამიტომ, იქაც შეუძლებელია რაიმე არა პროსამხედრო გადაწყვეტილების მიღება. მთავარი პროპუტინური პარტიაც (Единство Росии) ბევრი ოფიცრისაგან შედგება. ამ პარტიაში ჩეჩნეთის ომის წინსვლით დაინტერესებულთა ფრთას გლინცევიჩი ხელმძღვანელობს. იგი სამხედროა და ავღანეთის ომი აქვს გავლილი. მასაც მიაჩნია, რომ ჩეჩნეთის ომის გაგრძელება პოლიტიკურად მიზანშეწონილია. ამიტომ, ყოველი საუბარი ადამიანის უფლებების უგულებელყოფაზე ჩეჩნეთში, ან, სამხედრო დანაშაულობების შესახებ საუბარი არც კი შეიძლება. ყოველი ადამიანი, ვინც კი ამ თემების შესახებ საჯაროდ საუბრობს, ხალხის მტრის რანგშია აყვანილი და საერთოდაც ეს ტერმინი ჩვენში ძალზე აქტუალური და მოდური გახდა.

ძალზე ვუახლოვდებით სტალინის ეპოქას და მისი კოტეჯის თვალიერებისას სტალინზე ნოსტალგიური მოგონებები ძალზე მენიშნა. ჩვენში სამხედრო პირის გასამართლება არ შეიძლება - ის ხომ ჩეჩნეთში იყო. ჩეჩნეთში ყოფნა კი გმირობას უდრის. ბევრი პროკურორი დაიღუპა, ვინც სამხედროთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. თუ პროკურორი მაინც ახერხებდა სასამართლომდე საქმის მიყვანას, სასამართლო საქმეს შლიდა. ანუ, გამეფდა სახელმწიფო იდეოლოგია - სამხედრო არ შეიძლება, დამნაშავე იყოს. ჯარისკაცი კიდევ შეიძლება, მაგრამ ოფიცერი - არასდროს. ჩეჩნეთში ძალზე ცოტა ნაწილია ისეთი, ვინც ხვდება, რა ხორცსაკეპში მოხვდა. მრავალჯერ დამხმარებიან ასეთი ადამიანები რთული სიტუაციიდან გამოსვლაში. ხანკალა კი არსებობს - ეს არის ადგილი, სადაც მთავარი შტაბია და სადაც არც კი შეიძლება საუბარი რაიმე ადამიანურ დახმარებაზე და არც იმაზე, რომ ჩეჩნეთის ომი ტრაგედიაა, რომლის გამოძახილიც ჩვენს ქვეყანას მრავალი ათეული წლის მანძილზე გაჰყვება.

*- ისეთი სურათი დახატეთ, რომ სამხედროებისა და პუტინის უთანხმოება ზღაპარი გამოდის.*

- არა, ეს არ არის ზღაპარი. უბრალოდ, ჩეჩნეთის სამხედრო კონტინგენტს ცხოვრების საკუთარი წესი აქვს, რომელიც გაჯერებულია პუტინისეული რასისტული შეხედულებებით. დარწმუნებული ვარ, პუტინმა რომც თქვას, მორჩა, ომი დამთავრდა - არა მგონია, ვინმე დაემორჩილოს. იცით, რატომ? სამხედროთა უმრავლესობას იქ თავისი ინტერესები აქვს. ნაწილი ნავთობის ბიზნესით არის დაკავებული, სტავროპოლის მხარესა და უზბეკეთში გადააქვთ ეს პროდუქტი და ამას სამხედროები და ჩეჩენი ბანდიტური დაჯგუფებები ერთად აკეთებენ. არის ნაწილი - რომელიც იჯიბავს ე.წ. "ჩეჩნეთის აღდგენის" ფულს. არიან ადამიანები, ყველაზე დაბალი ფენა, რომლებიც, უბრალოდ, ბლოკპოსტებზე ყვლეფენ ხალხს - გავლა გინდა? 10 ან მეტი დოლარი გადაიხადე. ფინანსურად ყველაზე გავლენიანი და მდიდარი ნაწილიც არის. ისინი, ვინც მონაწილეობენ ცოცხალი ადამიანებითა და გვამებით ვაჭრობაში (გვამი უფრო ძვირია). სისტემა ნაცნობია - სამხედროები უთვლიან ოჯახს გადასახდელი ფულის რაოდენობას. ე.წ. წმენდის დროს დაკავებულ ადამიანებს დაწესებული თანხის გადახდა უხდებათ იმისთვის, რომ არ წაიყვანონ გასაფილტრად, ან არ გააუპატიურონ, ან არ აუფეთქონ სახლი და მანქანა - ამ ყველაფრის ყიდვა შეიძლება. ადრე ოჯახები დასამარხ ფულს აგროვებდნენ, ახლა გამოსასყიდი თანხის შეგროვებას ცდილობენ. იმის თქმა მინდა, რომ ჩეჩნეთში ყოველ სამხედროს ბიზნესის თავისი ნაგლეჯი აქვს. არსებობს პუტინის დანიშნული ახალი ჩეჩნური ადმინისტრაცია. მათაც თავისი ბიზნესი აქვთ და სულაც არ არიან დაინტერესებულნი, რომ დასრულდეს წმენდა, დასრულდეს ომი. ჩამოყალიბდა სტრუქტურა, სადაც ომს აზრი აქვს. ომი საჭიროა.

*- როგორ გგონიათ, პასუხისმგებლობის რა წილი აქვს საქართველოს ახლანდელ დაძაბულ ვითარებაში?*

- მიმაჩნია, ორი პრეზიდენტის სირცხვილია, რომ ვერ მოილაპარაკეს. ჩვენ ხომ იმისთვის ვირჩევთ მათ, რომ ამის გაკეთება შეძლონ, ანუ, მათი მთავარი ფუნქცია ქვეყანაში მშვიდობის დამყარებაა... ჩვენმა პრეზიდენტმა ჩასახა ეს რიტორიკა, თქვენმა პრეზიდენტმა აიტაცა და თავისი ინტერესებით გაალღვივა, შედეგად კი, ორი ქვეყანა ომის წინაშე დგას. იცით, რატომ არიან ყოჩაღები? არც ერთის არც შვილი და არც შვილიშვილი ოპერაციაში მონაწილეობას არ მიიღებს. არც ერთ პრეზიდენტს ომი თვალით არ უნახავს, არ უვლია გვამებს შორის, არ დახმარებია დაჭრილსა და გაჭირვებულს - აი, ამიტომ აკეთებენ ასე ყოჩაღად სრულიად უპასუხისმგებლო განცხადებებს.

*- ჩვენ საქმეებზე ვისაუბროთ. რას ელოდით ამ სემინარისგან და გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი?*

- ჯერჯერობით, არა. უფრო მეტ ინფორმაციას ველოდი. შეხვედრები მიმდინარეობდა "თქვენ გვაწყენინეთ" განწყობით. ჩვენ ხომ ისეთივე საინფორმაციო შიმშილი გვაქვს, როგორც თქვენ. ვფიქრობ, ხვალიდან მოქმედებას დავიწყებ. მოსკოვში მე ინფორმაციის გარეშე ვერ ჩავალ. პირველ რიგში პანკისში უნდა გავემგზავრო.

■ ■ ■

*კიშინიოვის სამიტამდე პრეზიდენტებმაც და პრესამაც, რაც სათქმელი იყო, თქვეს. როგორც ჩანს, დასაწყისისა და დასასრულის გმირი პუტინი იქნება. იგი მოვიდა და დაიწყო ომი ჩეჩნეთში. შემდგომი საპრეზიდენტო საარჩევნო პიარი ასეთი იქნება - მოვალ და დავამთავრებ ომს ჩეჩნეთში.*

*შევარდნაძეს კი საშინაო და საგარეო პრობლემები ისედაც ჰყოფნის.*


ანა პოლიტკოვსკაია


გენადი სისოევი


მიხაილ შეველიოვი

# საპარლამენტო პრეისკურანტში დიდი ცვლილებების შეტანის დრო ჯერ არ დამდგარა

**თუ ამ კვირის პარლამენტის პლენარული სხდომების დღის წესრიგს ერთი თვის წინანდელს შეადარებთ, გაოცებული აღმოაჩენთ, რომ ისინი თითქმის იდენტურია. ყოველ შემთხვევაში, განსახილველი საკითხების თითქმის 80 პროცენტი ერთი და იგივეა. ამის ახსნა არც ისე ძნელია: პოლიტიკურ ინტრიგებში გართული პარლამენტი თავისი უშუალო მოვალეობის - კანონშემოქმედებითი საქმიანობის - აღსრულებისთვის ვეღარ იცლის და კანონპროექტები ერთი პლენარული სხდომიდან მეორეზე ავტომატურად გადადის.**

გიორგი ასანიშვილი

ასე, მაგალითად, ლამის უხსოვარი დროიდან მოდის და აღარ დადგა ისეთი დადგენილების პროექტების დრო, როგორებიც არის "ნდობის ჯგუფის დამტკიცების შესახებ", "მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების დამტკიცების შესახებ" (როგორც კი საქმე პრესტიჟულ ჯგუფებსა თუ დელეგაციებში ყოფნაზე მიდგება, ფრაქციებს შორის საერთო ენის გამონახვა ვერ ხერხდება და საკითხი "ფლავდება"), "განვითარების კრედიტის შესახებ" და მრავალი სხვა. ასევე დიდი ხანია ჰაერშია გამოკიდებული და ვერ ეღირსა განხილვას კანონპროექტი, რომელიც პურის დაბეგვრასთან დაკავშირებით საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს, კანონპროექტი "კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის შესახებ", "საქართველოს სარკინიგზო კოდექსი" და ა.შ.

არის ისეთი საკითხებიც, რომელთა "დაკანონებაზე" ლაპარაკიც კი ზედმეტია: ისინი პარლამენტის პლენარული სხდომების დღის წესრიგში მოხვედრასაც ვერ "ახერხებენ" - ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების დაჟინების მიუხედავად, საკანონმდებლო ორგანოში ვერა და ვერ დაიწყო დისკუსია ისეთ "ანონსირებულ" და "რეკლამირებულ" თემებზე, როგორებიც არის გუბერნატორის ინსტიტუტის არსებობის მიზანშეწონილობა, საქართველოს კონსტიტუციაში აფხაზეთის სტატუსის საკითხი, უკანონოდ პრივატიზებული ქონების ჩამორთმევა, სახელმწიფო ენის საკითხი, სტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფო ობიექტების პრივატიზების დროს სიფრთხილის გამოჩენის აუცილებლობა...

ცხადია, ამა თუ იმ კანონპროექტის დაბლოკვა, ან პირიქით, მათი ლობირება, შემთხვევით არ ხდება და ეს პროცესი გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. ეს ცალკე და ვრცელი საუბრის თემაა. ამჯერად კი, მოკლედ იმის თქმა შეიძლება, რომ კონკრეტული საკანონმდებლო საკითხების უკან, როგორც წესი, კონკრეტული პოლიტიკურ-ფინანსური ჯგუფის კორპორატიული ინტერესები დგას და მრავალი კანონპროექტის "მოძრაობას" სწორედ მათი უხილავი ხელი არეგულირებს. ამ შემთხვევაში, პარლამენტარები მარტონი არ არიან - პროცესში, მათთან ერთად, აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებიც მონაწილეობენ. ისიც ნათელია, რომ მთელი ეს სისტემა უანგარობისგან ძალიან შორს დგას. პირიქით: იგი სწორედ "ხელი ხელს ჰბანს" პრინციპზეა დაფუძნებული და იმ კორუფციული პირამიდის საძირკველს წარმოადგენს, რომელთან ბრძოლაც, ბედის (უფრო, უბედობის) ირონიით, თავად მასვე აქვს დავალებული.

აღნიშნული პარტოკრატიულ-ჩინოვნიკური მონსტრის შიგნით ზოგჯერ შიდა წინააღმდეგობები იჩენს ხოლმე თავს, რის გარეგნულ გამოხატულებასაც პარლამენტში გაჩაღებული, სამშობლოზე ზრუნვით მოტივირებული, მწვავე დებატები წარმოადგენს.

ასეთ წარმოდგენებს, ალბათ, ამ კვირაშიც ვიხილავთ. თუმცა, მაინც ნაკლებად სავარაუდოა, რომ სერიოზულად შეიცვალოს "ფასები" იმ შიდა პოლიტიკურ ბაზარზე, რომელიც ბოლო პერიოდში ჩამოყალიბდა. ალბათ, ისევ გაგრძელდება სოციალისტებისა და "მრეწველების" ხელისუფლებასთან (განსაკუთრებით, სახელმწიფო მინისტრთან) დაახლოების პროცესი და პრეზიდენტის მხარდამჭერ საპარლამენტო ფრაქციებთან ერთად, - ახალი საპარლამენტო უმრავლესობის შექმნის მცდელობა, ისევე, როგორც საპირისპირო ტენდენცია - უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლებისგან "ახლების" დემონსტრაციული გამიჯვნა და იმ ძალებთან დაახლოება, რომელთანაც მათ ახლო წარსულში პოლიტიკურ ოლიმპზე ადგილი ვერ გაიყვეს.

ამ პროცესებისთვის დამახასიათებელი ხმაურისა და აჟიოტაჟის მიუხედავად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაინც არ უნდა ველოდოთ, რომ მთელი ეს მანევრები უახლოეს პერიოდში რაიმე სერიოზული გადაწყვეტილების მიღებით დასრულდება. რაც არ უნდა იყოს, "დიდ არჩევანამდე" ჯერ მაინც საკმაო დროა და ამდენად, ნაადრევად რაიმე ვალდებულებების აღება და ამით საკუთარი თავისთვის ხელბორკილების ნებაყოფლობით დადება (ან, თუნდაც, "კარტის გახსნა") მეტად არაპრაგმატულია.

# გარემოს დაცვის სამინისტრო „მწვანეებს" დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს

## რადიაციული სამარხი გუდაუთაში კი არა, აღმოსავლეთ საქართველოში აშენდება

*საქართველოს მწვანეთა პარტიის ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ გაავრცელა ცნობა გუდაუთაში რადიაციული სამარხის მშენებლობის შესახებ. გაჩეჩილაძის ინფორმაციით, ამ საკითხთან დაკავშირებით, საზოგადოებისგან დაფარულად, მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები, რომელშიც ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოსთან ერთად საქართველოს სახელისუფლებო უწყებებიც მონაწილეობენ. მწვანეთა პარტიის სპიკერი საიდუმლო შეხვედრებში მონაწილეთა შორის უშიშროების საბჭოს და გარემოს დაცვის სამინისტროს ასახელებს. "24 საათი" დაუკავშირდა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს.*

ვერიკო თევზაძე

სამინისტროს წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფენ გიორგი გაჩეჩილაძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას როგორც გუდაუთაში სამარხის მშენებლობის დიდ ალბათობაზე, ასევე გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ.

სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, ორიოდე წლის წინ აფხაზების მხრიდან მართლაც იყო შემოთავაზება სამარხის აშენებაზე, ოღონდ არა გუდაუთაში, არამედ, სოხუმში. **"სამინისტროს პოზიცია უარყოფითი იყო. მინისტრმა ნინო ჩხობაძემ ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა, ვინაიდან ზღვის სანაპიროზე რადიაციული საცავის აშენება ნებისმიერი პარამეტრით დაუშვებელია. სამინისტრომ ამ საკითხის თაობაზე საქმის კურსში ჩააყენა უშიშროების საბჭო და საბჭოს სხდომაზე გაიტანა ინფორმაცია. უშიშროების საბჭომ, რასაკვირველია, გაიზიარა სამინისტროს პოზიცია. ეს ხდებოდა ორიოდე წლის წინ. გვიკვირს, რატომ ავრცელებს გაჩეჩილაძე ასე მოძველებულ და, თანაც, არასწორ ინფორმაციას?"**

დღეისთვის გუდაუთაში საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება. საინტერესოა, რამდენად საფუძვლიანია მწვანეების შიში იმის თაობაზე, რომ სამარხი იქ შეიძლება საიდუმლოდ, მხოლოდ აფხაზებისა და რუსების მონაწილეობით აშენდეს, ისე, რომ მათ ქართული მხარე საქმის კურსშიც არ ჩააყენონ? **"ამგვარი რამ წარმოუდგენელია. რადიაციული სამარხის მშენებლობა ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ჩარევის გარეშე შეუძლებელია. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სააგენტოსთან მჭიდრო კონტაქტები აქვს. ამდენად, გუდაუთაში სამარხის მშენებლობა რეალური რომ იყოს, ჩვენ აუცილებლად გვექნებოდა ინფორმაცია,"** - განუცხადა "24 საათს" გარემოს დაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა მაია კაპანაძემ.

სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოში მართლაც არის დაგეგმილი რადიაქტიური გამოსხივების მქონე წყაროების და ნარჩენების შესანახის მშენებლობა. **"ამ პროექტის შესახებ ატომური ენერგეტიკის სააგენტოსთან 1999 წლიდან დავიწყეთ თანამშრომლობა. მოსამზადებელი ეტაპი უკვე დასრულდა. წელს მაისის თვეში თბილისში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა სააგენტოს გენერალური მდივანი ელ ბარადეი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს შეხვდა. სხვა საკითხებთან ერთად მათ ნარჩენების შესანახზეც ისაუბრეს. პროექტის თაობაზე სააგენტოს საერთაშორისო კონფერენციაზე (300-მდე ქვეყანა მონაწილეობდა) საჯაროდ განაცხადა საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილემ. ასე რომ, ჩვენ არავის არაფერს ვუმალავთ."**

როგორც გარემოს დაცვის სამინისტროში გვითხრეს, ამგვარი ობიექტის აშენება საქართველოში აუცილებელია, ვინაიდან რადიაციული ნარჩენების რომელიმე ქვეყანაში გატანა ვერ ხერხდება - ასეთ წინადადებაზე ნებისმიერი ქვეყანა უარს ამბობს. სამარხის მშენებლობის პროექტს მთლიანად ამერიკის შეერთებული შტატები აფინანსებს.

რადიაციული ნარჩენების შესანახი აშენდება აღმოსავლეთ საქართველოში, ვაზიანთან ახლოს. გარემოს სამინისტროს წარმომადგენელთა მტკიცებით, სამარხის აშენებისას ყველა სტანდარტი ზედმიწევნით იქნება დაცული.

## მოკლედ

**რუსთავი.** რუსთავის მეტალურგიული კომბინატის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ჟორდანია ქონების მართვის მინისტრს სოლომონ პავლიაშვილს უპირისპირდება. როგორც ცნობილია, ორი დღის წინ ხელი მოეწერა იტალიურ ფინანსურ კომპანია „არესი-იმპორტ-ექსპორტთან" ორმხრივი ვალდებულებების ხელშეკრულებას მეტალურგიული კომბინატის რეაბილიტაციისა და შემდგომი განვითარების შესახებ.

„არესის" პრეზიდენტის ანჟელა კორნას განცხადებით, იგი საქართველოს პრეზიდენტს არაერთხელ შეხვედრია და იცის, რომ შევარდნაძე მოხარულია რუსთავის მეტალურგიული კომბინატის აღორძინების შესაძლებლობისა. მისივე თქმით, იტალიურმა კომპანიამ პრეზიდენტს კონკრეტული გეგმა წარუდგინა და ელოდება პასუხს, რომელიც პრესაში გამოქვეყნდება.

პრეზიდენტის მხარდაჭერის ფონზე, „არესიც" და თვით ქართული მხარის წარმომადგენლობაც ქონების მართვის სამინისტროს ჩართვას ამ პროცესებში არ ითვალისწინებენ. ირაკლი ჟორდანია აცხადებს, რომ მეტალურგიული კომბინატი ამჟამად რეაბილიტაციის რეჟიმში იმყოფება და იგი უშუალოდ კრედიტორთა საბჭოს და რეაბილიტაციის მმართველს ექვემდებარება. არავითარი კავშირი ამ პროცესებს ქონების გადაცემასა და, შესაბამისად, ქონების მართვის მინისტრთან არა აქვს.

"ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმებას აწარმოებს რუსთავის სასამართლო და საბოლოოდ ის ნოტარიული წესით დამტკიცდება", - აცხადებს ჟორდანია. მისი აზრით, იტალიური „არესი-იმპორტ-ექსპორტი" კომბინატის რეალური ინვესტორია და თურქულ „ჩუქუროვაზე" საუბარი ბევრს არაფერს შეცვლის.

მეტალურგიული ქარხნის ახლანდელმა დირექტორმა ნოდარ ლვამბერიამაც საჭიროდ მიიჩნია, აღენიშნა, რომ თურქული კომპანიის ბიზნეს-გეგმა შორიდან დანახებულ ფოჩიან კანფეტს ჰგავდა, თვით კომპანია კი საქართველოს მთავრობისგან გემრიელ ლუკმას მოითხოვდა.

ლვამბერიას თქმით, თურქები ქართული მხარისგან მაქსიმალურ საგადასახადო შეღავათებს მოითხოვდნენ, ვალების გადახდის გრაფიკი კი 49 წელზე ჰქონდათ გაწელილი. გარდა ამისა, ბიზნეს-გეგმა ტექნიკური თვალსაზრისით ძალზე სუსტი იყო და კომბინატის ხელმძღვანელობა მასში სახარბიელოს ვერაფერს ხედავდა. ამასთან, ლვამბერიას თქმით, მათ პირში წყალი ჰქონდათ ჩაგუბებული, რადგან, ურთიერთვალდებულებათა ხელშეკრულების თანახმად, ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელების სანაცვლოდ, ქართულ მხარეს 350.000-დოლარიანი ჯარიმა ეკისრებოდა. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო შპს „ჯორჯია ინჟინირინგის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემოწმებას ითხოვს.

როგორც „მედია-ნიუსს" სამინისტროს პრეს-სამსახურში აცნობეს, შპს „ჯორჯია ინჟინირინგმა" კონკურსში გაიმარჯვა და 1998 წელს შპს „ელექტროლიზური მანგანუმის ორჟანგი" („ემო") 10 ათას ლარად იყიდა, რაზეც ამავე წლის 17 ივლისს ინვესტორსა და სამინისტროს შორის ხელშეკრულება გაფორმდა.

ხელშეკრულების თანახმად, მყიდველი ვალდებული იყო, საწარმოში პირველი ორი წლის განმავლობაში ორი მილიონი დოლარის ინვესტიცია, ხოლო შემდგომ ხუთ წელიწადში - 10 მილიონი დოლარის ინვესტიცია განეხორციელებინა. მყიდველს ასევე დაევალა შპს „ემოს" ვალების დაფარვა და ხუთი წლის განმავლობაში ქარხნის თანამშრომელთა 70 პროცენტის დასაქმება.

2000 წლის აგვისტოში მყიდველმა სამინისტროს განხორციელებული ინვესტიციების შეფასებითი დასკვნა წარუდგინა, რომელიც აუდიტორულმა ფირმამ „ალექსანდრემ" მოამზადა. დასკვნის თანახმად, მყიდველმა ორ წელიწადში საწარმოში სამ მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა.

2000 წლიდან დღემდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესახებ ინვესტორს არანაირი ინფორმაცია არ წარუდგენია.

ამიტომაც სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება შპს „ჯორჯია ინჟინირინგის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემოწმების თაობაზე. შესამოწმებელია ხელშეკრულების გაფორმების დღიდან გასული მთელი პერიოდი, - აცხადებენ სამინისტროში. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**თბილისი.** დიღმისათვის ბუნებრივი აირის მიწოდების აღდგენის ვადამ გაურკვეველი დროით გადაიწია. როგორც „მედია-ნიუსს" „თბილგაზის" ტექნიკურმა დირექტორმა თენგიზ არშილავამ განუცხადა, ექვსკილომეტრიანი გაზსადენის ქსელის გამოცდა წარუმატებელი აღმოჩნდა - გაზის დანაკარგები კვლავ დიდია.

ხვალ ქსელს მეორედ გამოცდიან, რათა დადგინდეს დაზიანებები, რომელმაც აირის დაკარგვა გამოიწვია. არშილავას ვარაუდით, საქმე გვაქვს აირის უკანონოდ გამოყენებასთან, რადგან გაზსადენის ამ მონაკვეთზე 20 წლის განამვლობაში არც ერთი დაზიანება არ ყოფილა.

რაც შეეხება წყნეთს, იქ მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა და, სავარაუდოდ, გაზის მიწოდება ამ კვირაში აღდგება. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს განახლდება მოლაპარაკებები ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარსა და „ეი-ი-ეს თელასს" შორის, ამ უკანასკნელის მიერ ბაზრისთვის გადასახდელი 34-მილიონიანი დავალიანების დაფარვის თაობაზე.

როგორც „მედია-ნიუსს" კომპანია „ეი-ი-ეს თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცნობეს, მოლაპარაკებები ორ დღეს გასტანს. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**თბილისი.** თურქული კომპანია "შიშეჯამი" ქონების მართვის სამინისტროს მოთხოვნებს იგნორირებას უწევს. სამინისტროს ცნობით, კომპანია "შიშეჯამი", რომელმაც პრივატიზაციის მიზნით ჩატარებულ კომერციულ კონკურსში 1997 წელს გაიმარჯვა და სააქციო საზოგადოება "მინას" საკონტროლო პაკეტი მიიღო, წლების მანძილზე არანაირ ინფორმაციას არ აწვდის სამინისტროს განხორციელებული ინვესტიციების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ ოთხი წლის განმავლობაში კომპანიას უნდა განეხორციელებინა, მინიმუმ, 10 მილიონი დოლარის ინვესტიცია, მაგრამ, არაერთი წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად, სამინისტრომ ვერ მიიღო ინფორმაცია, განხორციელებული ინვესტიციის შესახებ.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2001 წელს ამოიწურა. რაც მთავარია, კომპანია "შიშეჯამი" ოფიციალური წარმომადგენლობა მდებარეობს სტამბოლში, ეს კი ქონების მართვის სამინისტროს კომპანიასთან ურთიერთობაში გარკვეულ პრობლემებს უქმნის. **"კავკას-პრესი"**

## ბიზნესის ამბები

### გერმანიას საბანკო კრიზისი ელის

სამი უდიდესი გერმანული ბანკის - "დოიჩე ბანკის", "კომერცბანკისა" და "ჰიპოფერაინსბანკის" კაპიტალბრუნვა წლის დასაწყისიდან 57 მილიარდი დოლარით შემცირდა. დასავლელი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ გერმანიას იაპონიის მსგავსი საბანკო კრიზისი ელის. აქციების ფასების დაცემა უარყოფითად მოქმედებს საბანკო სისტემაზე. ამერიკული საინვესტიციო ბანკის "მერილ ლინჩის" ანალიტიკოსები შეშფოთებას გამოთქვამენ შექმნილი სიტუაციის გამო.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ წელს გერმანიაში მოსალოდნელია 40 ათასი კორპორაციული ბანკროტობა. შესაბამისად, გაცემული კრედიტების უკან დაბრუნება ძალიან გართულდება. ასეთ შემთხვევაში, გერმანული ბანკები იძულებული გახდებიან, დიდი რეზერვები შექმნან, რაც შემოსავლის შემცირებას გამოიწვევს.

გერმანიის ცენტრალური ბანკი "ბუნდესბანკი," იაპონიის ცენტრალური ბანკისგან განსხვავებით, სასწრაფო ზომების მიღებას არ აპირებს. "ბუნდესბანკში" აცხადებენ, რომ, მიუხედავად საბანკო სექტორში შემოსავლების შემცირებისა, გერმანიის ბანკების სტაბილურობა არავითარ ეჭვს არ იწვევს.

### იუგოსლავიას ნახევარი მილიარდი დოლარის ვალი ჩამოაწერეს

იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გორან სვილანოვიჩმა და აშშ-ს ელჩმა იუგოსლავიაში უილიამ მონტგომერიმ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც პარიზის კლუბის ჩარჩოებში იუგოსლავიას 353 მილიონი დოლარის ვალი ჩამოეწერება. გორან სვილანოვიჩმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში მოსალოდნელია, კონგრესმა მხარი დაუჭიროს კანონს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების დარეგულირების შესახებ.

გარდა ამისა, იუგოსლავიის ვიცე-პრემიერმა მიროლუბ ლაბუსმა და იუგოსლავიაში შვეიცარიის ელჩმა გაუდენც რუფმაც მოაწერეს ხელი შეთანხმებას იუგოსლავიის ვალის ნაწილის - 174,59 მილიონი დოლარის ჩამოწერის თაობაზე. ასევე, პარიზის კლუბის კრედიტორებთან შეთანხმების საფუძველზე, ლაბუსის განცხადებით, იუგოსლავიას დარჩება შვეიცარიის ვალი 91 მილიონი ევრო, რომელსაც 26 წლის მანძილზე გადაიხდის.

### "ნიკეის" ინდექსი ეცემა

იაპონიის საფონდო ინდექსი "ნიკეი" 9000 პუნქტით დაეცა, ამგვარი რამ პირველად ხდება 1983 წლის შემდეგ. საფონდო ბაზარზე იმოქმედა იაპონიის მთავრობის გადაწყვეტილებამ, გაატაროს სასწრაფო და მკაცრი ზომები ქვეყნის საბანკო სექტორის გასაჯანსაღებლად. ინვესტორები შიშობენ, რომ რეფორმა ბანკებისა და მათი მოვალეების – წამყვანი იაპონური კორპორაციების გაკოტრებას გამოიწვევს. ექსპერტთა მოსაზრებით, ეს საფრთხე იაპონიის კორპორაციული სექტორის მესამედს ემუქრება.

სპეციალისტთა აზრით, პრობლემის სათავე 1980-იან წლებში უნდა ვეძებოთ, როდესაც იაპონურმა კომპანიებმა თავიანთი აქციები და უძრავი ქონება იაფი კრედიტების მისაღებად გირაოში ჩადეს ბანკებში და ამით, ფაქტობრივად, თავიანთი აქტივების განიავება დაიწყეს.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ბოლო ხუთი წლის მანძილზე იაპონური ბანკების მიერ გაცემული კრედიტების საერთო მოცულობამ 425 მილიარდ ევროს მიაღწია. აქედან 20 პროცენტი უიმედო ვალებად ითვლება.

**ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 30 სექტემბერი - 7 ოქტომბრის მდგომარეობით**




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6376 | 0.6323 | 0.0054 |
| US$ | 1.5684 | | 0.9916 | 0.0084 |
| €uro | 1.5816 | 1.0084 | | 0.0085 |
| ¥en | 185.73 | 118.4 | 117.42 | |

**2002 წლის 7 ოქტომბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:**

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1255 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3805 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4555 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1550 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3156 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1755 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0680 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4402 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3722 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0435 ლარი |

# „იტერა-ჯორჯია" აღარ შეიქმნება

პირველი გვერდიდან


გიორგი ისაკაძე

რა თქმა უნდა, თუ შეღავათი მთლიანად დარგზე არ ვრცელდება. თუმცა, ქართული მხარე თანახმა იყო, მოლაპარაკებაზე განხილულიყო კომპენსირების საკითხი, რადგან, გარდა იმისა, რომ გაზის სამომხმარებლო ტარიფში არსებობს არაერთი კომპონენტი, რომელიც, ჩვენი აზრით, მას ხელოვნურად ზრდის, ტარიფის მატებას საგადასახადო ნორმებიც განაპირობებს. საქართველოს საზღვართან "იტერასგან" ათასი კუბური მეტრი მოცულობის გაზს 60 დოლარად ვყიდულობთ, თბილისში კი მომხმარებელს იგი 145 დოლარად მისდის. ჩვენი აზრით, გაუმართლებელ დაბეგვრას გაზის გაძვირებამდე მივყავართ. პროდუქციაზე 85-დოლარიანი მატება ნორმალურ ქვეყანაში წარმოუდგენელია.

**- ტარიფის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით როგორი იყო "იტერას" პოზიცია?**

- "იტერა" თანახმა იყო, ტარიფის ოპტიმიზაციის ტერმინი დეტალურად გაშლილიყო, რათა, მოგვიანებით, ურთიერთვალდებულებების შესრულებისას, ადგილი არ ჰქონოდა გაუგებრობას. ტარიფის ოპტიმიზაცია ხომ ტარიფის მომატებას არ ნიშნავს. დამოუკიდებელი ანალიტიკოსები, რომლებიც "თბილგაზის" თემატიკით არიან დაკავებულნი, გვარწმუნებენ, რომ დღეს არსებული ტარიფიც კი საკმაო ოდენობის რეზერვს შეიცავს.

ცალკე საუბრის თემაა ის, რაც დღეს გაზის სექტორში ხდება. მიმაჩნია, რომ სანამ ამ სფეროთი სპეციალისტები არ დაკავდებიან, ძალზე რთული იქნება წინსვლაზე საუბარი. დღეს ამ სფეროში ბევრი არაპროფესიონალია. ჩვენ სერიოზულად განვიხილავთ სხვადასხვა პროექტებში სწორედ გაზის სპეციალისტების ჩართვის საკითხს. ეს ის პრობლემაა, რისი მოგვარებაც საკუთარი ძალებით შეგვიძლია.

**- ხომ არ გაამკაცრებს "იტერა" საქართველოსთან ურთიერთობის პირობებს "იტერა-ჯორჯიას" თაობაზე ვერშემდგარი მოლაპარაკების გამო?**

- არა. "იტერა" ის კომპანიაა, რომელიც ყოველთვის ითხოვს გადახდას კანონიერად, თუნდაც ორ სუბიექტს შორის არსებული შეთანხმებით. მისთვის კანონია ის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებული აქვს ქართულ მხარესთან, ამ შემთხვევაში, თბილისის მერიასთან. თავის დროზე არავის დაუძალებია ქართული მხარისთვის, ხელი მოეწერა მიუღებელი ხელშეკრულებისთვის. თუმცა, გარკვეულ პერიოდში, როცა საუბარი ერთი თვით წინასწარი გადახდის ვალდებულების საკითხს ეხებოდა, მერია მართლაც გამოუვალ მდგომარეობაში იყო. ეს იმას არ ნიშნავს, რომ, რადგან ჩვენ თანხას ვერ ვიხდით და მოხმარებული გაზის საფასურის მობილიზებას ვერ ვახერხებთ, არც ტექნიკური დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანაზე ვიმუშაოთ და ურჩი გადამხდელების გათიშვებზეც უარი ვთქვათ.

და კიდევ ერთი: მე შემიძლია ვთქვა, რომ მოლაპარაკება ჩაიშალა, მაგრამ "იტერა" კვლავ რჩება საქართველოს პარტნიორად. ის დღეს საქართველოს აწვდის გაზს და ეს გაგრძელდება მანამდე, სანამ საქართველოსთვის ამ კომპანიის მიერ შემოთავაზებული ფასი მისაღები იქნება.

**- რა კონკრეტული გზები დაისახა სამომავლოდ "იტერასთან" ურთიერთობაში?**

- ჩვენ ახლა ცენტრალურ ბიუჯეტში გაზის მეურნეობის სარემონტო სამუშაოებისთვის გარკვეული თანხა ჩავდეთ. საკმაოდ სერიოზულ თანხებს მოიზიდავს თბილისის მერიაც. ამ ფონზე, "იტერასთან" ურთიერთობა ზუსტად ისევე გაგრძელდება, როგორც მოლაპარაკების პროცესში იყო. ანუ, მასთან პრობლემა მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექნება, თუ გაზის საფასურს არ გადავიხდით. უფასო გაზის კარგი მომწოდებელი კი არც ამერიკელი მინახავს, არც - რუსი და არც - სხვა ეროვნებისა.

"იტერასთან" გაფორმდება სამი ხელშეკრულება. პირველი: "იტერა" აუცილებლად დაამთავრებს თავის ბიზნეს-გეგმას "აზოტთან", რაც ითვალისწინებს უახლოეს ორ-სამ კვირაში 500 ათასი დოლარის ინვესტირებას კაპროლაქტამის საწარმოს ასამუშავებლად, შესაბამისად, ასევე დამატებით 500-700 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას, რის შემდეგაც "აზოტი" ამუშავდება როგორც ერთიანი კომპლექსი და არა როგორც ნაწილი, რომელიც უშვებს ამიაკს ან სასუქებს.

მეორე: "იტერასთან", სავარაუდოდ, გაფორმდება ხელშეკრულება ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. საუბარი არ არის ქონებრივ ან საინვესტიციო ვალდებულებებზე. ხელშეკრულება გაითვალისწინებს "თბილგაზის" მიმართ "იტერას" მხრიდან ტექნიკური დახმარების აღმოჩენას. ამ საკითხზე სერიოზული გავლენა იქონია იმ ტექნიკურმა მისიამ, რომელიც "იტერამ" "თბილგაზში" გამოგზავნა. ამ მისიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ "თბილგაზი" უმძიმეს ტექნიკურ მდგომარეობაშია. წინააღმდეგ შემთხვევაში, "იტერა" ერთობლივ საწარმოზე უარს ასე იოლად არ იტყოდა.

და მესამე: ყველანაირი რესურსი იმისა, რომ "თბილგაზი" დარჩეს თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში, ამოწურულია. ამიტომ მომავალში, როდესაც ეს საკითხი გადაწყდება, ანუ როცა განისაზღვრება ქართული სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც "თბილგაზის" მენეჯმენტს განახორციელებს, "იტერა" მასთან გააფორმებს ახალ ხელშეკრულებას გაზის მიწოდების თაობაზე.

**- როგორ გადაწყდება "იტერას" ვალების რესტრუქტურიზაციის საკითხი?**

- ვალების დაფარვის გეგმა ჩადებულია ბიუჯეტში, შეთანხმებულია სავალუტო ფონდის ვალების მომსახურების სტრატეგიასთან. "იტერას" ვალები მხოლოდ "თბილგაზს" არ დაუგროვებია. საუბარია წლების განმავლობაში დაგროვილ ვალებზე. თვის ბოლომდე "იტერასთან" გაფორმდება გენერალური ხელშეკრულება ამ საკითხის თაობაზე და ძირითადი პრინციპები "იტერასთან" შვიდწლიანი ვადით შეთანხმდება.

**- რა პრინციპებზეა საუბარი?**

- "იტერას" ვალების მომსახურება უნდა გადაწყდეს ენერგეტიკის ვალების მომსახურების სტრატეგიის ჩარჩოებში. ეს სტრატეგია მთელი ენერგოსისტემის ვალების მომსახურებას მოიცავს. "იტერას" ვალების რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულება ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმების ხელმოწერასთან ერთად გაფორმდება, რისთვისაც "იტერას" ხელმძღვანელობა საქართველოში ჩამოვა.

არ გამოვრიცხავ, რომ ისინი ჩამოვიდნენ "აზოტში" 500 ათასი დოლარის დაბანდებისა და კაპროლაქტამის საწარმოს ამუშავებასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე. მათ ძალიან დიდი სურვილი აქვთ, შეხვდნენ რუსთავის მოსახლეობას. მე "24 საათში" გავეცანი ინფორმაციას იტალიური კომპანიის "ლუკინის" შესახებ. აქ საუბარი სოლიდურ ინვესტიციაზეა. სხვათა შორის, "ლუკინის" საუბარს მეტალურგიულ კომბინატთან "იტერას" წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. "იტერა" "ლუკინისთან" ითანამშრომლებს და იქნება გაზის მიმწოდებელი მეტალურგიულისთვის. ამ ორი პროექტის განხორციელებით კი სერიოზული სამრეწველო პრობლემები მოიხსნება.

**- რას ითვალისწინებს ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმება?**

- ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმება ითვალისწინებს ექსპერტულ დახმარებებს, შეფასებებს გაზის ტარიფთან მიმართებაში, ტექნიკურ პროექტებზე მუშაობას. "იტერას" გარდა, ჩვენ ვაპირებთ თანამშრომლობას აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან, საკონსულტაციო კომპანია "პიეი კონსალტინგთან". ჩვენ გავეცანით მათი ექსპერტების მიერ მომზადებულ დოკუმენტაციას "თბილგაზთან" დაკავშირებით. სხვათა შორის, მათი ძალიან მნიშვნელოვანი წინადადებები აქამდე იგნორირებული იყო.

**- რა ბედი ელის "თბილგაზს" უახლოეს მომავალში?**

- "თბილგაზი" დარჩება ზუსტად იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ადრე იყო. ანუ, ის დარჩება ასპროცენტიან სახელმწიფო კომპანიად. უახლოეს მომავალში კი "თბილგაზი" მენეჯმენტისთვის გადაეცემა სხვა სახელმწიფო სტრუქტურას, კერძოდ, ერთ-ერთ სამინისტროს.

**- აქვს თუ არა "იტერასთან" ერთობლივი საწარმოს შესახებ მოლაპარაკებას განახლების პერსპექტივა?**

- ჩვენ გადაწყვეტილება მას შემდეგ მივიღეთ, რაც პირობების შეჯერება მოხდა და დავინახეთ, რომ, პრინციპული მომენტების გამო, შეთანხმებას ვერ ვაღწევდით. ახლა "თბილგაზი" კვლავ საპრივატიზაციო ობიექტად დარჩება იმ ნორმალური კომპანიისთვის, რომელიც მზად იქნება, სოლიდური თანხებით შემოვიდეს მის მენეჯმენტში, მოახდინოს ტექნიკური გადაიარაღება, გამრიცხველიანება. იმისთვის კი, რომ "თბილგაზი" საინვესტიციოდ უფრო მიმზიდველი გახდეს, მუშაობა გაგრძელდება.

# საქართველოს რკინიგზა სტატუსს იცვლის და პარტნიორებს ეძებს

## იგი სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნება

***სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის "საქართველოს რკინიგზა" სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნება. იურიდიული სტატუსის შეცვლა რკინიგზის ხელმძღვანელობას მსხვილ უცხოურ კომპანიებსა და, კერძოდ, ტვირთის გადამზიდავებთან მომგებიანი პარტნიორული ურთიერთობების დამყარების გაუადვილებს. მთავრობას კი მომავალში რკინიგზის აქციების საფონდო ბირჟის მეშვეობით გაყიდვის საშუალებას მისცემს.***

ზვანცა ქვინიკაძე

ამჟამად "საქართველოს რკინიგზა" შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა. მისი სახელმწიფო სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის იდეა მთავრობას თავად "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ წარუდგინა. მისი განცხადებით, ასეთი ტრანსფორმაციის განხორციელების აუცილებლობა დრომ მოიტანა.

**"სააქციო საზოგადოებად გარდაქმნილი რკინიგზა გაცილებით საინტერესო შეიძლება გახდეს მსხვილი ტვირთგადამზიდავებისთვის, რომლებთან პარტნიორობა ჩვენთვის მეტად ხელსაყრელი იქნება, მით უმეტეს, თუ მათთან ერთობლივ საწარმოებს შევქმნით. ასეთი დაინტერესება კი უკვე არსებობს",** - განაცხადა აკაკი ჩხაიძემ "24 საათთან" საუბრისას. მისი თქმით, საქართველოს, რუსეთისა და სამხრეთის სატრანსპორტო დერეფნებს შორის არსებული მწვავე კონკურენციის პირობებში, ტვირთის მსხვილ გადამზიდავებთან ერთობლივი საწარმოების ჩამოყალიბება რკინიგზისთვის იმის დამატებით გარანტიებს შექმნის, რომ ამ გადამზიდავთა ტვირთები აუცილებლად საქართველოს რკინიგზით გადაიზიდება.

"საქართველოს რკინიგზის" სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის პროცესი უკვე დაწყებულია. სახელმწიფო მინისტრის მოადგილის აკაკი ზოიძის განცხადებით, ამ მხრივ, საკმაოდ სერიოზული სამუშაოა შესასრულებელი. მისი ინფორმაციით, პროცესი, სავარაუდოდ, ორ-სამ თვეში შპს-ს ლიკვიდაციითა და ახალი, 100 პროცენტით სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი სააქციო საზოგადოების შექმნით დასრულდება. ამ ეტაპზე, ჯერ კიდევ არ არის დადგენილი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: ახალი სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ოდენობა, ის, თუ აქციების რა წილს მიიღებს კოლექტივი და რა წილი გაიყიდება (თუ, საერთოდ გაიყიდება) ბირჟაზე. თუმცა, უკვე არსებობს აუდიტორული დასკვნა, რომლის თანახმადაც "საქართველოს რკინიგზის" საწესდებო კაპიტალი 360 მილიონ ლარად არის შეფასებული. მოგვიანებით გადაწყდება რკინიგზის აქციების საფონდო ბირჟაზე გატანა-არგატანის საკითხიც. **"ცხადია, საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს ხელში უნდა დარჩეს. თუ ბირჟაზე მათი გატანა გადაწყდება, საუბარი, ალბათ, მხოლოდ 5-10 პროცენტზე იქნება",** - აცხადებს ზოიძე.

ეს მიდგომა აბსოლუტურად შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ გაცხადებულ ახალ ეკონომიკურ კურსს, რომლის თანახმადაც მსხვილი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზება და მათი აქციების ნაწილის გაყიდვა სწორედ საფონდო ბირჟის მეშვეობით მოხდება. ამ მიზნით, ქონების მართვის სამინისტრო და საქართველოს საფონდო ბირჟა ერთობლივი საბირჟო საპრივატიზაციო აუქციონების გამართვას გეგმავენ. ერთ-ერთ პირველ საწარმოდ, რომლის აქციებიც (15 პროცენტი) საფონდო ბირჟაზე გამოვა გასაყიდად, "საქართველოს ელექტროკავშირი" დასახელდა.

მაგრამ ასეთ მიდგომას "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი არ იზიარებს. **"პრაქტიკულად განადგურებული დარგი, ჩვენ თითქმის ევროპულ დონეზე ავიყვანეთ; ბიუჯეტში ყოველწლიურად 55 მილიონი ლარი შეგვაქვს, მაშინ, როცა მისგან ერთ თეთრსაც არ ვიღებთ. არსებული პროგნოზით, უახლოეს ორ-სამ წელიწადში ჩვენი საბიუჯეტო შენატანები 100 მილიონამდე გაიზრდება. ამის გათვალისწინებით, რკინიგზის მიმართ იმ მიდგომების გამოყენება, რაც დაუძლურებულ კომპანიებს სჭირდებათ, მიუღებელია,"** - აცხადებს ჩხაიძე. მისი აზრით, "საქართველოს რკინიგზის" აქციები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაიყიდოს, თუ მათი შეძენით ძალიან მსხვილი ინვესტორი ან ისეთი ტვირთგადამზიდავი კომპანია დაინტერესდება, რომლის ტვირთების მოზიდვასაც რკინიგზისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება.

სამწუხაროდ, "საქართველოს რკინიგზის" სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ ქონების მართვის სამინისტროს მოსაზრების დადგენა "24 საათმა" ვერ შეძლო. მიუხედავად ამისა, მთავრობაში პოზიციები საკითხის გარშემო უკვე გამოკვეთილია, მათი შეჯერების შედეგს კი წლის ბოლოს ან, უკიდურეს შემთხვევაში, მომავალი წლის პირველი კვარტლის დამთავრებამდე შევიტყობთ.

# ევროპა-ამერიკის ურთიერთობა „ბირთვულ ომში" გადაიზარდა

თორნიკე შარაშენიძე

*ევროკომისია აშშ-ს წინააღმდეგ ახალი საპასუხო დარტყმისათვის ემზადება, რამაც, შეიძლება, ორ მხარეს შორის ახალი სავაჭრო ომი გამოიწვიოს. მეტიც, საუბარია სავაჭრო ბირთვულ ომზე, რადგან საქმე რადიაქტიურ ნივთიერებებს ეხება.*

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ მიმდინარე წლის დასაწყისში აშშ-ს კომერციის დეპარტამენტმა ტარიფები დაუწესა ურანის ევროპელ მწარმოებლებს. დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ეს იმით ახსნეს, რომ ურანიუმის ევროპელი დამამზადებლები უსამართლო სახელმწიფო სუბსიდიებით სარგებლობენ. რამდენად უსამართლოა ეს სუბსიდიები, ძნელი სათქმელია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ძველი კონტინენტიდან ამერიკაში ექსპორტირებული ურანის საერთო ღირებულება 500 მილიონ დოლარს აღწევს და მას ამერიკული ბაზრის ერთი მესამედი უჭირავს. ასე რომ, კომერციის დეპარტამენტი, ალბათ, გვარიანად შეაწუხა ევროპელების ასეთმა ექსპანსიამ.

ევროკომისიამ პრობლემის გადაწყვეტა მოლაპარაკებათა გზით სცადა, მაგრამ ამან არანაირი შედეგი არ გამოიღო. ახლა ძველი კონტინენტი აპირებს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას საჩივრით მიმართოს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკასა და ევროპას შორის სავაჭრო ომმა ახალი გაგრძელება ჰპოვა. ბრძოლა ჯერ კორპორაციულ გადასახადებზე, ფოლადსა და ბანანებზე მიდიოდა, ახლა კი საქმეში რადიაქტიური ნივთიერებები ჩაერთო.

გალარიბებული ურანი ბირთვული იარაღისათვის არ გამოიყენება. იგი ატომური ელექტროსადგურებისათვის საწვავის მოვალეობას ასრულებს. ამ ნივთიერების გარშემო დავა ორი წლის წინ ატყდა, როცა აწ პრივატიზებულმა, მაშინ კი ამერიკის სახელმწიფო კომპანიამ და ქვეყანაში ურანის ერთადერთმა მწარმოებელმა - "იუეს ენრიჩმენტმა" საზღვარგარეთელი კონკურენტების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ესენი იყვნენ საფრანგეთის სახელმწიფო კომპანია "ეუროდიფი" და ბრიტანულ-ჰოლანდიურ-გერმანული კონსორციუმი "ურენკო." საჩივრის თაობაზე გამოძიება ჩაატარა აშშ-ს საერთაშორისო სავაჭრო კომისიამ, რომელმაც დაადგინა, რომ "სუბსიდირებული" ევროპული ურანი ზიანს აყენებდა ადგილობრივ წარმოებას. შედეგად "ეუროდიფი" ახლა დამატებით 34 პროცენტს იხდის, "ურენკო" კი - 2,3 პროცენტს.

ევროკომისიის შეფასებით, აშშ-ს მიერ დაწესებული ტარიფები "იუეს ენრიჩმენტს" დამატებით 100 მილიონ დოლარს მისცემს. **"ეს გაცილებით უარესია იმაზე, რასაც ევროპულ სახელმწიფოებს აბრალებდენ,** - აცხადებენ ევროკომისიის წარმომადგენლები, - **ამას მხოლოდ დისკრიმინაცია შეიძლება ეწოდოს."**

ძველი კონტინენტი აღშფოთებულია იმ ფაქტის გამოც, რომ "იუეს ენრიჩმენტი" ამერიკაში ურანის წარმოების მონოპოლისტი და ამ სფეროში მსოფლიოს მასშტაბით უკონკურენტო ლიდერია. გარდა ამისა, კომპანია ექსკლუზიურადაა დაკავებული რუსული ბირთვული იარაღის დემონტაჟით და იქიდან რადიაქტიური ნივთიერების მიღებით. ვაშინგტონი ამ ფაქტს იმით ამართლებს რომ **"ეს გამორიცხავს რადიაქტიურ ნივთიერებათა ტერორისტთა ხელში მოხვედრის შანსს."**

თუმცა, ყოველივე ამის მიუხედავად, ამერიკელებს მაინც აქვთ შიშის საფუძველი, უპირველესად კი, "ურენკოს" მხრიდან, რომელმაც ახალი ტექნოლოგია შეიმუშავა და მალე ერთიორად უფრო იაფად შეძლებს ურანის წარმოებას. გარდა ამისა, კონსორციუმი ქარხნის აგებას გეგმავს ამერიკაში, რაც ბოლოს მოუღებს იქ "იუეს ენრიჩმენტის" მონოპოლიას.

# დროებითი ზავი

პირველი გვერდიდან

არავისთვის დასამალი არ არის, რომ პუტინსა და შევარდნაძეს არასოდეს ჰქონიათ კარგი ურთიერთობები. ქართველი დიპლომატები ამბობდნენ, პუტინი შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ შეხვედრების წინ შევარდნაძე რამდენიმე საათს არ ელოდინებინა. მოსკოვში მყოფი უცხოელი დიპლომატების თქმით კი, გასაოცარია ის მტრული ტონი, რომლითაც რუსეთის პრეზიდენტი თავის ქართველ კოლეგაზე საუბრობდა.

გარდა ამისა, რუსეთის ხელისუფლებამ ბოლო თვის განმავლობაში თავისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის უმთავრეს საკითხად სწორედ საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული კამპანია აქცია. ყველას კარგად გვახსოვს, პუტინის, ივანოვების, კვაშნინის, პირდაპირ ვთქვათ, მტრული განცხადებები; ამასთან, დუმის რეზოლუცია, მიმართვა გაერო-სადმი, ამერიკის ხელისუფლებისათვის დოკუმენტების გადაცემა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების ტერორისტებთან კავშირის შესახებ; მათი მოთხოვნა, საქართველოს დაუყოვნებლივ დაეშვა რუსული ქვედანაყოფები პანკისის ხეობაში; უფრო ადრე საქართველოს ტერიტორიის დაბომბვა, რასაც უდანაშაულო ადამიანის დაღუპვა მოჰყვა. საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი აცხადებდა, რომ, "პანკისში ჯარისა და პოლიციის შეყვანით, საქართველომ სულ ცოტა ხნით დაასწრო რუსეთის სპეცოპერაციას.

თუმცა, 11 სექტემბრის შემდეგ ატეხილი ანტიქართული ისტერიის ფონზე, მალევე გამოჩნდა, რომ ისე არ წვიმდა, როგორც ქუხდა. აღმოჩნდა, რომ არანაირი საბრძოლო ოპერაციების გეგმა რუსეთის გენშტაბს საქართველოს წინააღმდეგ დამუშავებული არ ჰქონდა; აღმოჩნდა, რომ ვაშინგტონი საქართველოს "გაყიდვას" არ აპირებდა და საერთაშორისო საზოგადოებამაც რუსეთს "მწვანე შუქი" არ აუნთო. ნელ-ნელა პუტინის განცხადებებში აგრესიულობამაც იკლო:





*პუტინსა და შევარდნაძეს არასოდეს ჰქონიათ კარგი ურთიერთობები.*

"ჩვენ ხომ მათგან ისეთი არაფერი გვინდა. ჩვენ ვთავაზობდით ჩვენი ქვედანაყოფებით დახმარებას, მივიღეთ უარი. კარგი. მერე - ჩვენი ავიაციის გამოყენებას. კიდევ უარი. ახლა მხოლოდ ერთ რამეს ვითხოვთ – ინფორმაციას," – ამბობდა იგი მას შემდეგ, რაც რამდენიმე დღით ადრე გაერო-ს წესდების 51-ე მუხლით იმუქრებოდა.

მოკლედ, ის ბლეფზე წავიდა და ჩავარდა. რამდენიც არ უნდა ემტკიცებინათ რუს სამხედროებს საწინააღმდეგო – პანკისი უკვე გაჭრილი კარტი იყო და ეს ყველამ კარგად იცოდა. პუტინს აუცილებლად სჭირდებოდა შექმნილი ვითარებიდან ღირსეულად გამოსვლა და ქართულმა დიპლომატიამ მას ასეთი გამოსავალი შესთავაზა: შეთანხმება, რომლის მნიშვნელობის "გაბერვაც" ორივე მხარისთვის ხელსაყრელია.

ამასთანავე, პუტინს უყვარს, როდესაც სახალხოდ ამტკიცებს, რამდენად მაღლა დგას თავის "უმაქნის" მინისტრებზე. რუსული ტელეარხები ხშირად აჩვენებენ კადრებს, როდესაც იგი თავისი მთავრობის წევრებს საჯაროდ ატეხს რისხვას. წარმოაჩენს რა მოლაპარაკებებზე მიღწეულ შედეგებს თავის პირად დამსახურებად, იგი კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ "ბებერ მელა შევარდნაძესთანაც" კი შეუძლია შეთანხმების მიღწევა. ამას კი მისი საკუთარი პროპაგანდისტული მანქანა შეუძლებლად მიიჩნევდა.

სიმბოლური "ზავის" დადება ხელს აძლევდა თბილისსაც და, ძალზე სავარაუდოა, ვაშინგტონსაც. საეჭვოა, რუსეთმა ახლო მომავალში კიდევ მოსთხოვოს ამერიკას საქართველოს ერაყში გაცვლა. აქვე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შევარდნაძე-პუტინის შეთანხმებას წინ ამერიკა-რუსეთის მოლაპარაკება უძღოდა, რომლის შემდეგაც "ლუკოილის" პრეზიდენტი ალეკპეროვი აცხადებდა, რომ მას გარანტია მისცეს, ერაყში "ლუკოილის" კუთვნილ საბადოებს, სადამ ჰუსეინის დამხობის შემთხვევაშიც კი, არაფერი დაემუქრებოდა.

რაც არ უნდა ამტკიცონ შევარდნაძემ და პუტინმა, რომ ორმხრივ ურთიერთობებში გადამწყვეტი მომენტი დადგა, ამის დაჯერება მაინც შეუძლებელია. სანამ არ გადაწყდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები, არ გავა საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზები, ყოველგვარ ახალ ურთიერთობებზე საუბარიც ზედმეტია. შევარდნაძისა და პუტინის მიერ შეხვედრის შემდეგ გაკეთებულ განცხადებებში ამ თემებზე სიტყვაც არ არის ნათქვამი. რუსული მხარეც, ალბათ, არ შეწყვეტს ჩვენს დადანაშაულებას ათასგვარ ცოდვაში. ვგონებთ, დროა, საქართველომაც საბოლოოდ გაარკვიოს, როგორ და რატომ გაჩნდა პანკისის პრობლემა. პირდაპირი კითხვების დასმის დრო მოვიდა.

# „ელექტრონული არჩევნები„ ბრაზილიაში - მემარცხენე კანდიდატი ლულა ფიდელის მეგობარია

## ბრაზილიაში მემარცხენე კანდიდატის გამარჯვებამ, შესაძლოა, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი გააღრმაოს

გიორგი ხელაშვილი

ბრაზილიის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულის საკითხი უკვე თითქმის აღარ დგას – ხმის მიცემის შედეგები მხოლოდ იმას გაარკვევს, გაიმარჯვებს თუ არა პირველსავე ტურში მემარცხენე მუშათა პარტიის კანდიდატი, 56 წლის ყოფილი მეფოლადე და რადიკალი ლუიშ ინასიო ლულა და სილვა, რომელსაც მისი თანამებრძოლებიცა და მოწინააღმდეგეებიც, უბრალოდ, ლულას სახელით იცნობენ.

ბრაზილიაში გუშინ დასრულებული არჩევნები რამდენიმე კუთხითაა უპრეცედენტო –115 მილიონმა ამომრჩეველმა ხმა ელექტრონული აპარატურის გამოყენებით მისცა, რაც ჯერ არნახული მოვლენა გახლავთ ბრაზილიელებისათვის. 400 ათასზე მეტი კომპიუტერიზებული საარჩევნო ყუთი ელექტროგენერატორების მეშვეობით აამუშავეს; ამაზონის ჯუნგლების მივარდნილ დასახლებებში ზოგიერთი ყუთის მისატანად კანოეების გამოყენებაც კი გახდა საჭირო.

გარდა ამ სიახლისა, ბრაზილიაში 1985 წელს დიქტატურის დასრულებისა და დემოკრატიის დამყარების დღიდან პირველად, გამარჯვების შანსი მიეცა მუშათა კლასიდან გამოსულ მემარცხენე კანდიდატს, რომელმაც დღემდე უკვე სამჯერ წააგო საპრეზიდენტო არჩევნები - 1989, 1994 და 1998 წლებში.

წელს ლულას მთავარი წინასაარჩევნო დაპირება მინიმალური ხელფასის გაზრდა იყო. ეს ლოზუნგი ფრიად აქტუალურია ქვეყნისთვის, რომელშიც უმუშევრობა, დანაშაულებები, ღარიბებსა და მდიდრებს შორის განსხვავება ყოველთვის სერიოზულ სოციალურ უკმაყოფილებას იწვევს.

არჩევნების წინ ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, ლულას ამომრჩეველთა თითქმის 50-პროცენტი ემხრობოდა. ხმების ნახევარზე ერთი ხმით მეტი კი გამარჯვებისათვის უკვე საკმარისია. თუ ლულა ხმების 50 პროცენტზე მეტს ვერ მიიღებს, მაშინ აუცილებელი გახდება არჩევნების მეორე ტურის ჩატარება, რომელიც ორი კვირის შემდეგ, 27 ოქტომბერს უნდა გაიმართოს.

ბრაზილიაში არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულოა, რაც ისევ და ისევ ლულას წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან მოსახლეობის ღარიბი უმრავლესობა სწორედ მის მხარესაა. მაგრამ ნარკობარონები არჩევნების წინ დაიმუქრნენ, რომ ყველა საშუალებით შეუშლიდნენ ხელს ხმის მიცემის პროცედურაში დედაქალაქ ბრაზილიის ღარიბი კვარტლების მოსახლეობის მონაწილეობას. დედაქალაქში არჩევნების წინა დღეს რამდენიმე ათეული ათასი პოლიციელის მობილიზება გახდა საჭირო, რათა ამომრჩევლების საარჩევნო ყუთებამდე მიღწევა გარანტირებული ყოფილიყო.

თავისთავად ხმის მიცემის პროცედურა შედარებით ნაკლები პრობლემაა იმასთან შედარებით, რაც ლულას პრეზიდენტად არჩევას შეიძლება მოყვეს. საერთაშორისო ინვესტორები უკვე წინასაარჩევნო კამპანიის დროს დააფრთხო ლულას მემარცხენე რიტორიკამ, რასაც ბრაზილიური ვალუტის – რეალის – და ბრაზილიური კომპანიების აქციების შესამჩნევი დაცემა მოყვა. წინა წლებში, პრეზიდენტ ფერნანდო ენრიკე კარდოზოს ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, ბრაზილიაში ინვესტიციებმა იწყო დენა. ახლანდელი წინასაარჩევნო მარათონის დაწყების დღიდან კი, როდესაც ლულას პოპულარობა თვალშისაცემი გახდა, ინვესტორებმა თავიანთი არჩევანის სისწორეში ეჭვი შეიტანეს.

თუ პრეზიდენტად ლულას აირჩევენ, მას უკიდურესად გაუჭირდება ხალხისათვის მიცემული დაპირებებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნების ერთმანეთთან შეთავსება (მით უმეტეს, რომ ერთხანს იგი სავალუტო ფონდს "სატანას" უწოდებდა და მთავრობას ვალის გასტუმრებაზე უარის თქმისაკენ მოუწოდებდა). თუ ლულა ამ ურთულეს მისიას ვერ შეასრულებს, მაშინ სავალუტო ფონდის დახმარება გადაიდება ან შემცირდება, ამან კი, შეიძლება, ბრაზილიის ფინანსური და ეკონომიკური ვითარების გამწვავება, ინვესტიციების შეწყვეტა და, საბოლოოდ, ეკონომიკის კრიზისი განაპირობოს. ეს მით უფრო სამწუხარო იქნება იმის გათვალისწინებით, რომ ბრაზილიის ეკონომიკას ლათინურ ამერიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს და მასში მომხდარი უარყოფითი ცვლილებები მთელ რეგიონზე გავრცელდება. თუ ბრაზილიის ეკონომიკას კრახი დაემუქრა, შესაძლოა პანიკის შედეგებმა, არა მარტო ლათინური ამერიკა, არამედ მთელი მსოფლიოც მოიცვას (როგორც ეს 1997 წლის აზიის კრიზისის დროს მოხდა), მით უმეტეს, რომ დღეს სიწყნარე არც მსოფლიოს საფონდო ბაზრებზე სუფევს.

თუმცა, მიმომხილველები ერთ დამაიმედებელ ფაქტორზე ამახვილებენ ყურადღებას – ლულას რიტორიკა და წინასაარჩევნო პლატფორმა გაცილებით ნაკლებად რადიკალური იყო, ვიდრე მისი შეხედულებები წინა არჩევნების დროს. მან ჯინსი რესპექტაბელურ პიჯაკზე გაცვალა, ქონების რადიკალური გადანაწილების მოთხოვნები კი – სოციალური პოლიტიკის შეცვლის ზომიერ მოთხოვნებზე. თუმცა, ზომიერი მემარცხენეობა, შესაძლოა, დროებითი და არასაკმარისი აღმოჩნდეს ისეთი რთული ეკონომიკის სამართავად, როგორიც დღევანდელი ბრაზილიის ეკონომიკაა.

არჩევნებში ლულას გამარჯვება სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაში კიდევ ერთი მიზეზის გამო აღიქმება შეშფოთებით – იგი კუბის პრეზიდენტის ფიდელ კასტროსადმი მეგობრულადაა განწყობილი და მხარს უჭერს ვენესუელის პრეზიდენტ ჰუგო ჩავესსაც. არც ერთი ეს ლიდერი ამერიკის ადმინისტრაციას გულზე არ ეხატება. თუ მათ ლულაც შეუერთდა, ამერიკელებს საკუთარ სამეზობლოში კიდევ ერთი დაუმორჩილებელი ქარიზმატული ლიდერი შეემატებათ.



*ლულა თავის სახლის აივანზე*

# ევროკავშირისა და ნატო-ს კარზე ლატვიის ახალი მთავრობა „დააკაკუნებს„

გუშინ ცნობილი გახდა ლატვიის საპარლამენტო არჩევნების შედეგები –წარმატება კორუფციასთან უკომპრომისოდ მებრძოლი "ახალი გზის" პარტიას ხვდა წილად.

ლატვიის აწ უკვე ყოფილი მთავრობის ხელმძღვანელმა ანდრის ბერზინშმა თანამდებობა არა იმდენად ეკონომიკური პრობლემების ან საგარეო პოლიტიკური მარცხის გამო დაკარგა, რამდენადაც მისი მთავრობისა და პარტიის კორუფციაში მონაწილეობის ბრალდებების გამო.

ლატვია ბოლო წლებში არცთუ მაღალი ტემპებით, მაგრამ სტაბილურად აუმჯობესებს თავის ეკონომიკურ მაჩვენებლებს. გასულ წელს ეკონომიკის ზრდამ 7,6 პროცენტი შეადგინა. საგარეო პოლიტიკური წარმატებებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლატვიის დაახლოება ევროპის ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ სტრუქტურებთან – სულ ორიოდე დღის წინ ბრიუსელში გადაწყდა, რომ დეკემბერში ლატვიას ოფიციალურად შესთავაზებენ ევროკავშირში გაწევრიანებას. შორს არ არის ის დროც, როდესაც ლატვია, ესტონეთთან და ლიტვასთან ერთად, ნატო-ს წევრი სახელმწიფო გახდება.

ამ ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკური წარმატებების ფონზე, ერთი შეხედვით, აუხსნელია, თუ როგორ "მოახერხა" შაბათის არჩევნებში ანდრის ბერზინშის მმართველმა "ლატვიური გზის" პარტიამ არათუ პარლამენტში ადგილები დაეკარგა, არამედ, საერთოდ, პარლამენტის გარეთ დარჩენილიყო.

"ლატვიური გზის" პარტიის წარუმატებლობა ნამდვილად ვერ აიხსნება ვერც მოსახლეობის ეკონომიკური სიდუხჭირით და ვერც ლატვიელების ანტიდასავლური განწყობით. პირიქით, ყველაზე მეტი ხმა იმ პარტიებმა მიიღეს, რომლებიც საქმიან წრეებზე არიან ორიენტირებულნი და ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანებას მტკიცედ უჭერენ მხარს. როგორც ჩანს, ლატვიის მოსახლეობამ მიიჩნია, რომ კორუფცია მხოლოდ ბერზინშის მთავრობის სენი იყო და სხვა მემარჯვენე პარტიები კორუფციისაგან შორს დაიჭერენ თავს.

სწორედ ამგვარი რიტორიკით გამოირჩეოდა გუშინწინდელ არჩევნებში გამარჯვებული "ახალი გზის" პარტია, რომლის ხელმძღვანელი ეინარს რეპშეა. რეპშეს მთელი წინასაარჩევნო კამპანია მთავრობის კორუფციაში მხილებაზე იყო აგებული, რამაც მის პარტიას გამარჯვება მოუტანა – "ახალმა გზამ" ლატვიის 100-კაციან სეიმში 27 ადგილი მიიღო.

ლატვიის რუსულენოვანი მოსახლეობის ხმების უმრავლესობა "ადამიანის უფლებებისთვის" გაერთიანებას ერგო, რომელიც მემარცხენე პოზიციებზე დგას და ევროსტრუქტურებში გაერთიანებაზე უფრო მეტ ყურადღებას მოსახლეობის სოციალურ პრობლემებს აქცევს. ლატვიის მემარცხენე პარტიები აცხადებენ , რომ მემარჯვენე მთავრობამ მეტისმეტად მეტი ენერგია მოახმარა ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირებას, რამაც უარყოფითად იმოქმედა მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე. ამ რიტორიკით გაერთიანებამ "ადამიანის უფლებებისთვის" სეიმში 22 ადგილი მოიპოვა.

სეიმში დანარჩენი ადგილები ოთხმა მემარჯვენე პარტიამ გაინაწილა, რომლებიც მომავალი მთავრობის შემადგენლობაში მინისტრების პორტფელების მოპოვებას იმედოვნებენ.

ლატვიის პრეზიდენტი ვაირა ვიკე-ფრაიბერგა მიესალმა არჩევნებში გამარჯვებულ პარტიებს და მათ "ლატვიის ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანების კურსის" გაგრძელებისაკენ მოუწოდა.

# მასობრივი დემონსტრაცია ბაქოში

***"გადადექი!" - ამ ლოზუნგით ბაქოში შაბათს ხალხმრავალი დემონსტრაცია გაიმართა. აქციის მონაწილეთა რაოდენობის შესახებ მასმედია განსხვავებულ ინფორმაციებს იძლევა, 4-დან 40 ათასამდე, გააჩნია, რომელი მედია რამდენად ახლოა პრეზიდენტთან.***

შოთა უტიაშვილი

აზერბაიჯანის ოპოზიციამ, რომელიც თავისი გათიშულობით უფრო მეტადაა ცნობილი, ვიდრე თავისი რადიკალიზმით, როგორც იქნა, მოახერხა ერთობლივი აქციის ჩატარება. პრეზიდენტის გადადგომის გარდა, დემონსტრანტები 24 აგვისტოს რეფერენდუმის შედეგების ანულირებას, ნარდარანის მცხოვრებლებთან ადამიანურად მოპყრობასა და ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტას მოითხოვდნენ.

შეკრებილები აცხადებდნენ, რომ არსებულ რეჟიმს არ ძალუძს ქვეყნის არც ერთი პრობლემის გადაწყვეტა, არის "უზომოდ კორუმპირებული" და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ შეინარჩუნოს ძალაუფლება. თუმცა, ეს ალბათ არც აზერბაიჯანელებისთვის და არც მათი რომელიმე მეზობლისთვის არ გახლავთ ახალი.

ოპოზიციას ყველაზე მეტად ყარაბახის საკითხზე პოზიციის შემუშავება უჭირს: თუ ისინი კომპრომისზე წასვლას მოითხოვენ, მათ სომხეთის აგენტებად ნათლავენ, თუ - არმიის გაძლიერებასა და წართმეულის იარაღით დაბრუნებას, მაშინ - ოპორტუნისტებად. თავად ხელისუფლება კი თავის ყარაბაღულ პოლიტიკას უფრო წარმატებით საკუთარი ოპოზიციის წინააღმდეგ იყენებს, ვიდრე სომხეთის.

რაც შეეხება ნარდარანს, იქ უკვე ორი თვეა – "ბუნტია". ჯერ არ გაუთავისუფლებიათ 16-მდე აქტივისტი, რომლებიც აგვისტოში დააკავეს. ადგილობრივი მოსახლეობა, ორი თვეა, სოფლის ცენტრში მიტინგებს მართავს. "მოვკვდებით და მოედანს არ დავტოვებთ," - ამბობს მეამბოხეთა ერთი ნაწილი, მეორე ნაწილი კი უფრო პრაგმატული მოთხოვნებით გამოდის: "სამუშაო, პური და გაზი".

რაც შეეხება თვად ბაქოს, ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რომ ისინი დათმობებზე წასვლას აღარ აპირებენ. ეს აზერბაიჯანელი ხალხის ბოლო წინადადებაა ჰეიდარ ალიევისადმი, ამის მეტი აღარ იქნება, – განაცხადა სახალხო ფრონტის "კლასიკური" ფრთის ლიდერმა მირმაჰმუდ ფატაევმა.

მუსავატების ლიდერმა იზა გამბარმა კი ალიევის არაკომპეტენტურობის დამტკიცება ალიევების ოჯახური უთანხმოების გახმაურებით სცადა "მამა იმაზე ლაპარაკობს, რომ ყარაბაღის პრობლემა, თუ სხვანაირად არ მოხერხდა, ძალის გამოყენებით უნდა გადაწყდეს, შვილი კი ამგვარ მოწოდებებს პოპულიზმად მიიჩნევს. ისინი ჯერ საკუთარ ოჯახში უნდა შეთანხმდნენ და ხალხს მერე ელაპარაკონ".

ყველა ერთხმად, მათ შორის, საერთაშორისო დამკვირვებლებიც, აკრიტიკებდა 24 აგვისტოს რეფერენდუმს, რომელმაც, სხვა ცვლილებებთან ერთად, ქვეყანაში "მეორე კაცად" და, საჭიროების შემთხვევაში, პრეზიდენტის შემცვლელად მის მიერვე დანიშნული პრემიერ-მინისტრი გამოაცხადა. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ მოსახლეობის 80-მა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა რეფერენდუმში და 96-მა პროცენტმა მხარი დაუჭირა პრეზიდენტის ინიციატივებს. ოპოზიციას კი მიაჩნია, რომ საარჩევნო ყუთებთან 10 პროცენტიც არ მისულა, რომ ამ ცვლილების გატარება უფროს ალიევს იმაში დასჭირდა, რათა, როცა დრო მოვა, შვილისათვის ხელისუფლების გადაცემა გაუადვილდეს. თუმცა, 79 წლის ალიევი 2008 წლამდე ხელისუფლების დატოვებას არ აპირებს.

როგორც ამბობენ, თუ ალაჰმა სხვაგვარად არ გადაწყვიტა, მას თანამდობების შენარჩუნება არ გაუძნელდება.

## მოკლედ

**თეირანი.** ირანის თავდაცვის მინისტრის ალი შამხანის განცხადებით, თუკი ამერიკა-ერაყის მომავალი ომის დროს, ამერიკული თვითმფრინავები შემთხვევით ირანის საჰაერო სივრცეში აღმოჩნდებიან, ეს არ ჩაითვლება მტრულ ქმედებად და მათ წინააღმდეგ ზომები არ იქნება მიღებული. თეირანი აცხადებს, რომ "აქტიური ნეიტრალიტეტის" პოლიტიკას გაატარებს და კონფლიქტში არ ჩაერევა. თუმცა, თეირანი იმასაც აღნიშნავს, რომ აშშ-ს შესაძლო სამხედრო მოქმედების წინააღმდეგია.

■ ■ ■

**პალესტინა.** იასირ არაფატმა იერუსალიმი პალესტინის მომავალი სახელმწიფოს დედაქალაქად გამოაცხადა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც აშშ-ს კონგრესმა მიიღო კანონი, რომლითაც იერუსალიმს ისრაელის დედაქალაქად აღიარებს. არაფატმა კონგრესის ამ გადაწყვეტილებას "კატასტროფული" უწოდა. ამჟამად იერუსალიმს მთლიანად ისრაელი აკონტროლებს.

■ ■ ■

**ვაშინგტონი.** ომი ერაყის წინააღმდეგ, შესაძლოა, გარდაუვალი იყოს, - განაცხადა თავის რადიომიმართვაში აშშ-ს პრეზიდენტმა ბუშმა. მისი თქმით, დროის გაწელვა, ყოყმანი და უმოქმედობა ამერიკას არ სჩვევია, განსაკუთრებით, სერიოზული და მზარდი საფრთხის წინაშე. ვაშინგტონი ამტკიცებს, რომ მოკავშირეებმა პრევენტიული ომი უნდა განახორციელონ ერაყის წინააღმდეგ, სანამ იგი ბირთვულ იარაღს შექმნის. ბუშის საშინაო ოპონენტები კი ეჭვის ქვეშ აყენებენ, საერთოდ, პრევენტიული ომის ლეგიტიმურობას და აცხადებენ, რომ ამგვარი ომის ბოლო ცნობილი შემთხვევა იაპონიის მიერ პერლ-ჰარბორზე თავდასხმა იყო.

■ ■ ■

**ადენი.** იემენის სანაპიროებთან ფრანგული ტანკერი იწვის. მასზე 64 ათასი ტონა ნავთობია. იემენის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ მათთვის ხანძრის გაჩენის მიზეზი უცნობია, საფრანგეთის საელჩო კი ირწმუნება, რომ მომხდარი ფაქტი ძალიან ჰგავს ტერორისტულ აქტს. დიპლომატების აზრით, ტანკერს ასაფეთქებელი ნივთიერებებით სავსე პატარა ნავი დააჯახეს. მსგავსი ტერაქტი ორიოდე წლის წინ უკვე განხორციელდა. მაშინ ამერიკულ სამხედრო გემ "კოულზე" აფეთქებას 17 მეზღვაურის სიცოცხლე შეეწირა.

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს – „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

# რუსებს ქართველების კითხვა-პასუხიც მოეწონათ

ეთერ მამულაშვილი

**“აი, გამოჩნდა კიდევ ერთი ქართული გუნდი, რომელიც ფანტასტიურად ხუმრობს და კარგად მღერის. ქედს ვიხრი მათი ნიჭიერების წინაშე და დიდი მადლობა ქართველებს ასეთი სიამოვნების მონიჭებისთვის”,** - ეს სიტყვები კრასნოდარის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ ანდრეი ფანარიოვმა, მხიარულთა და საზრიანთა კლუბის (მსკ) რეგიონთაშორისო ლიგის ნახევარფინალური შეხვედრის დასასრულს წარმოთქვა. ფანარიოვი ამ შეხვედრის ხუთკაციანი ჟიურის ერთ-ერთი წევრი იყო.

კრასნოდარში მსკ-ის ნახევარფინალი სექტემბრის ბოლოს ჩატარდა, სადაც დსთ-ს ყველა ქვეყანა ღებულობდა მონაწილეობას. საქართველოდან ჩასული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ექვსი თვის წინ შექმნილი გუნდი “თსუ+”. ქართველებმა ნახევარფინალურ შეხვედრაზე ქულების მაქსიმუმი აიღეს და ადგილობრივ გუნდთან ერთად ფინალში გავიდნენ.

**“ქართველ ახალგაზრდებს იუმორი საკმარისზე მეტი აქვთ”,** - ამბობს მარინა ბოგდანი, რომელიც ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტის გარდა ჟიურის წევრიც არის.

“თსუ+”-მა თავი განსაკუთრებით მუსიკალურ და ლიტერატურულ ნომრებში გამოიჩინა. ამას, ჟიურის გარდა, დარბაზში მყოფთა უმრავლესობაც აღიარებდა. გუნდის ხელმძღვანელი სოფო ბანძავა ამბობს, რომ მუსიკალური კონკურსის დამთავრების შემდეგ ათასკაციანი დარბაზი ფეხზე იდგა და რამდენიმე წუთის განმავლობაში ტაში არ წყდებოდა. **“თითქმის მთელი დარბაზი “საქართველოს” ყვიროდა, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგიერთი ადგილობრივიც კი ჩვენი გვულშემატკივარი იყო”,** - გვითხრა სოფომ.

კითხვა-პასუხის ტურში ქართველებმა ჟიურის წევრები გააოცეს. **“პირველად ვნახე ქართული გუნდი, რომელიც კითხვა-პასუხის ტურს ასე კარგად თამაშობს”,** - უთქვამს ჟიურის ერთ-ერთ წევრს, რამდენიმე იუმორისტული ტელეგადაცემის ავტორს, არტურ ტუმასიანს.

“თსუ+”-ს ფინანსურად ფონდი “გამარჯვება” ეხმარება, რომლის პრეზიდენტი ცნობილი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილია. “თსუ+” ასევე მადლობას უხდის უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს როინ მეტრეველს.

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის კლინიკა "პროფესიონალი" თავისი თანამოქალაქეებისათვის დღეიდან 1 ნოემბრამდე "ღია კარის" დღეს აწყობს. ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს, მავნე ჩვევის თავის დანებების მსურველებისათვის გაიმართება უფასო კონსულტაციები და სამკურნალო პროცედურები. მსურველები არამედიკამენტურ სეანსებსაც გაივლიან. საჭიროების შემთხვევაში, დამატებით კონსულტაციებს გასწევენ კლინიკის სპეციალისტები: კარდიოლოგები, თერაპევტები, ნევროლოგები, გინეკოლოგები, ენდოკრინოლოგები, პულმონოლოგები. მსურველებს შეუძლიათ ცენტრს მიმართონ მისამართზე: ქავთარაძის 21ა, 10-დან 15 საათამდე.

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ზუგდიდში საფრანგეთის პრინცესას მიერ შექმნილი ეკოლოგიური ასოციაცია "ფარინა" სამეგრელო-ზემო სვანეთში მარადმწვანე ნარგავების განადგურების წინააღმდეგ იბრძოლებს. ასოციაცია პრეზიდენტის ბესიკ ჭითანავას განცხადებით, ორგანიზაცია ფრანგი პრინცის ალენ მიურატ ანოსიძის ქალიშვილმა შექმნა. ასოციაციამ ზუგდიდში გია გულუას სახელობის პარკში უკვე დარგა მწვანე ნარგავები. შემდეგი ნაბიჯი ნაძვების მოჭრის აკრძალვის მოთხოვნა იქნება. "ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ისტორიულ ფესვებს და ახალ წელს ეროვნული ჩიჩილაკით შევხვდეთ, ნაცვლად ნაძვისა," – აცხადებენ ორგანიზაციაში.

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის ტერიტორიაზე რადიაქტიური წყაროები არ აღმოჩნდა. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის უფროსის სოსო კაკუშაძის განცხადებით, ერთკვირიანმა საძიებო სამუშაოებმა მთელი აჭარა, მათ შორის, რუსი სამხედროების მიერ ქართული მხარისათვის გადმოცემული ობიექტები, დასახლებული პუნქტები და რეგიონის მთიანი ნაწილი მოიცვა. ექსპედიციის ჯგუფი თბილისში გუშინ დაბრუნდება, ორდღიანი შესვენების შემდეგ, საძიებო სამუშაოები კახეთის რეგიონში დაიწყება. კაკუშაძის თქმით, სპეციალისტები ძიებას თელავიდან დაიწყებენ. პანკისის ხეობაში ექსპედიცია არ შევა. საძიებო სამუშაო კახეთში, სავარაუდოდ, 3-7 დღეში დამთავრდება.

■ ■ ■

**თბილისი.** წლეულს, სექტემბრის ჩათვლით, საქართველოში მალარიის 420 შემთხვევა აღინიშნა. აგვისტო-სექტემბერში გამოვლენილ მალარიის შემთხვევათა რიცხვი შარშანდელზე 50 პროცენტით ნაკლები იყო. მალარიის სეზონი ორ კვირაში დასრულდება და, ეპიდემიოლოგთა ვარაუდით, შემთხვევათა რაოდენობა შარშანდელ მაჩვენებელს არ გადააჭარბებს. შარშან საქართველოში მალარიის 438 შემთხვევა გამოვლინდა. წლეულს მალარიის შემთხვევებმა მხოლოდ სიღნაღის რაიონში იმატა და 200-ს მიაღწია. ამ რაიონში მალარიის თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობა ალაზნისპირებშია შექმნილი.

■ ■ ■

**თბილისი.** წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი პირველადი ქირურგიული დახმარების მასალებით ამარაგებს ზუგდიდის, დარჩელისა და ჯვარის, ასევე სოხუმის, გალისა და ოჩამჩირის საავადმყოფოებს, სადაც მალე სისხლის გადასხმის სისტემების პროექტიც განხორციელდება. პროექტი მოიცავს, ლაბორატორიებისა და დანადგარების სარეაბილიტაციო სამუშაოებსა და პერსონალის მომზადებას, აგრეთვე, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის, „B“ და „C“ ჰეპატიტისა და ათაშანგის ანალიზის ხელსაწყოებით უზრუნველყოფას. ეს პროგრამა აგვისტოში გაგრის საავადმყოფოში უკვე განხორციელდა. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის სამედიცინო განყოფილებას საგანგებო მდგომარეობისთვის 800 ადამიანზე გაანგარიშებული პირველადი საჭიროების მედიკამენტების მარაგი აქვს თბილისში, ზუგდიდსა და სოხუმში. წლეულს, ოქტომბერში, კომიტეტი მოსკოვში სამხედრო მედიცინის განხრით გამართავს სემინარს, სადაც საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან 15 ქირურგია მიწვეული. შარშან მსგავს სემინარზე საქართველოდან შვიდი ქირურგი მიიწვიეს.

■ ■ ■

**ლენტეხი.** ლენტეხის №1 სკოლის ათ მოსწავლეს „ა“ ჰეპატიტის დიაგნოზი დაუსვეს. ავადმყოფები ამჟამად მკურნალობას ლენტეხის რაიონულ საავადმყოფოში გადიან. დაავადების მიზეზი, რომელსაც ამჟამად ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრის სპეციალისტები და ეპიდემიოლოგები იკვლევენ, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის. არ არის გამორიცხული, რომ დაავადების მიზეზი გახდა სასმელი წყალი, რომელიც, შესაძლოა, ლენტეხის რაიონში ამასწინანდელი წყალდიდობის დროს დაბინძურდა. ამას რაიონის წყალსადენისა და კანალიზაციის ამორტიზებული, მოძველებული ქსელიც ემატება. ეპიდემიოლოგები ამ რაიონში „ა“ ჰეპატიტის ახალი შემთხვევების გამოვლენას არ გამორიცხავენ.

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში 65 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობა მატულობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში დაბერების დონე გაიზარდა. ამის მიზეზად სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში შობადობის შემცირებასა და რეპროდუქციული ასაკის მოსახლეობის მიგრაციას ასახელებენ. ამასთან, გაიზარდა რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების წილი. 1995 წელთან შედარებით, საქართველოში მცირერიცხოვანი ოჯახები მომრავლდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოჯახებში რიგით მესამე ბავშვები აღარ იბადებიან. დეპარტამენტის მონაცემებით, რიგით მესამე და მეტ დაბადებულ ბავშვთა რიცხვი 1995 წელთან შედარებით, 2000-ით შემცირდა. 1995-2001 წლებში 1,6-ჯერ იკლო ქორწინებების რიცხვმაც. ამ პერიოდში ყოველწლიურად 17 ათასი ბავშვი შეეძინათ ქალებს, რომლებიც რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებიან.

■ ■ ■

**რუსთავი.** „რუსთავქალაქობის“ კვირეული დასრულდა. მეტალურგთა კულტურის სასახლეში გამართულ დახურვის ცერემონიალზე რუსთავის მერმა მერაბ ტყეშელაშვილმა რუსთავის საპატიო მოქალაქეების სიგელებით დააჯილდოვა მომღერალი პაატა ბურჭულაძე, მეტალურგიული კომბინატის გენერალური დირექტორი ნოდარ ღვამბერია, ქალაქის ვიცე-მერი თემურ დალაქიშვილი, მილსაგლინავი საამქროს უფროსი რობინზონ ლომიძე, დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გოგი ქავთარაძე, მშენებელი შოთა ლომიძე და პედაგოგი ბელა ჯანგიძე. ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა ლევან მამალაძემ ღირსების ორდენები გადასცა მეტალურგებს გიორგი მანჯავიძესა და ნაირა ბაღაშვილს. „რუსთავქალაქობის“ დღესასწაულის მთავარ მოვლენად იქცა რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში მილსაგლინავი საამქროს გაშვება, რაც იტალიურმა კომპანია „არესი-ექსპორტ-იმპორტმა“ 2 მლნ-დოლარიანი წინასწარი ინვესტიციებით განახორციელა. „ჯი-ენდ-დის“ საზოგადოების წარმომადგენლებმა რუსთავში აიოვას სახელობის პარკი გახსნეს. სტუმრად ამ ღონისძიებაზე ამერიკის აიოვას შტატის წარმომადგენლები, აშშ-ს პრესისა და კულტურის ატაშე, იტალიელი სტუმრები და „როტარი-კლუბის“ წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. სულ ცოტა ხნის წინათ ამ პარკში 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად დანგრეული ორი ტყუპი ცათამბჯენის უკვდავყოფის მიზნით, სიმბოლურად ორი ერთნაირი ჯიშის ხე დაირგო, რომლის პატრონობა „ჯი-ენდ-დის“ ჯგუფის წევრებმა იკისრეს. საბავშვო პარკი, სადაც ჟიული შარტავას თაოსნობით საბავშვო რკინიგზა ფუნქციონირებდა, სწორედ ამ ჯგუფმა დაასუფთავა. ქართულ-ამერიკული დაფინანსების შემთხვევაში, რკინიგზის გახსნა ისევ გახდება შესაძლებელი. საზეიმოდ დაიხურა ასევე ფესტივალი „ოვაცია -2002“. რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკში ახალგარემონტებული ღია საკონცერტო დარბაზის კედელში ჩაიდო ფესტივალის გრან-პრის მფლობელის მერაბ სეფაშვილის ვარსკვლავი. „რუსთავქალაქობის“ დღესასწაულის კვირეულის ბოლო დღე გვიან ღამით, ღია ცის ქვეშ მოწყობილი კონცერტით დასრულდა.

*კავკაზ-პრესი, ინტერ-პრესი, მედია-ნიუსი*

# დავალაგოთ ჩვენი ქვეყანა, თან საქმე

“ხომ იცით, ბავშვებო, ვინც მუშაობს, ის ჭამს”

გიორგი გახელაძე

**“- ალაგებთ? არჩევნებისთვის ემზადებით, ხომ? არა, ბატონო, რა დროს არჩევნებია. მერე რა, ხომ იქნება. წარმოიდგინე, აი ასეთი დიალოგი მქონდა ამას წინათ ერთ მოხუცთან. საქაღალდით და შლაპით რომ დადიან სიცხეში, ისეთთან. მიკვირს, რატომ ეკიდება მოსახლეობა უნდობლობით ჩვეულებრივ, ნორმალურ საქმიანობას – უბანში სპორტული მოედნის შეკეთება და მოწესრიგება ეჭვს უნდა ბადებდეს?”,** - ოდნავ გულნატკენი იყო გუშინ “გაერთიანებული დემოკრატების” გლდანის თავკაცი შალვა ოგბაიძე. 173-ე სკოლის მიმდებარე სკვერისა და საფეხბურთო მოედნის მოწყობაში მას პარტიის მთელი იერარქია ეხმარებოდა – თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, მთაწმინდელი კოლეგა მიხეილ მინდაძე თუ ახალგაზრდა აქტივისტები.

“ყვითლების” საკვირაო დარაზმვა-დაკაპიწება ტრადიციად მკვიდრდება, დედაქალაქის მერიის შაბათობების “რეტროსპექტივასთან” ერთად. **“აი, მომავალი შაბათ-კვირა კი გაცდება – რუსებთან ფეხბურთსა და რაგბიში შეჭიდება ძალიან სერიოზული ამბავია**, - გვითხრა მიხეილ მინდაძემ, - **მერე კი ისევ გავაგრძელებთ.”**

გლდანის მე-3 მიკრორაიონის ბავშვებმა სატვირთო მანქანაზე სკვერის ფერადი სკამების, ფეხბურთის კარის ბადეების, საქანელასა და “აიწონა-დაიწონას” დანახვაზე გულწრფელად გაიხარეს და გახალისდნენ. მით უფრო, რომ ხმა გავარდა, “დემოკრატები” რაღაც სასუსნავს დაარიგებენო. მაგრამ ადგილობრივი საბავშვო ბაღის გამგემ მათი ალტკინება, იმედის გაუქარწყლებლად, უმალ “სასარგებლო” კალაპოტში მოაქცია: **“თქვენ ხომ იცით, ბავშვებო, ვინც მუშაობს, ის ჭამს. ამიტომ, ჯერ დაგვეხმარეთ!”**

მართალია, განსაკუთრებული თითქოს არაფერი მომხდარა, მაგრამ






ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ჟვანია და პატარები ქვეყნის დალაგებას გლდანიდან იწყებენ*

სასიკეთო – უდავოდ იყო. “**ამას დიდი სახსრები და დრო არ სჭირდება. 100 ლიტრი საწვავი, შემდუღებელი, ორი ტრაქტორი და სატვირთო მანქანა 2-2 საათით და უბნის მოხალისე ახალგაზრდების შემოკრება ნახევარი დღით. ნუთუ მერიას და გამგეობებს კვირაში ერთხელ ასეთი რამის ორგანიზება უჭირთ?**” – არცთუ დიდი ხნის წინათ თბილისის ვიცე-მერად ნამუშევარი შალვა ოგბაიძე ისე იყო გაკვირვებული, თითქოს მუნიციპალური დაწესებულებების საქმიანობას არ იცნობდეს.

ამასობაში სამუშაო მოედანზე ყვითელ-მწვანე დროშები, ტრანსპარანტები – “დავალაგოთ ჩვენი ქვეყანა” და ქოლგიანი მაგიდაც გაიშალა. დავინტერესდი: **“შეიძლება, ბროშურა ავიღო?”**

**“რა თქმა უნდა,** - გამიცინა მოხალისე გოგონამ და არ დააყოვნა, – **ხომ არ გაწევრიანდებით?”**

**“არა, გმადლობთ. მე გაზეთიდან ვარ.”**

**“ააა...უკაცრავად, არ ვიცოდი,”** – იუხერხულა.

# ვეძისობას გილოცავთ, ძმებო!

ზაზა ფაჩუაშვილი

ვეძისი თბილისის ერთი ძველი და ინტერნაციონალური უბანია. პატარაა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, დიდი გული და რწმენა ჰქონია. ღმერთმა ინება და ამას ვეძისელებიც მიხვდნენ, როცა ერთ მშვენიერ დღეს გამოფხიზლდნენ და თქვეს, - უბანში ერთი ტაძარი არ უნდა გვქონდესო? სიტყვას საქმეც მოჰყვა და შვიდი წლის წინათ, საერთო გაჭირვების დროს ვეძისის გორაზე წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობა დაიწყო.

ტაძრისთვის საუკეთესო ადგილი შეარჩიეს, საიდანაც მართლა ხელისგულივით ჩანს მთელი თბილისი. თავდაპირველად იმ ადგილზე ერთი პატარა კუნძი დადეს და ხის ჯვარი დაასვეს. მოგვიანებით პატარა სამლოცველოც გააკეთეს, სადაც ხალხი ადის, სანთლებს ანთებს და ლოცულობს. ასე გაგრძელდება, ვიდრე ტაძარი არ დასრულდება. ეს იქნება სამნავიანი ბაზილიკა. ამჟამად ტაძრის მხოლოდ ორი ნავია დახურული, მაგრამ თვალი უკვე ამჩნევს, რომ უმშვენიერესი ტაძარი აიგება.

მშენებლობის დაწყებიდან რამდენიმე წლის შემდეგ უბნელებმა ვეძისობის დღესასწაულიც დააწესეს, რომელსაც ოქტომბრის პირველ კვირას იხდიდნენ. გუშინ რიგით მესამე დღესასწაული გაიმართა. ვეძისის გორაზე დილიდანვე შეიკრიბნენ უბნელები და სტუმრები. **“ვეძისობას გილოცავთ, ძმებო!”** – ესალმებოდნენ ერთმანეთს უბნელები. დიდუბის ღმრთისმშობლის ტაძრიდან მამა პეტრეც მობრძანდა, რომელმაც უფლისა და წმინდა გიორგის სავედრებელი პარაკლისი გადაიხადა. მამა გიორგიმ ერთი აუცილებელი განმარტებაც გააკეთა: **“დღემდე ვეძისობა კვირადღეს იმართებოდა, მაგრამ ეს არ არის სწორი. კვირა საუფლო დღეა. ამ დღეს კი რჯულის კანონი სანახაობების გამართვას კრძალავს. ამიტომ, რჯული რომ არ დავარღვიოთ და ტრადიციაც დავამკვიდროთ, შევთანხმდით, რომ ვეძისობა კვირის მაგივრად ხუთშაბათობით გაიმართება.”**

მამა პეტრეს ყველა დაეთანხმა, მაგრამ გუშინდელი ღონისძიებები მაინც ჩატარდა.

პარაკლისის შემდეგ დოლი გაიმართა. გამარჯვებულები დააჯილდოვეს ძველმა ვეძისელმა გოგი პაპავაძემ, სტუმარმა გივი თარგამაძემ და ორგანიზატორმა ჯარჯი დოლიძემ. დღესასწაული კონცერტით გაგრძელდა. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ვეძისში მდებარე 123-ე საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლი “ჩირაღდანი” და ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი “ნადური”. ბოლოს ერთმანეთს ფალავნებიც დაეჭიდნენ.

სამივე ღონისძიებამ დიდი გულშემატკივრობითა და ხალისით ჩაიარა.

გორიდან დაშვებისას ორ ვეძისელს ვკითხე, - ხალხი ივლის ტაძარში-მეთქი? კიო, უყოყმანოდ მიპასუხეს ბიჭებმა და ეგრეცაა. რატომ? უნდათ და იმიტომ.

სხვათაშორის, ვეძისის გორაზე კიდევ ერთი ტაძარი აშენდება – შიო ახალის (ვეძისელის) სახელობისა, რომელიც დავით გარეჯის მონასტერში წამებულ ექვს ათას ბერს შორის იყო. ეს ყველაფერი ვეძისელების ხარჯით კეთდება. ააშენებდნენ, რომ არ უნდოდეთ?



*მშენებარე ტაძარი*



*მოჭიდავე ვეძისელები*

# დაუჯერეთ ჩინელებს

## ხელისუფლებამ მინიმალური ხელფასის გაზრდა დააპირა

***წლობით მიუღებელი ხელფასებისა და დაგვიანებული სოციალური დახმარებების მოთხოვნებით პერმანენტულად მიმდინარე გაფიცვებსა და გამოსვლებს შეჩვეული ჩვენი საზოგადოების მხრიდან, მოქკავშირისგან გაჟღერებულმა კარგად მოძველებულმა ინიციატივამ, მინიმალური ხელფასის გაზრდის თაობაზე, მხოლოდ ღიმილი დაიმსახურა.***

მაკა ჯაიანი

ჩინელებს თუ დავუჯერებთ, ეს ზღვარია - გაჭირვებული ადამიანი იცინის მაშინ, როცა დასაკარგი აღარაფერი აქვს. საქართველოს მოსახლეობა სწორედ ასეთ დღეშია. მან ყველაფერი დაკარგა, იმედის ჩათვლით, და ახლა გულიანად იცინის, რადგან ანაზღაურების გაზრდას ჰპირდება ის ხელისუფლება, რომელსაც აქამდე მისთვის შეუფერხებლად დაწესებული ჯამაგირიც არ მიუცია.

ამ “მხიარულებას” საფუძველი ნამდვილად აქვს. ყველაზე სახალისო ის გახლავთ, რომ მინიმალური ხელფასის გაზრდაზე მმართველი პარტია ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარსა და “ეი-ი-ეს თელასს” შორის გართულებული ურთიერთობის ფონზე ალაპარაკდა. არჩევნების წინ თბილისის ჩაბნელება ხელისუფლებისთვის კატასტროფის ტოლფასია, ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული დარგების განმკარგველი უცხოელები კი ერთმანეთისთვის არაფრის დათმობას არ აპირებენ. გამორიცხული არ არის, ამ გაუგებრობაში ისევ ხელისუფლება წავიდეს დათმობაზე, რაღა თქმა უნდა, კვლავ მოსახლეობის ხარჯზე და, შესაძლოა, მინიმალური ხელფასის ზრდაზე საუბრის დაწყებაც სწორედ ამით იყოს გამოწვეული.

შეიძლება, ეს უწყინარი წინასაარჩევნო ხრიკია და მეტი არაფერი, მაგრამ, მხოლოდ სიტყვის მასალად რომ გამოდგება, ფაქტია. ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ მინიმალური ხელფასის მომატებაზე ხელისუფლება მაშინ არ ალაპარაკებულა, როცა საპენსიო რეფორმაზე დაიწყო საუბარი და მოსახლეობას განუცხადა, 2004 წლიდან თქვენი პენსიის რაოდენობა თქვენივე ხელფასზე იქნება დამოკიდებულიო. არადა, ამგვარ ცვლილებას ეს რეფორმა პირდაპირ მოითხოვს. როცა ოფიციალური მინიმალური ხელფასი ქვეყანაში 20 ლარია, დაქირავებულისთვის უფრო მაღალი ჯამაგირის დანიშვნას დამქირავებელს ვერავინ მოსთხოვს. ძლივს ნაპოვნი სამუშაოს დაკარგვის შიშმა კი, შეიძლება, ადამიანს მომავალი საერთოდ დაავიწყოს.

წესით, ეს ხელისუფლებას კარგად უნდა ესმოდეს, თუმცა, არ იმჩნევს. ამ ორი თვის წინათ ფინანსთა სამინისტროში აცხადებდნენ, საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის გარეშე, მინიმალური ხელფასის ზრდაზე საუბარს აზრი არა აქვსო. იქიდან მოყოლებული, ჩვენი ბიუჯეტის საქმე არ გამოსწორებულა, პირიქით, ცხრა თვის მონაცემებით, გარღვევა, სავარაუდოდ, 100 მილიონ ლარს მიაღწევს. და ამ ფონზე ხელისუფლება მინიმალური ხელფასის გაზრდას გვპირდება, თუნდაც, 50 პროცენტით, თუნდაც 20-დან 30 ლარამდე - ბიუჯეტს ამის შესაძლებლობა არა აქვს. ამას ისევ ფინანსთა სამინისტრო უნდა ამბობდეს, მაგრამ დუმს. ალბათ, იმიტომ, რომ იცის, ეს მორიგი წინასაარჩევნო განცხადებაა.

რეალურიც რომ იყოს, მოსახლეობა შეღავათს მაინც ვერ იგრძნობს. წესით, ხელისუფლებამ ესეც უნდა იცოდეს. როცა საარსებო მინიმუმი ქვეყანაში მინიმალურ ხელფასზე შვიდჯერ მეტია და მისი ძირითადი ნაწილი საკვებზე მოდის, ათლარიანი სხვაობა სულაც არ არის სხვაობა. მით უმეტეს, რომ იმ მინიმალური სასურსათო კალათით, რომელიც საქართველოში საარსებო მინიმუმს უდევს საფუძვლად, გამოკვება, ცოტა არ იყოს, რთული საქმეა. დღეში 360 გრამი პური, 140 გრამი კარტოფილი, 0,17 გრამი მაკარონი, 0,30 გრამი ლობიო, 61 გრამი ყველი, 0,14 გრამი ხაჭო, 0,25 გრამი არაჟანი, 0,42 გრამი შაქარი, 0,28 გრამი თევზი, 0,10 გრამი ძეხვეული და მსგავსი წვრილმანები შრომისუნარიან მამაკაცს ნამდვილად ვერ დაანაყრებს.

მოკლედ, საიდანაც უნდა მივუდგეთ, საქართველოს მოსახლეობამ გემრიელად გაცინება დაიმსახურა.

# პარიზის მერზე თავდასხმის მიზეზები ჯერაც უცნობია

კვირას, გვიან ღამით თავს დაესხნენ პარიზის მერს ბერტრან დელანოეს. თავდამსხმელმა მას მუცელში დანა დაარტყა. თავდასხმა "City Hall"-ის შენობასთან მოხდა, სადაც ათასობით ადამიანი ახალშემოღებული დღესასწაულის — "უძილო ღამეების" აღსანიშნავად შეკრებილიყო. ამ ზეიმის გამო პარიზის რესტორნები, კაფეები, ბარები, კინოთეატრები და თეატრები ჩვეულებრივზე გვიან იკეტება. ქალაქის მერიც, სხვა პარიზელებთან ერთად, ქუჩებში დასეირნობდა. მიუხედავად იმისა, რომ მას თან ახლდა პირადი დაცვა, თავდამსხმელისთვის ხელის შეშლა ვერავინ შეძლო. დაჭრილი დელანოე სასწრაფოდ საავადმყოფოში მოათავსეს და ახლა უკვე მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. თავდამსხმელი კი – 40-ოდე წლის მამაკაცი - შემთხვევის ადგილზევე დააკავეს. თავდასხმის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, უკვე შეიძლება ითქვას, რომ მან პარიზელებს, პარიზის სტუმრებსა და დედაქალაქის მერიას ნამდვილად ჩაამწარა დღესასწაული, რომლის ორგანიზებაც 1,4 მილიონი ევრო დაჯდა.

გუშინ მომხდარის გამო აღშფოთება გამოთქვეს საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა და პრემიერ-მინისტრმა ჟან-პიერ რაფარენმა - მათ დილით ადრე გაგზავნილ მიმართვაში მერს სწრაფად გამოჯანმრთელება უსურვეს.

ბერტრან დელანოე პარიზის მერად შარშან აირჩიეს. 1871 წლის შემდეგ, ის მემარცხენე პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირველი მერია. გარდა ამისა, საფრანგეთის ისტორიაში ჯერაც არ ყოფილა შემთხვევა, დედაქალაქის მერს საქვეყნოდ გამოეცხადებინოს, რომ იგი ჰომოსექსუალისტია. ბერტრან დელანოემ ამაშიც პიონერია.

პარიზის მერზე თავდასხმასთან დაკავშირებით, საინფორმაციო საშუალებები რამდენიმე თვის წინ, 14 ივლისს, ბასტილიის აღების დღესასწაულის აღნიშვნისას საფრანგეთის პრეზიდენტზე ჟაკ შირაკზე თავდასხმასაც იხსენებენ. თავდამსხმელს, ნეონაცისტ მაქსიმ ბრიუნერს ახლა უკვე წარდგენილი აქვს ბრალი საფრანგეთის პრეზიდენტის განზრახ მკვლელობის მცდელობაში. ბრიუნერის თქმით, ის მარტო მოქმედებდა და პრეზიდენტს თავს იმიტომ დაესხა, რომ ხალხის ყურადღება მიეპყრო.




*პარიზის მერი ბერტნარ დელანოე თავდამსხმელს ბეწვზე გადაურჩა.*

# კვირის სამართლებრივი ისტორია

პირველი გვერდიდან

ერთი სიტყვით, პუტინის მუქარის შემდეგ და კიშინიოვის სამიტის წინ, გასულ პარასკევს, 5 ჩეჩენს ორთაჭალის ციხე დაატოვებინეს და ისინი რუსეთს გადასცეს. პატიმართა ექსტრადიციის ფაქტს სერიოზული სამართლებრივი აჟიოტაჟი მოჰყვა. გენერალური პროკურატურის ეს თანხმობა პოლიტიკურ გადაწყვეტილებად იქნა მიჩნეული და კითხვა - იყო თუ არა ბრალდებულთა გადაცემა კანონიერი აქტი? –გასულ კვირას საზოგადოების ნაწილისთვის ძალზე აქტუალური გახდა. იმდენად აქტუალური, რომ სოციოლოგიური კვლევების თემადაც კი იქცა.

დამოუკიდებელ იურისტთა შეფასებით, საქართველოს გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილება საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს არ ეწინააღმდეგება. საერთაშორისო კონვენციებით, საქართველო ვალდებული იყო, რუსეთისთვის გადაეცა მისი მოქალაქეები, ოღონდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ რუსეთში გაცილებით მძიმე დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი, ვიდრე საქართველოში.

თუმცა, ისევ საერთაშორისო კონვენციების გათვალისწინებით, ქვეყანას შეუძლია, უარი თქვას მოთხოვნილი პირის გადაცემაზე, თუ დაკავებულს, ექსტრადიციის შემდეგ, ძალადობისა და წამების საფრთხე ემუქრება. ასეთ შემთხვევაში, უარი სამართლებრივი არგუმენტებით უნდა იყოს გამაგრებული. ასეთ არგუმენტად დამოუკიდებელ ექსპერტებს ადამიანის უფლებების დაცვის ევროპის კონვენციის მე-3 მუხლი მიაჩნიათ, რომელიც ადამიანთა წამებასა და სასტიკ მოპყრობას კრძალავს და რომელსაც რუსეთიცაა მიერთებული. მოსკოვი თავად აღიარებს, რომ ამ მუხლის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. უფრო ზუსტად, რუსეთის წინასწარი დაკავების საკნებში, საგამოძიებო იზოლატორებსა და კოლონიებში ევროპის კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნები ვერ სრულდება, ანუ ადგილი აქვს ადამიანის დამამცირებელ, არაჰუმანურ, ზოგიერთ შემთხვევაში, სასტიკ მოპყრობასაც კი. რუსეთის საპატიმროებში ხშირია დაკავებულთა ცემა-წამების ფაქტებიც. ასეთია თავად რუსების აღიარება და საერთაშორისო ექსპერტთა დასკვნებიც. საქართველოს, როგორც ევროპის კონვენციის მონაწილეს, ჩეჩნების გადაცემაზე უარის თქმის სამართლებრივ არგუმენტად მე-3 მუხლის მოთხოვნების გამოყენებაც შეეძლო.

გარდა ამისა, გადაწყვეტილების მიღებისას, ქართველ კანონდამცველებს ევროსაბჭოს კონვენციის ის მუხლიც უნდა გაეთვალისწინებინათ, რომლის მიხედვითაც საომარი მოქმედებების პირობებში ექსტრადიცია არ უნდა განხორციელდეს.

სამაგიეროდ, გენერალურმა პროკურატურამ იმავე კონვენციის მე-6 ოქმი გაითვალისწინა, რომელიც სიკვდილით დასჯის კატეგორიული წინააღმდეგია. რუსეთის პროკურატურიდან საქართველოში ჩამოსული საგარანტიო წერილით, ექსტრადირებულ ჩეჩნებს, გასამართლების შემთხვევაში, სიკვდილით დასჯა არ ემუქრებათ, რადგან რუსეთის პრეზიდენტმა ამ მძიმე სასჯელზე მორატორიუმი გამოაცხადა.

ერთი სიტყვით, ქართველმა კანონდამცველებმა საერთაშორისო ნორმები ნაწილობრივ, ფორმალურად დაიცვეს და 5 ჩეჩნის ექსტრადიცია მასზე დაყრდნობით განახორციელეს.

თუმცა, გადაცემის საქმეში ერთი მნიშვნელოვანი იურიდიული ნორმა მაინც დაირღვა. საქმე ისაა, რომ, კანონით, პატიმართა ექსტრადიცია მას შემდეგ უნდა განხორციელებულიყო, რაც საქართველოში მიმდინარე საქმის გამოძიება დამთავრებულად გამოცხადდებოდა და გენერალური პროკურორი საბრალდებო დასკვნას ხელს მოაწერდა. გამოძიების რუსულ ენაზე ნათარგმნი მასალები რუსეთის იზოლატორში გადაგზავნილ ტუსაღებს თან უნდა წაჰყოლოდათ და რუსი კანონდამცველების მიერ შექმნილ საქმესთან გაერთიანებულიყო. არადა, ბრალდებულ ჩეჩენთა საქმის გამოძიება საქართველოში ჯერ არ დამთავრებულა. როგორ გამოასწორებენ ამ იურიდიულ ხარვეზს ქართველი კანონდამცველები, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, - დარღვევა სახეზეა.

და ერთიც. დღეს უკვე დადასტურებულია, რომ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მკურნალობას გადის ჩეჩნებთან ერთად დაკავებული დუისელი მწყემსი რობიზონ მარგოშვილი. ასეთ შემთხვევაში, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქის ექსტრადიცია დაუშვებელია.

5 ჩეჩნის ექსტრადიციიდან ნახევარ საათში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ სტრასბურგიდან სარეკომენდაციო წერილი მიიღო. ევროსაბჭომ მის მიერ ჩეჩენთა საქმის განხილვამდე პატიმრების გადაცემის ეტაპის შეჩერება მოითხოვა. რუსეთის დაჟინებული მოწოდების მიუხედავად, ორთაჭალის ციხეში დარჩენილი ტუსაღების გადაცემა ევროსაბჭოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე ვეღარ განხორციელდება.

სხვათა შორის, ჩეჩნების ექსტრადიციას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა თავად საქართველოშიც. საზოგადოების ერთი ნაწილი თუ თვლის, რომ დაკავებულთა რუს სამართალდამცველებისთვის გადაცემა მართებული გადაწყვეტილება იყო, მეორე ნაწილი პანკისის ხეობაში და სასჯელაღსრულების №5 დაწესებულებასთან აქციებს აწყობს და ექსტრადიციის შეჩერებას ითხოვს. ორი დღის წინ საპყრობილესთან შეკრებილ ჩეჩენ გულშემატკივრებს, გუშინ "ეროვნული თანხმობის კავშირის" წევრებიც შეუერთდნენ და, საბოლოოდ, მომიტინგეთა რისხვამ საქართველოს პრეზიდენტისკენ გადაინაცვლა.

გასულ კვირას კიდევ ერთი სკანდალი აგორდა. ინგლისელი ბანკირის გატაცების საქმეს დაუკავშირდა საქართველოში ჩეჩნეთის დიასპორის ხელმძღვანელის - ხიზრი ალდამოვის სახელი. გენერალური პროკურატურისა და უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა იგი პიტერ შოუს საქმესთან დაკავშირებით შაბათს დაკითხეს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ხიზრი ალდამოვისგან სამართალდამცველები პიტერ შოუს გატაცებაში ეჭვმიტანილი იმ პიროვნებების შესახებ ითხოვდნენ ინფორმაციას, რომელთა ტელეფონზეც ჩეჩნეთის დიასპორის მეთაურის სატელეფონო ზარი დააფიქსირეს.

ხიზრი ალდამოვის, ანუ პიტერ შოუს გატაცების საქმე გაგრძელებას ამ კვირას ჰპოვებს. სავარაუდოდ, ამ კვირის წამყვანი თემაც სწორედ ეს გახდება. კვლავ აქტუალური იქნება რუსეთისთვის გადასაცემი 8 პატიმრის ბედიც. მით უმეტეს, რომ დაკავებულთა საქმეში ახალი ადვოკატები ჩაერთვნენ, რომლებიც დღეს სტრასბურგში მორიგი საჩივრის გაგზავნას აპირებენ. დაკავებულთა ბედით დაინტერესდა საქართველოს ომბუდსმენიც, რომელიც გენერალური პროკურორისგან ამ საქმესთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას ითხოვს. ნუგზარ გაბრიჩიძესთან აუდიენციას ითხოვენ ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციებიც.

აი, ასეთი იყო გასული კვირის სამართლებრივი ცხოვრების მთავარი მოვლენები.

თუმცა, გასულ კვირას მოხდა ჩვეულებრივი დანაშაულობებიც: მკვლელობა, ყაჩაღობა, ქურდობა, ძარცვა...

## უცხოეთი

### დაპატიმრებული მკვლელს არ ჰგავს, მაგრამ…

გამოძიებას ჯერაც ვერ დაუდგენია რამდენიმე დღის წინ, ცნობილი ფრანკფურტელი ბანკირის თერთმეტი წლის ვაჟის - იაკობ ფონ მეტცლერის გატაცებისა და მკვლელობის მიზეზები. თუმცა კი, თავდაპირველად თითქოს ყველაფერი ნათელი იყო და ბავშვიც ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს. მეტცლერმა გადაუხადა კიდეც ინკოგნიტო გამტაცებლებს სამი მილიონი ევრო, მაგრამ შვილი მისთვის არავის დაუბრუნებია. მსოფლიო კრიმინალისტიკის ისტორია მსგავს ფაქტებს იცნობს. მათ შორის ყველაზე გახმაურებული მეორე მსოფლიო ომის გმირის, ამერიკელი მფრინავის ლინდბერგის ახალშობილი ბავშვის გატაცება იყო. მაშინაც, გამოსასყიდის მიღების მიუხედავად, გამტაცებლებმა ბავშვი მოკლეს.

ახლაც, ფულის გადახდიდან ორი დღის შემდეგ, პატარა ტბის პირას დაგდებულ თავშეკრულ ტომარაში 11 წლის იაკობ ფონ მეტცლერის გვამი იპოვეს. პოლიციამ აღმოჩენის თაობაზე ოფიციალური განცხადება მხოლოდ მას შემდეგ გააკეთა, რაც რამდენიმე ეჭვმიტანილი დააკავეს. ახლა უკვე ეჭვმიტანილთა რიცხვი ერთამდე შემცირდა.

გამოძიება ჯერ კიდევ დაზუსტებით ვერ ადგენს ბავშვის სიკვდილის გამომწვევ მიზეზს, ანუ ჯერაც უცნობია, იაკობ ფონ მეტცლერი გაგუდეს, თუ იგი წყალში ჩააგდეს და დაიხრჩო. გამოძიება მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმის დადგენას, რომ გვამს სექსუალური ძალადობის ნიშნები არ აღენიშნება, თუმცა მაინც ეჭვობენ, რომ განცხადება მისი გატაცების შესახებ ბოროტმოქმედის მხრიდან მხოლოდ გამოძიებისთვის კვალის არევის მიზანს ატარებდა. ასეთი დასკვნის საფუძველს სამართალდამცველებს მთელი რიგი დეტალები აძლევს. მათ შორის ერთ-ერთი, დაკავებული ეჭვმიტანილის ვინაობაა. მარბურგელი, ფრანკფურტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს ბრალი მკვლელობასა და ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცებაში წაუყენეს, მაგრამ მაინც ფიქრობენ, რომ მან ბავშვი სხვა დანაშაულის დასაფარად უფრო მოკლა.

გამოძიების ხელთ არსებული მასალების თანახმად, დაკავებული და მოკლული ერთმანეთს იცნობდნენ. ფსიქოლოგ რუდოლფ ეგის აზრით, ეჭვმიტანილი სტუდენტი არ შეესაბამება ამგვარი დანაშაულების ჩამდენ ბოროტმოქმედთა ფსიქოლოგიურ სახეს. "ეჭვმიტანილი მატერიალურად საკმაოდ კარგად უზრუნველყოფილი ადამიანია, ამასთან, აქამდე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არასოდეს ყოფილა. ამიტომაც, ვფიქრობ, ბავშვი მან სულ სხვა მიზეზით მოკლა და შემდეგ, კვალი რომ აერია, მისი გატაცება მოიგონა, — ამბობს ეგი, — მკვლელობის მოტივი შეიძლებოდა ბავშვის ოჯახის მიმართ სიძულვილი ან მასთან სექსუალური კონტაქტის დამყარების მცდელობა ყოფილიყო. ამ საქმეში ძალზე ბევრი კითხვის ნიშანია და ყველაფერი გარკვევას დრო დასჭირდება". იმავე ეგის თქმით, ასეთი სასტიკი დანაშაულის ჩადენა ერთი სტუდენტის ძალებს აღემატება. მსგავს დანაშაულს უფრო ხშირად რამდენიმე ბოროტმოქმედი სჩადის. ამასთან, გატაცება და მკვლელობა ხომ კრიმინალური დებიუტისთვის დამახასიათებელ დანაშაულთა რიცხვს არ მიეკუთვნება. რუდოლფ ეგის თქმით, ადამიანის გამტაცებლებსა და ძალადობის მოყვარულ დამნაშავეებს, როგორც წესი, მდიდარი კრიმინალური წარსული უმაგრებს ზურგს და მათ, სულ ცოტა, ბანკი მაინც აქვთ ხოლმე გაძარცვული. მხოლოდ ამის შემდეგ გეგმავენ ისინი გამოსასყიდის მიღების მიზნით გატაცებას, რათა, წარმატების შემთხვევაში, უზრუნველად იცხოვრონ.

## მოკლედ

**თბილისი.** იმერეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებული თემურ შაშიაშვილი ზესტაფონის პოლიციის ხელმძღვანელობას სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრება.

რწმუნებულის კრიტიკა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნიდან მეორადი გადამუშავების სილიკომანგანუმის უკანონო გატანის არაერთი ფაქტის გამოძიების გაჭიანურებამ გამოიწვია. "თუ უახლოეს ხანებში ვერ გაარკვევთ, ვის გააქვს ნედლეული რაიონიდან, ჩათვალეთ, რომ უკანასკნელად გელაპარაკებით, როგორც პოლიციის უფროსს", - დაემუქრა თემურ შაშიაშვილი ზესტაფონში სტუმრობისას რაიონული პოლიციის უფროსს ხვიჩა გუმბერიძეს.

ზესტაფონის გამგეობაში სარწმუნო წყაროს ცნობით, რაიონიდან ნედლეულის უკანონო გატანას თურქული ფირმა "რონნი" მფარველობს, რომელიც ზესტაფონში 1990 წლიდან მოქმედებს.

ამჟამად ერთი ტონა ნედლეულის ფასი "შავ ბაზარზე," საშუალოდ, 80-100 აშშ დოლარს შეადგენს. **"ინტერ-პრესი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** შს სამინისტროს კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა დოკუმენტების გაყალბებაში ამხილეს შპს „საქართველოს რკინიგზის" სამტრედიის ტერიტორიული სამმართველოს დირექტორი ამბაკო ტორონჯაძე და სხვა თანამშრომლები, რომლებმაც სამმართველოს ბუღალტერიაში წარადგინეს თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს, აფხაზეთის მეომართა კავშირის იმერეთის რეგიონალური განყოფილებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის მიერ გაცემული ყალბი ცნობები იმის შესახებ, თითქოს ისინი 1992-93 წლებში მონაწილეობდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში.

ამ ცნობების საფუძველზე, მათ სამტრედიის რაიონულ სასამართლოს დაადასტურებინეს აფხაზეთის ტერიტორიაზე ბრძოლებში მონაწილეობის ფაქტი და დაიბრუნეს წინა წლების ხელფასებიდან დაქვითული საშემოსავლო გადასახადი, სულ 51.800 ლარის ოდენობით. **"მედია-ნიუსი"**

# „აფხაზეთის სინდრომი" ზოგიერთ ლტოლვილს დანაშაულისკენ უბიძგებს

## პრობლემის არსში გასარკვევად ფსიქოლოგ ნანა ჩაჩუას მივმართეთ

**ბოლო პერიოდში კატასტროფულად გახშირდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მოქალაქეთა მხრიდან განზრახ მკვლელობის ფაქტები. აფხაზეთის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი სოსო ფაცაცია ამას შემდეგი გარემოებებით ხსნის: "სოციალური და ეკონომიკური სიდუხჭირით ფსიქიკურ სტრესამდე მისული ლტოლვილები, სახელმწიფოსგან აბსოლუტურად უყურადღებოდ არიან მიტოვებულნი. ამის გამო, იძულებით გადაადგილებულნი თავს დაჩაგრულად გრძნობენ და სულ პატარა წინააღმდეგობასაც უკიდურესი აგრესიით ხვდებიან".**

თამარ კაციტაძე

### ფაქტი 1

თბილისში მცხოვრები გულრიფშელი არასრულწლოვანი გიორგი არღვლიანი ლუკმაპურის საშოვნელად თითქმის ყოველდღე გარდაბნის რაიონში დადიოდა. იგი, თავის ცოლისძმასთან – გიორგი ჯავახიშვილთან ერთად, სოფელ ნორიოში ლევან ჭრიკიშვილს სასათბურე მეურნეობაში ეხმარებოდა, რისთვისაც ისინი გარკვეულ გასამრჯელოს იღებდნენ.

ერთ დღეს, ჭრიკიშვილმა, საკუთარი დაბადების დღის აღსანიშნავად, მუშებს პურ-მარილი მიუტანა და, დაქირავებულ სიძე-ცოლისძმასთან ერთად, ღამემდე იქეიფა. უკვე კარგად შეზარხოშებულმა არღვლიანმა ახლად შერთული ცოლის მოსანახულებლად თბილისში წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ჭრიკიშვილმა წაყვანაზე უარი უთხრა – ბენზინი არ მაქვს და ვერ წაგიყვანო. საუბარში ჯავახიშვილიც ჩარეულა – ტრანსპორტი არ არის და ამ შუაღამისას სად უნდა იაროო.

ამ სიტყვებს რატომ უნდა გაეღიზიანებინა არღვლიანი, შემდგომში ა თავად დამნაშავემაც ვერ მოუძება ახსნა. მაგრამ ფაქტია - მოულოდნელად იგი სუფრისკენ გაიქცა, მაგიდიდან დანა აიღო და ცოლისძმას გულში ჩაარტყა. ჯავახიშვილი ადგილზე გარდაიცვალა. საკუთარი საქციელით გაოგნებულ არღვლიანს შემთხვევის ადგილიდან გაქცევა არც უცდია. იგი დააპატიმრეს და საქმე გამოსაძიებლად აფხაზეთის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს გადაუგზავნეს.

არღვლიანი გამოძიების პროცესში სრულწლოვანი გახდა და მას სოხუმის სასამართლომ რვა წლით და ექვსი თვით პატიმრობა მიუსაჯა, სასჯელის მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მოხდით.

### ფაქტი 2

მიმდინარე წლის ორ იანვარს თბილისში, სასტუმრო "აჭარაში" მცხოვრები ვახტანგ გურგენიძე ახლო მეგობართან - ანატოლი ბორტნიკოვთან ახალი წლის მისალოცად მივიდა. როგორც თვითმხილველნი იხსენებენ, შუა ქეიფის დროს მეგობრები უმნიშვნელო თემაზე შელაპარაკდნენ. აღელვებულმა გურგენიძემ სუფრიდან დანა აიღო და მასპინძელს გულში ჩაარტყა. ბორტნიკოვი ადგილზევე გარდაიცვალა.

განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს აფხაზეთის პროკურატურა იძიებდა. გამოძიებით დადგინდა, რომ ოჩამჩირეში მცხოვრები გურგენიძე აფხაზეთის ომის დროს რამდენჯერმე დაიჭრა, კონტუზია მიიღო და ფსიქიურად დაავადდა, რის შემდეგაც იგი, როგორც სამხედრო მოსამსახურე, ჯერ ოჩამჩირის, შემდეგ თბილისის ჰოსპიტალში მკურნალობდა, ბოლოს კი სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფოთაშორისო კვლევით ინსტიტუტშიც იწვა. მაგრამ მისი საბოლოო გამოჯანმრთელება მაინც ვერ მოხერხდა. ექიმთა დასკვნით, გურგენიძე განეკუთვნებოდა სოციალურად განსაკუთრებით საშიშ პიროვნებათა რიცხვს და ამიტომ მუდმივად საჭიროებდა სამედიცინო კონტროლს, მაგრამ...

გამოძიების პროცესში კიდევ ერთხელ დაინიშნა სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა და დადგინდა: "დანაშაულის დროს გურგენიძე იმყოფებოდა ფსიქიკური აფექტის მდგომარეობაში და მას არ შეეძლო, გაეცნობიერებინა საკუთარი ქმედება და გაეკონტროლებინა იგი".

შეურაცხადად გამოცხადებული გურგენიძე ამჟამად სამკურნალოდ ფოთის მკაცრი მეთვალყურეობის ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია გადაგზავნილი.

### ფაქტი 3

32 წლის ნოდარ ყაველაშვილი და მისი ახლო ნათესავი, 70 წლის ვახტანგ ყაველაშვილი, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილების შემდეგ, ჭიათურის რაიონში, სოფელ ზედუბანში ცხოვრობდნენ. წლების განმავლობაში ნათესავებს არასოდეს მოსვლიათ კონფლიქტი, პირიქით, ახალგაზრდა ყაველაშვილი სისტემატურად დადიოდა ორი წლის მანძილზე ლოგინად ჩავარდნილ ახლობელთან და მის მეუღლეს ოჯახური პრობლემების მოგვარებაში ეხმარებოდა.

ერთ დღესაც, დილაადრიან, ნაჯახით შეიარაღებული ნოდარ ყაველაშვილი ნათესავების სახლში შევარდა. მან ჯერ ლოგინში მწოლიარე ვახტანგ ყაველაშვილს ჩაარტყა თავში ნაჯახი რამდენჯერმე და მოკლა, შემდეგ კი გაოგნებულ ბიცოლასაც - გოგუცა ყაველაშვილსაც ჩაარტყა ნაჯახი და გაიქცა.

სამართალდამცველებმა ყაველაშვილი საკუთარ სახლში დააკავეს. გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებში ბრალდებული არ უარყოფს მკვლელობის ფაქტს, მაგრამ აკვიატებული აქვს, რომ ვახტანგ ყაველაშვილი კი არა, ტერორისტი ბინ ლადენი მოკლა.

ნოდარ ყაველაშვილი გაგრის მეორე ბატალიონში იბრძოდა. ომის დროს მან რამდენჯერმე მიიღო კონტუზია, რისთვისაც სხვადასხვა საავადმყოფოში მკურნალობდა.

ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით, ყოფილ მებრძოლს დანაშაულის დროს არ შეეძლო, გაეკონტროლებინა საკუთარი ქმედება. თუმცა, იმის დასადგენად, არის თუ არა ნოდარ ყაველაშვილი შეურაცხადი, საბოლოოდ, ფოთის ფსიქიატრიული საავადმყოფო იმსჯელებს.

### ფაქტი 4

ოჩამჩირიდან იძულებით გადაადგილებული, მეორე ჯგუფის ინვალიდი ავთანდილ სირბილაძე, ტყიბულში, დასთან და 18 წლის დისშვილთან ერთად ცხოვრობდა. ერთ საღამოს სირბილაძეების ოჯახში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მეგობრის თანხლებით, ვინმე ბაბუხადია მივიდა. დაუპატიჟებელმა სტუმრებმა ავთანდილ სირბილაძესა და მისი ოჯახის წევრებს შეურაცხყოფა მიაყენეს. გაბრაზებულმა ინვალიდმა ოჯახის უფროსმა ბაბუხადიას სანადირო თოფი ესროლა და მოკლა.

ვფიქრობთ, ზემოთ დასახელებული ფაქტები, სამართლებრივის გარდა, წმინდა ფსიქოლოგიურ პრობლემასაც წარმოადგენს. ამიტომ კომენტარი ფსიქოლოგ **ნანა ჩაჩუას** ვთხოვეთ.

*"აფხაზეთის ომისადმი დამოკიდებულება, როგორც აფხაზების, ასევე ქართველების მხრიდან არაადეკვატური იყო, რადგან ეს გახლდათ არა კონფლიქტი აფხაზებსა და ქართველებს შორის, არამედ წლების განმავლობაში რუსეთის პოლიტიკის მიერ ორ ერს შორის დანერგილი პროვოკაცია. ჩემი აზრით, ქართველი ლტოლვილების პრობლემაც სწორედ აქედან დაიწყო. ამ ომს არ დაერქვა ნამდვილი სახელი. ხალხი, რომელიც უშუალოდ იღებდა ამ პროცესებში მონაწილეობას, ფაქტობრივად, წინააღმდეგობაში აღმოჩნდა რეალობასთან. სხვა იყო ლოზუნგები, ომისადმი მოსახლეობის განწყობა კი - სხვა. შინაგანი გაურკვევლობის გამო, მათ ცნობიერ და ქვეცნობიერ ფსიქიკაში კონფლიქტი დაიწყო. მოსახლეობამ და მებრძოლებმაც ვერ გააცნობიერეს რეალობა და ის როლი, რომელშიც იმყოფებოდნენ. არადა, როლი და რეალობა აბსოლუტურად არაადეკვატური იყო. იქაური ქართველები, ფაქტობრივად, ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომ მათ ომში ვერ გამოხატეს თვითაქტივობა და აქაც, ამჟამინდელ როლშიც უმწეონი არიან. ეს კი ყოველთვის ვლინდება აგრესიაში.*

*გამოსავალი ის გახლავთ, რომ თავად პიროვნებამ და სახელმწიფომ გააცნობიერონ პრობლემა და პირდაპირ შეხედონ რეალობას. თუ დაუბრუნდები საკუთარ თავს და გააანალიზებ, რა ხდებოდა, რატომ აკეთებდი ამას, ეს ძალიან მტკივნეული და, თანაც, ტრაგიკული იქნება, ამიტომ ქვეცნობიერში წარსულში დაბრუნების შიში არსებობს. რაც უფრო მძიმეა იმის გაცნობიერება, რაც ომის დროს ხდებოდა, მით უფრო მძიმეა სინამდვილესთან დაბრუნება, აგრესია კი ამ დროს პიროვნებაში გეომეტრიული პროგრესიით იზრდება.*

*კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ერთადერთი გამოსავალია, რეალურად, ადეკვატურად, იქნეს აღქმული, დანახული და გაცნობიერებული, რაც იყო და რაც არის. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებაშიც ომის შემდეგ ამ პრობლემისადმი აბსოლუტურად არაადეკვატური რეაქციაა. არავინ ფიქრობს იმაზე, რა შეიძლება და რა არ შეიძლება, ვუთხრათ მოსახლეობას. როცა იმ ადამიანებზეა საუბარი, რომლებიც ამ ისტორიულ პროცესში უშუალო მონაწილენი იყვნენ და არ იციან, რა როლი ეკისრებოდათ მათ, ძნელია განკურნებაზე საუბარი.*

*როდესაც პრობლემას პირდაპირ არ აქვს დარქმეული სახელი, მერე იწყებ დამნაშავის ძებნას და ხშირად განტევების ვაცებად სწორედ ახლობლები იქცევიან ხოლმე. რადგანაც უჩინარია ის ძალა, რომელმაც პიროვნება ასე დაანგრია, რომელმაც გამოაგდო სასიცოცხლო სივრციდან და მას თავისი სიცოცხლის განხორციელების, ანუ შრომის საშუალებაც არ მისცა, ამიტომაც იგი აგრესიული და პოტენციური დამნაშავე ხდება. გაჭირვებული ადამიანი ხშირად სახელმწიფოში ეძებს დასაყრდენ ძალას, ქვეცნობიერად მამასთან აიგივებს მას და ამიტომაც საკუთარ უმწეობაზე სწორედ მას სთხოვს პასუხს და ჯავრსაც მასზე იყრის. არადა, ბევრმა (არც საზოგადოებამ და არც თავად იძულებით გადაადგილებულმა ადამიანებმა) არ იცის, რომ დღევანდელი აგრესია სახელმწიფოსა და სხვა პიროვნებებისადმი, ძირითადად, ომის დროს გაუცნობიერებელი პრობლემიდან მოდის.*

*ნორმალურ შემთხვევაში სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის დაპირისპირება - ეს არის დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი, რაც ხელს უწყობს სახელმწიფოს პროგრესულად განვითარებას. მაგრამ როცა სახელმწიფოს უპირისპირდება თავად ხელისუფლება და აგრესიულად განწყობილი ხალხი, ეს უკვე თვითკვდომის პროცესს ნიშნავს."*

# პოლიტიკური პანორამა

ზედხედი

*რუსეთიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ათი წლის განმავლობაში, ედუარდ შევარდნაძეს არასოდეს ჰყოლია უშუალო პოლიტიკური მეტოქე, უშუალო ოპონენტი. მუდმივი კრიტიკის ფონზე, პრეზიდენტი ყოველთვის პოულობდა საერთო ენას ოპოზიციის იმ ლიდერებთან, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუნდაც, რაიმე როლის შესრულებას ახერხებდნენ.*

ია ანთაძე,
რადიო „თავისუფლება",
სპეციალურად „24 საათისთვის"

ერთადერთი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც, ათწლიანი პერიოდის მანძილზე, ედუარდ შევარდნაძემ, ფაქტობრივად, აღიარა უშუალო პოლიტიკურ ოპონენტად – მიხეილ სააკაშვილია.

სააკაშვილი, ჯუმბერ პატიაშვილისგან განსხვავებით, შევარდნაძის პრეზიდენტობას არჩევნებში არ შესცილებია; სააკაშვილს, ასლან აბაშიძისგან განსხვავებით, ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი არ შეუქმნია და საზოგადოებისთვის არც ალტერნატიული იდეოლოგია შეუთავაზებია. კრიტიკით კი პრეზიდენტს ბევრი პოლიტიკოსი და არაპოლიტიკოსი აკრიტიკებს.

რა არის შევარდნაძე-სააკაშვილის დაპირისპირების არსი?

■ ■ ■

ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია, წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როდესაც მიხეილ სააკაშვილი, თავისი პარტიითურთ, მშვიდად მიაღწევს მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე, საპარლამენტო განლაგებაში მისთვის კუთვნილ სეგმენტს დაიკავებს და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის დაიწყებს მზადებას; ხოლო 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში წარსდგება ერთ რიგით კანდიდატად დანარჩენ კანდიდატებს შორის. მოვლენების ამგვარი მშვიდი განვითარების შემთხვევაში, მწვავე განცხადებები და მაღალი რეიტინგი არაფერს შეცვლის – მიხეილ სააკაშვილი დარჩება ერთ-ერთ პოლიტიკურ ლიდერად და შევარდნაძე-სააკაშვილის ოპოზიციური წყვილი არ შედგება.

უეჭველია, მთავარი ფაქტორი, რომელმაც ნაციონალური მოძრაობის ლიდერი პრეზიდენტის უშუალო მეტოქედ და ოპონენტად შექმნა, საკონსტიტუციო ვადების დარღვევას და რევოლუციურ სცენარს უკავშირებს. მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო ლოზუნგი - “თბილისი და საქართველო ედუარდ შევარდნაძის გარეშე” – თავისთავად, არ გულისხმობდა, რომ პრეზიდენტს პოსტი საკონსტიტუციო ვადის ამოწურვამდე უნდა დაეტოვებინა. მაგრამ ლამის ზამთრიდან მოარული ხმები საშემოდგომო დესტაბილიზაციაზე, სახალხო ამბოხის შესახებ და უკიდურესად რადიკალური განცხადებები მიხეილ სააკაშვილს მარტოოდენ უქმნიდა რევოლუციურ იმიჯს. თუ მოვლენები ისე განვითარდებოდა, რომ პრეზიდენტი სახალხო ამბოხის ფონზე გადადგებოდა, ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში, ცხადია, სახალხო ლიდერი, ანუ მიხეილ სააკაშვილი გაიმარჯვებდა. აი, ამ არაღიარებული, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი სცენარის ფარგლებში გამოაცხადა მიხეილ სააკაშვილმა ედუარდ შევარდნაძე თავის უშუალო მეტოქედ.

■ ■ ■

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილის გამოწვევა მიიღო. ლამის ყოველ საჯარო გამოსვლაში იგი კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა ნაციონალურ მოძრაობის ლიდერს და თავის უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდა მისი პოლიტიკური პოზიციის მიმართ. ნიშანდობლივი იყო ის შემთხვევა, როდესაც ედუარდ შევარდნაძემ “ლამის მოამბის” პირდაპირ ეთერში დარეკა და ლამის უშუალო დებატები გაუმართა მიხეილ სააკაშვილს. ამ ფაქტმა საბოლოოდ გააფორმა ოპოზიციური წყვილი, რომელიც მანამდეც არსებობდა: შევარდნაძე-სააკაშვილი.

ამის შემდეგ პრეზიდენტი მოქმედებაზე გადავიდა და დღეს ჩვენ უკვე შეგვიძლია, ბრძოლის პირველი ეტაპის შედეგები შევაჯამოთ.

ოღონდ, თავიდანვე გარკვევით უნდა ითქვას, რომ იმ პროცესებში, რომელთა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ, თავად ედუარდ შევარდნაძე არსად გამოჩნდება. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ პრეზიდენტი არ მოქმედებს და მშვიდად ელოდება, როდის მიადგება ხალხი, სახალხო ლიდერთან ერთად, სახელმწიფო კანცელარიის შენობას და პირადად მის გადადგომას მოითხოვს. ამიტომ, ჩანს თუ არ ჩანს ედუარდ შევარდნაძე სააკაშვილის ირგვლივ ბოლოხანს განვითარებული მოვლენების ჭრილში, პრეზიდენტის უშუალო დაინტერესება და პოლიტიკური ნება აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ.

■ ■ ■

პირველი სერიოზული დარტყმა, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა მიიღო, თბილისის საკრებულოს საქმიანობის შეჩერებაა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების მიხედვით და ლეიბორისტულ პარტიასთან შეთანხმებით, წინასწარ გამოცხადდა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის პოსტს სწორედ მიხეილ სააკაშვილი დაიკავებდა. ეს პოსტი მას საშუალებას მისცემდა, მუდმივად ყოფილიყო საზოგადოების ყურადღების ცენტრში, თანაც, მნიშვნელოვანი თემებით. საკრებულოს წინა თავმჯდომარეს მის ხელთ არსებული ბერკეტები ბრძოლის იარაღად არასოდეს გაუხდია, იგი სუსტი პოლიტიკური ფიგურა იყო. მიხეილ სააკაშვილი კი ნამდვილად შეძლებდა, თბილისის საკრებულო ხელისუფლებასთან ბრძოლის ასპარეზად გამოეყენებინა და საკუთარი პოლიტიკური იმიჯისთვის ახალი საყრდენი შეექმნა. ცხადია, ბრძოლა ანტიკორუფციული სულისკვეთებით წარიმართებოდა.

ეს ასპარეზი ნაციონალური მოძრაობის ლიდერს ისეთი მოულოდნელი ხერხებით ჩაეკეტა, რომ დღეს აღარავინ იცის, როდის დაიწყებს საქმიანობას თბილისის საკრებულო და, როცა დაიწყებს, იმ პერიოდისთვის დარჩება თუ არა მიხეილ სააკაშვილს რაიმე შანსი თავმჯდომარის პოსტის მისაღებად.

■ ■ ■

უნდა ვიფიქროთ, რომ პრეზიდენტი აქ არ შეჩერებულა. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს ნაციონალური მოძრაობის და მისი ლიდერის ბლოკირება ცენტრისტული პოზიციიდან. ეს პროცესი თვალნათლივ ჩანს საპარლამენტო პოლიტიკურ სივრცეში. ბოლო ერთი თვის განმავლობაში პოლიტიკური ცენტრი მტკიცედ დაიკავეს “გაერთიანებული დემოკრატების” და “ახლი მემარჯვენეების” ფრაქციებმა. ეს ორი პოლიტიკური ძალა ბოლოხანს ნაყოფიერად თანამშრომლობს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პოლიტიკაში მუდმივი მეგობრები და მუდმივი მტრები არ არსებობენ.

რუსეთის მხრიდან აგრესიის საფრთხეს “გაერთიანებულმა დემოკრატებმა” მწვავე დადგენილებით და განცხადებით უპასუხეს, რომლებიც, არცთუ ადვილად, მაგრამ მაინც მიაღებინეს პარლამენტს. შემდეგ მათ იაქტიურეს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული საიდუმლო დოკუმენტის ოცდამეშვიდე მუხლის განხილვისას. “გაერთიანებული დემოკრატების” ინიციატივებს, როგორც წესი, იწონებდნენ და მხარს უჭერდნენ “ახლები”. თავის მხრივ, “ახლებმა” პარლამენტს შესთავაზეს დადგენილება ნატო-სთან ინტეგრაციის დაჩქარების შესახებ და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, სწორედ “ახლებმა” სთხოვეს პრეზიდენტს, გადაედო ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება ვლადიმირ პუტინთან პირისპირ შეხვედრამდე. “ახალი მემარჯვენეების” ორივე ინიციატივას “გაერთიანებულმა დემოკრატებმა” ენერგიულად დაუჭირეს მხარი. საბოლოოდ, ბოლო ერთი თვეა, პარლამენტი ამ გაუფორმებელი ცენტრისტული ბლოკის კარნახით საქმიანობს, რაც ბუნებრივად აძლიერებს როგორც “გაერთიანებული დემოკრატების”, ისე “ახალი მემარჯვენეების” ფრაქციას.

აქვე უნდა გავიხსენოთ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში გასაგზავნი დელეგაციის ხელმძღვანელის საკითხი. ამ დელეგაციის ხელმძღვანელობისთვის ვახტანგ რჩეულიშვილი პრეზიდენტის მომხრე ფრაქციებთან ერთად იბრძოდა. გაუფორმებელი ცენტრისტული ბლოკი კი, პირიქით, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა რჩეულიშვილის ენერგიულ მცდელობებს. დაპირისპირება ისევ “გაერთიანებული დემოკრატებისა” და “ახლების” გამარჯვებით დასრულდა (?!) და საბოლოოდ გადაწყდა, რომ დელეგაციას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე უხელმძღვანელებდა.

■ ■ ■

გულუბრყვილობა იქნება იმის ფიქრი, რომ დაშლილ და დაქუცმაცებულ პარლამენტში ბოლოხანს განვითარებული პროცესი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად აძლიერებს ზურაბ ჟვანიასა და დავით გამყრელიძეს, პრეზიდენტის მეთვალყურეობის და თანხმობის გარეშე მიმდინარეობს. ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც, პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან გადადგომით, შეგნებულად დაშალა და დააუძლურა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ახლა მშვიდად შეჰყურებს, როგორ იბრუნებს მის მიერ დაქუცმაცებული პარლამენტი ქვეყნის პოლიტიკური ცენტრის ფუნქციას. რასაკვირველია, გაუფორმებელი ცენტრისტული ბლოკის გაძლიერება პრეზიდენტის თანხმობით და მისი სურვილის შესაბამისად ხდება და ისიც ნათელია, რისთვის სჭირდება ედუარდ შევარდნაძეს პოლიტიკური ცენტრის გაძლიერება.

თავიდანვე ცხადი იყო და ეს რეალობა დღემდე ძალაში რჩება, რომ პოლიტიკურ სამკუთხედში: შევარდნაძე-ჟვანია-სააკაშვილი – ადრე თუ გვიან, ორი პოლიტიკური ფიგურა შეკავშირდებოდა და მესამის პირისპირ აღმოჩნდებოდა. შევარდნაძისა და სააკაშვილის შეკავშირება გამორიცხულია, რადგან მთავარ დრამატურგიულ ხაზს სწორედ მათი დაპირისპირება ქმნის. ამიტომ, ლოგიკურად, არჩევანის უფლება ზურაბ ჟვანიას რჩებოდა. შესაბამისად, მოსალოდნელი იყო, რომ, თავის მხრივ, შევარდნაძეც და სააკაშვილიც ჟვანიასთან შეკავშირებაზე იფიქრებდნენ. ღია და მჭიდრო კავშირზე ჟვანია არც პრეზიდენტთან წავიდოდა და არც ნაციონალური მოძრაობის ლიდერთან. იგი შეეცდებოდა, ხელსაყრელი მდგომარეობა საკუთარი პოზიციების გასამყარებლად გამოეყენებინა: რაც უფრო მოიმატებდა “გაერთიანებული დემოკრატების” პოლიტიკური წონა, მით მეტად საჭირო აღმოჩნდებოდა ჟვანია როგორც შევარდნაძისთვის, ასევე – სააკაშვილისთვის.

ამ კონტექსტში, ძალიან ლოგიკურად გამოიყურება პრეზიდენტის გადაწყვეტილება, რომ გააძლიეროს პოლიტიკური ცენტრი, გააძლიეროს ჟვანია და ამით იგი საჭირო დისტანციაზე ჩამოაშოროს სააკაშვილს. მიხეილ სააკაშვილის იმიჯი პოლიტიკურ რადიკალიზმს ეფუძნება და ცენტრისტული ძალების გაძლიერება ერთმნიშვნელოვნად ნიშნავს სააკაშვილის განდევნას პოლიტიკური ცენტრიდან პერიფერიისკენ. იმ შემთხვევაში, თუკი პრეზიდენტი ცენტრს შეზღუდავდა და “გაერთიანებული დემოკრატების” თუ “ახლების” საპარლამენტო ინიციატივებს მის ხელთ არსებული ბერკეტებით ჩაახშობდა, ამგვარი ტაქტიკა ბუნებრივად უბიძგებდა ჟვანიას სააკაშვილისკენ. ახლა კი, როდესაც პირუკუ პროცესი მიმდინარეობს, ცხადია, ჟვანია შევარდნაძის ორბიტაზე ექცევა და ამ ორბიტაზე ძლიერდება, სააკაშვილი კი მარტო რჩება თავის რადიკალურ პლატფორმაზე.

■ ■ ■

ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ პროცესები სწორედ ამ სცენარით განვითარდებოდა. მხოლოდ ზედაპირული ხედვით ჩანდა, თითქოს, არჩევანის უფლება მაინცდამაინც ჟვანიას ჰქონდა. პოლიტიკური ცენტრის გაძლიერებით ედუარდ შევარდნაძემ იმ შედეგს მიაღწია, რაც სწორედ მისთვის იყო ხელსაყრელი და არა მისი პოლიტიკური ოპონენტებისთვის. პროცესის შედეგი კი ისაა, რომ პარლამენტის ტრიბუნასთან, საპარლამენტო მიკროფონებთან და საინფორმაციო საშუალებებში ხშირად ვხედავთ გაუფორმებელი ცენტრისტული ბლოკის წევრებს, სააკაშვილი და მისი თანამოაზრეები კი აღარსად ჩანან. “გაერთიანებული დემოკრატებისა” და “ახლების” ტანდემს გაცილებით ეფექტიანად შეუძლია სააკაშვილის რადიკალიზმის გაუფასურება და სააკაშვილის ქარიზმის განლევა, ვიდრე რომელიმე სხვა ძალას, განსაკუთრებით, სახელისუფლო ძალებს. ამიტომ, პრეზიდენტის გადაწყვეტილება, რომ ებრძოლოს სააკაშვილს არა თავისი მომხრე ძალებით, არამედ - ჟვანიასა და გამყრელიძის მეშვეობით, ლოგიკური და ეფექტური გადაწყვეტილებაა.

ამასობაში, იკვეთება კიდევ ერთი პოლიტიკური ტენდენცია: პარლამენტში ცენტრისტული ბლოკი, როგორც წესი, უპირისპირდება ედუარდ შევარდნაძის მომხრე ფრაქციებს. კენჭისყრის შედეგები ამ დაპირისპირებას ადასტურებს. სამაგიეროდ, თავად პრეზიდენტი კარგად იყენებს “ახლების” და “გაერთიანებული დემოკრატების” ოპოზიციურ იმიჯს და მისთვის სასარგებლო ზოგიერთ ინიციატივას სწორედ ცენტრისტული ბლოკის მეშვეობით ლობირებს, ისე, რომ თავის მომხრე ფრაქციებს “თამაშგარე მდგომარეობაში” ტოვებს.

მაგალითად, როდესაც “ახლებმა” პრეზიდენტის საპარლამენტო მოხსენების გადადება მოითხოვეს, “გაერთიანებულმა დემოკრატებმა” ამ ინიციატივას მაშინვე მხარი აუბეს, პრეზიდენტის მომხრე ფრაქციები კი ინერციით ითხოვდნენ, რომ მოხსენების ვადა არ შეცვლილიყო. პრეზიდენტი, ცხადია, დიდსულოვნად დასთანხმდა ოპოზიციის ინიციატივას და პარლამენტში გამოსვლა მისთვის უფრო ხელსაყრელი მომენტისთვის გადადო.

■ ■ ■

“გაერთიანებული დემოკრატებისთვის” და მათი ლიდერისთვის მეტისმეტად მისაღებია ის პირობები, რომლებიც ბოლო ერთი თვის განმავლობაში პარლამენტში და მთელ პოლიტიკურ სივრცეში შეიქმნა. ცენტრის გაძლიერებასთან ერთად, ჟვანიასთვის ხელსაყრელია სააკაშვილის, როგორც პოლიტიკური მეტოქის დასუსტებაც. მაგრამ არსებობს ერთი ფაქტორი, რომელიც მუდმივი საფრთხის წყაროა: ედუარდ შევარდნაძის სამომავლო გეგმები. დღეს ჟვანია ემიჯნება და ასუსტებს სააკაშვილს. მაგრამ ხვალ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამით ჟვანია ემიჯნება და ასუსტებს საკუთარ თავს. რადგან, რაგინდ ძნელი მისაღწევი არ უნდა იყოს ჟვანიასა და სააკაშვილს შორის ერთ ენაზე საუბარი, შესაძლოა, ეს მათი გადარჩენის ერთადერთი გზა აღმოჩნდეს. თუ ედუარდ შევარდნაძეს განზრახული აქვს პოლიტიკური ლიდერების დასუსტება და რომელიმე სახელისუფლო ლიდერის გაძლიერება, მისი დღევანდელი გადაწყვეტილებები კიდევ მეტ მნიშვნელობას იძენს: ჯერ ჟვანიასა და სააკაშვილის გათიშვა, შემდეგ სააკაშვილის დასუსტება ჟვანიას მეშვეობით და ბოლოს მარტო დარჩენილი ჟვანიას ჩამოშორება. სხვათა შორის, ეს მარტივი სქემა პრეზიდენტს სამთავრობო სივრცეში არაერთხელ აუმოქმედებია და ყოველთვის – წარმატებით.

■ ■ ■

ბოლო თვეების განმავლობაში მიხეილ სააკაშვილი ახალი პოლიტიკური რეალობის პირისპირ აღმოჩნდა: იგი გაურკვეველი ვადით ჩამოაშორეს საკრებულოს ასპარეზს და, იმავდროულად, მას გაურკვეველი ვადით ჩამოაშორეს სავარაუდო პოლიტიკური პარტნიორები. ადრე მიხეილ სააკაშვილი გაცილებით კომფორტულად გრძნობდა თავს ჟვანიას გარეშე, ვიდრე ჟვანიას გვერდით. თუმცა, დემოკრატიის გულშემატკივრებს მიაჩნდათ და ახლაც მიაჩნიათ, რომ ამ ორი პოლიტიკოსის პარტნიორობა გარდუვალი და აუცილებელია. მოძებნის თუ ვერა მიხეილ სააკაშვილი ახალ საყრდენებს და ძლიერ საპასუხო სვლებს პრეზიდენტის აშკარა გამოწვევის პასუხად – სწორედ ამ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული მისივე სამომავლო პერსპექტივა. პოლიტიკური სამკუთხედი: შევარდნაძე-ჟვანია-სააკაშვილი - სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

საქართველოს
საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა
სახელმწიფო მმართველობის სკოლა
ამერიკული სამაგისტრო პროგრამები
საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა – 2002წ. 30 ოქტომბერი
ბროსეს ქ. №2, თბილისი 380008, ტელ/ფაქსი 931466, www.gipa.ge




# რატომ გამომზეურდა საიდუმლო დოკუმენტები

პირველი გვერდიდან

ფაქტობრივად, ამ დოკუმენტში პირველად გაცხადდა ღიად ის, რაც აქამდე მხოლოდ ეჭვის დონეზე იყო - პრეზიდენტი შევარდნაძე ჩეჩნების საკითხს რუსეთთან მორიგების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად მიიჩნევს. ასეთი პოლიტიკის საჯარო დადასტურება სწორედ უშიშროების საბჭოში მომზადებული რეკომენდაციები აღმოჩნდა. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ დოკუმენტის სრული შინაარსის გახმაურებიდან რამდენიმე დღეში ჩეჩნების ხუთკაციანი ჯგუფი უკვე გადაეცა რუსეთს.

მიმომხილველებმა ხელისუფლების გადაწყვეტილება, პრინციპში, ერთგვაროვნად შეაფასეს - პრეზიდენტი შევარდნაძე პუტინთან შეხვედრის წინ ფონის შერბილებას ცდილობს. ამ შემთხვევაშიც საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების აუცილებელ პირობად ცალმხრივ დათმობებზე წასვლა მიიჩნია. ასეთი პოლიტიკური ლოგიკა მარტო შევარდნაძეს არ ახასიათებს. ჩრდილოეთზე ორიენტირებული ძალების მთავარი სტრატეგიული ხაზი სწორედ ამ მიდგომაზე გადის. ზუსტად ამ მხრივ არის საინტერესო ზემოთმოხსენიებული ასლან აბაშიძის წერილიც, რომელიც აჭარის ხელმძღვანელის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ შეიქმნა. მასში პირდაპირ არის ჩამოთვლილი ის დათმობითი ნაბიჯები, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტისათვის უნდა გადადგას.

საკმაოდ ნიშანდობლივია, რომ გავლენიანი ქართველი პოლიტიკოსები, ზოგი სტრატეგიული, ზოგიც კი ტაქტიკური მოსაზრებებით, რუსეთისათვის დათმობებზე საუბრობენ. ამ ფონზე განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ის დაპირისპირება, რომელიც შევარდნაძეს და აბაშიძეს შორის ბოლო დროს გამოიკვეთა. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რატომ მწვავდება ეს ურთიერთობები სწორედ ახლა.

ამ საკითხში მეტ-ნაკლები სიცხადის შეტანისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხოთ იმ ინტერესებს, რომელიც ამ პოლიტიკოსებს მოსკოვთან აკავშირებს. ასლან აბაშიძისთვის ეს ყველაფერი პირდაპირ უკავშირდება ბათუმში რუსული ბაზების, ზოგადად კი რეგიონში რუსული გავლენის შენარჩუნებას. სწორედ ეს ფაქტორი წარმოადგენს მისი ძალაუფლების სასიცოცხლოდ აუცილებელ ატრიბუტს. ბუნებრივია, მოსკოვის მისდამი ინტერესიც სწორედ ამით არის განპირობებული. რაც უფრო დასავლეთზე ორიენტირებული ხელისუფლება ეყოლება საქართველოს, მით უფრო ძლიერი იქნება რუსეთის მხრიდან აბაშიძის ტიპის პოლიტიკოსებით დაინტერესება და პირიქით. ეს კარგად ესმის აბაშიძესაც, რასაც ხშირ შემთხვევაში მოხერხებულადაც იყენებს. მეორეს მხრივ, პრეზიდენტი შევარდნაძე ცდილობს, მოსკოვთან კვლავ გამონახოს საერთო ენა და პირველ ნაბიჯებსაც დგამს. თუმცა, თავიდანვე უნდა ვიგულისხმოთ, რომ თბილისი საპასუხო ნაბიჯებს მოსკოვიდანაც ელის. ამ მხრივ ჩამონათვალი არც თუ ისე დიდია და მათ შორის სწორედ ბაზების საკითხია. რუსეთში შევარდნაძის პოლიტიკას, თუნდაც, ჩეჩნების გადაცემას, ეჭვით უყურებენ. ბევრი რუსი ექსპერტი მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტი სურვილის შემთხვევაშიც კი ველარ შეძლებს დასავლური სტრატეგიული კურსიდან გადახვევას. ამის მიუხედავად, შევარდნაძე შეეცდება, მოსკოვს დაუმტკიცოს, რომ დასავლეთთან ურთიერთობა ჩრდილოელ მეზობლებთან ურთიერთობას ხელს არ უშლის. ამის გაკეთება ქართული დიპლომატიისთვის საკმაოდ ძნელი იქნება. ასეთ რთულ, ჩახლართულ პოლიტიკურ თამაშში შევარდნაძეს სრულიად არ სჭირდება მოსკოვში ხელის შემშლელები, რომლებიც მისდამი არსებულ უნდობლობას კიდევ უფრო აღვივებენ. ამიტომაც გამოხატავს პრეზიდენტი აბაშიძის მიმართ საჯარო უკმაყოფილებას.

მაგრამ ამ შემთხვევაში აბაშიძე-შევარდნაძის ურთიერთობებზე უფრო მეტად მნიშვნელოვანი იმის განსაზღვრაა, რას მოიტანს რუსეთთან მიმართებაში ასეთი მიდგომა. უნდა ითქვას, რომ დათმობა ქართულ პოლიტიკაში უკვე ბევრჯერ ნაცადი ხერხია. შევარდნაძე თავისი ათწლიანი მოღვაწეობის პერიოდში მსგავს ნაბიჯზე რამდენჯერმე წავიდა, მათ შორის - აფხაზეთის კონფლიქტის დროს. თუმცა, არც ერთ მათგანს ქვეყნისათვის დადებითი შედეგი არ მოუტანია. ყოველი დათმობის შემდეგ ქართული მხარე მუდმივად მოტყუებული რჩებოდა, რაც თავის მხრივ ნეგატიურად აისახებოდა უკვე შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე. ასე მოხდება, როგორც სჩანს, ამჯერადაც. რუსეთი უკვე ქართულ ციხეში დარჩენილ ჩეჩნებს ითხოვს და ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. აღსანიშნავია, რომ ჩეჩნები, თავისი თანამემულეების რუსეთისათვის გადაცემის მიუხედავად, კვლავ ინარჩუნებენ საქართველოს ხელისუფლებისადმი ნდობას, თუმცა, უკვე ღიად მიანიშნებენ, რომ პროცესის გაგრძელების შემთხვევაში მათი პოზიცია რადიკალურად შეიცვლება (ნიშანდობლივი იყო ისიც, რომ ჩეჩენთა საინფორმაციო საშუალებები შექმნილ სიტუაციას მოიხსენიებენ, როგორც “ხაფანგს შევარდნაძისთვის”). ამ მხრივ არსებული საფრთხის შეუფასებლობა დღეს შექმნილ სიტუაციაში, ალბათ არასწორი იქნებოდა. მით უფრო იმ ფონზე, რომ ჩეჩნეთში, მიუხედავად რუსეთის სამხედრო შენაერთების კონცენტრაციისა, სიტუაცია მოსკოვისათვის კვლავ არადამაიმედებელია. თუ შევარდნაძე ჩეჩნებთან დაკავშირებით მოსკოვის ზეწოლას არ დაჰყვება და თავს შეიკავებს შემდგომი ნაბიჯებისაგან, ის უკვე ჩრდილოეთზე ორიენტირებული ოპონენტების კრიტიკის ქარცეცხლში მოექცევა, რომლებიც მას არათანმიმდევრულობაში და, აქედან გამომდინარე, სიტუაციის გართულებაში დაადანაშაულებენ. არ უნდა დავივიწყოთ ის საკითხებიც, რომლებიც აქტუალურობას რუსეთთან ურთიერთობებისგან დამოუკიდებლად ინარჩუნებენ - ჩავარდნილი ბიუჯეტი და ჩაბნელებული ზამთრის შიში.

ასეთ სიტუაციაში ხელისუფლება, როგორც ჩანს, კონტრღონისძიებების დაგეგმვას შეეცდება. ამიტომაც, მოულოდნელი სულაც არ იქნება, თუ უახლოეს ხანში კიდევ ახალი საიდუმლო დოკუმენტების გამომზეურების მომსწრენი გავხდებით.

www.24hours.ge 24 B



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge





ნოდარ ლადარია





ჩემი საგაზეთო საქმიანობის დასაწყისიდანვე ყველაზე ხშირად კოლეგები ორ კითხვას მისვამდნენ: შევა თუ არა ოდესმე ჩემს "იურისდიქციაში" A-ბლოკი და რატომ არაფერს ვწერ სპორტზე. რადგანაც უზენაესი გადაწყვეტილების თანახმად პრეს-ომბუდსმენის კომპეტენციის არეში ნელ-ნელა გაზეთის A-ბლოკმაც უნდა დაიმკვიდროს ადგილი, ცხოვრებაში პირველად მიჩნდება შესაძლებლობა სრულად დავაკმაყოფილო ამდენი ადამიანის სურვილი და ამჯერად სპორტსაც შევეხო...

სამშაბათს, 1 ოქტომბერს მაინც ვცადე ამ ხარვეზის შევსება და წასაკითხი მასალა ორი კრიტერიუმით ავირჩიე: ჩვენთვის ყველაზე წარმატებული სახეობა — რაგბი და ყველაზე თვალშისაცემი სათაური — *ქართველთა სიძლიერის ირლანდიური საზომი* (პაატა თოთაძე). წავიკითხე თუ არა, კვლავ გადაკითხვა მომინდა. ეგ კიდევ არაფერი: მესამეჯერ წავიკითხე და ბოლოსდაბოლოს მივხვდი, რასაც ვეძებდი. ერთი სიტყვით, სტატიიდან ვერანაირად გავიგებთ ორ რამეს. ჯერ ერთი, არ ჩანს, რა მატჩებია განხილული. შესაძლო ვარიანტი სამია: საქართველო-ირლანდია, საქართველო-რუსეთი, რუსეთი-ირლანდია. მეორე, სტატიაში არც ერთი მატჩის ანგარიში არაა მოყვანილი. რატომ? შესაძლო ვარიანტებიდან (რადგანაც, როგორც ეტყობა, დევიზი "აბა, გამოიცანი" ჩვენი მედიის ერთ-ერთი წარმმართველი მაქსიმაა) ჩემთვის ყველაზე ნაყოფიერს ამოვირჩევ: ბ-ნმა პაატა თოთაძემ იცის, რა მატჩზე წერს და რა ანგარიშით დამთავრდა ეს მატჩი, ეს იცის იმანაც, ვისთვისაც წერს ბ-ნი პაატა. ილია ჭავჭავაძის "მგზავრის წერილებში" აღწერილი რუსის პორუჩიკის ტონი რომ ავირჩიოთ, ამ იდუმალ სუბიექტს მეცნიერულ ენაზე მკითხველი-მოდელი ეწოდება. მართლაც, "მდაბიურად რომ ვთქვათ", ყოველი ტექსტი, თუნდაც მატარებლების განრიგი, ან სატელეფონო ცნობარი, რაღაც ტიპის მკითხველისთვისაა გათვალისწინებული. უბედურება სხვა რამეშია: ვეჭვობ, რომ ჩვენი ჟურნალისტების საგრძნობი ნაწილისათვის მკითხველი-მოდელი აბსტრაქტული ტიპი კი არა, სრულიად კონკრეტული ადამიანია...

## ვისთვის გამოდის გაზეთი

დაწყება ყოველთვის თავიდან ჯობია, — იტყვის კეთილგანწყობილი და გამოუცდელი მრჩეველი. თევზი ყოველთვის თავიდან ყარსო, — დააყოლებს ბოროტი და გამოცდილი. შეფასებები ჩვენც რომ ასეთივე უსაფუძვლო არ გამოგვივიდეს, ჯერ მოწინავე სათაურებს გადავხედოთ: 1. *აქედან დაიწყო საქართველო* (საპარლამენტო დელეგაცია ლიახვის ხეობაში), 2. *ნატო-ს დესანტი პანკისში*, 3. *რუდოლფ პერინა: "შევეცადოთ, გამოვიყენოთ ჩვენი გავლენა"*, 4. *საქართველოს მეგობართა ჯგუფი აქტიურდება*, 5. *გამოიყენებს თუ არა შევარდნაძე ამერიკელთა მიერ მიცემულ "ფორას"*. 5-დან მხოლოდ ერთში არაა მოხსენიებული ჩვენი უცხოელი მფარველები. ის ერთიც მხოლოდ პარლამენტის რაღაც ფორმალურ ღონისძიებას აღწერს და მასაც კი ქვემოთ ძირს უმაგრებს ინტერვიუ ირლანდიელ დოქტორთან, დოვ ლინჩთან, რომელიც მოკრძალებული თანაგრძნობით პასუხობს ქართველთა შორის გავრცელებულ მოწოდებათა შორის ყველაზე ეროტიულს — "შევიდეთ ნატო-ში!".

რაზე მეტყველებს ეს სათაურები და მოწინავე მასალების ამგვარი შერჩევა? ჩამოვთვალოთ რამდენიმე ვარიანტი:

1. ჯერ ბოროტსა და გამოცდილ მრჩეველს დავეკითხოთ: საქართველოს კარიბჭეზე დიდი ასოებით აწერია: "For conquest" — "დასაპყრობი ქვეყანა". ადრე ხომ რუსები ჯობდნენ ოსმალებს, ახლა კიდევ ამერიკელები ჯობიან რუსებს. იქნებ ოდესმე სირიუსელები გამოჩდნენ ჩვენს თვალსაწიერზე და ამერიკელებს აჯობონ. ამ სათაურებისა და მათ ქვეშ შეყუჟული ტექსტების მკითხველი-მოდელი კი ზის და ელოდება, ელოდება და ზის, მაგრამ აინუნშიც კი არ მოსდის, რომ ასე თუ გაგრძელდა, თავისი მრავალტანჯული სახელმწიფოს ჭიშკარზე ვერასოდეს დააწერს "For sale" — "იყიდება". რატომ? — იმიტომ რომ მუშტარს ვერ იშოვის. სამშობლოს ღალატი რა საკადრისია, მაგრამ აბა ისეთი სამშობლო კი განა სამარცხვინო არაა, რომელსაც ვერც უღალატებ?

კეთილი და პატიოსანი. მაგრამ არც ისე გამოცდილი გამოდგა ეს ჩვენი ბოროტი მრჩეველი. დროთა განმავლობაში ყველაფერი იცვლება და დამოუკიდებლობის ცნება, უფრო ზუსტად კი მისი პრაქტიკული, ყოველდღიური განხორციელებაც არაა გამონაკლისი. ოდესმე სანატრელი ლელთ ღუნიას სისპეტაკე და შემართება დღეს უკვე გულუბრყვილობის ზღვარს მიადგა, მის მიერ აღწერილი დამოუკიდებლობა კი უცხო სადგურზე უკანასკნელ მატარებელზე დაგვიანებული მგზავრის უიმედო მარტოობას დაემსგავსა. მგზავრს რა უშავს, ერთ ღამეს გაათევს და ბოლოსდაბოლოს გაუთენდება. ჩვენ ვიკითხოთ, თუ საკაცობრიო ერთობაში დროზე ვერ აღმოვაჩინეთ ძმა და თვისი, თუ მოყვრის უძებნელობით ვუმტრეთ საკუთარ თავს...

2. მრჩევლები რომ ბოროტებად და კეთილებად იყოფოდნენ, ცხოვრება ბევრად ადვილი იქნებოდა. ერთ-ერთი რეალური მრჩევლის თვალსაზრისით, გაზეთმა ნებაყოფლობით აირჩია საქართველოს დემოკრატიული ძალების ოფიციოზის როლი. ეს შეფასება თავისუფლების ინსტიტუტის დირექტორს, ლევან რამიშვილს ეკუთვნის. მე დავაზუსტებდი, რომ "24 საათის" მხრიდან, ალბათ, არანაირი "არჩევანი" არ ყოფილა. უბრალოდ ასე გამოვიდა. თან ისიც გასათვალისწინებელია, რომ დემოკრატიულ და არადემოკრატიულ ძალებს საქართველოში ერთი არსებითი საერთო თვისება აქვთ: ერთიც და მეორეც საკუთარ თავს თვითონ ვერ პატრონობს და მატერიალურ თუ მორალურ მხარდაჭერას ქვეყნის გარედან მოელის. ასეთ პირობებში კი ნამდვილად ძნელი იქნებოდა ოფიციოზის დემოკრატიულობისა თუ არადემოკრატიულობის გარკვევა მხოლოდ მოწინავე მასალის არჩევის საფუძველზე. აუცილებლად მასალის შინაარსიც უნდა განვიხილოთ და მაშინ ყველაფერი საგრძნობლად გაადვილდება, რადგანაც სწორხაზოვნება ქართული მედიის მთავარი მახასიათებელია და ჯერ-ჯერობით იშვიათია ტექსტები, რომელთა ავტორები იმდენად განაფულები არიან, რომ შეუძლიათ რაიმე თვალსაზრისის ცხადი მტკიცებით მკითხველის ცნობიერება სრულიად საწინააღმდეგო მხარეს მიმართონ (კაცმა რომ თქვას, არც მკითხველია საკმარისად აღზრდილი, ასე "ტონკად" რომ ეთამაშო). ჩვენს შემთხვევაში ტექსტების შინაარსი და მიმართულება, უეჭველად, დემოკრატიულია, ოღონდ ოფიციოზი ნამდვილად ვერ დაერქმევა, ოფიციოზი ხომ რაღაც ისეთია, რაც შიგნიდან გარეთ, ცენტრიდან პერიფერიისკენაა მიმართული — შექმნილი ვითარება კი უფრო იმას გვაფიქრებინებს, რომ "24 საათის" მოწინავე მასალები დემოკრატიული ძალების "შიდა მოხმარების ბიულეტენია".

3. ამ ვარიანტის გადმოსაცემად ერთი მცირე გადახვევაა საჭირო. როგორია დღევანდელი ქართული საზოგადოება? აქაც ვარიანტები, უფრო ზუსტად კი — ქვე-ვარიანტებია განსახილველი. და რადგანაც ასეთი ქვე-ვარიანტები შეიძლება უამრავი აღმოჩნდეს, მხოლოდ ორი უკიდურესი, ან როგორც მათემატიკოსები იტყვიან, ზღვრული შემთხვევით დავკმაყოფილდეთ.

ა. *დღევანდელი ქართული საზოგადოება საბჭოთა ხანის რელიქტია, რომელსაც ყოფილი იდეოლოგიური ზედნაშენის მაგიერ, მოშიშვლებულ ადგილებზე თავისთავად განუვითარდა ფეოდალურ-პატრიარქალური ქერქი.* მიუხედავად ამ ფრაზის გარეგნული საშინელებისა, მისი შინაარსის გაუთვალისწინებლობა არ გვარგებს. საზოგადოების სწორედ ამგვარი ნაწილია დასახული, მაგალითად, ერთი ცნობილი რეკლამის სამიზნე ჯგუფად. მხედველობაში მაქვს სარეკლამო განცხადება, რომელშიც გვარწმუნებენ, რომ "ყაზბეგი" ტრადიციული ქართული ლუდია. გათვლა აშკარად მომგებიანია და ორმაგ სარჩულსაც შეიცავს: ნებისმიერი კონკრეტული ქართული ტრადიცია რომ გამოიკვლიო, მის სიღრმეში აუცილებლად აღმოჩნდება რომელიმე "კასტელი", რომელიც ჯერ გამოიყენეს, მერე უგანეს, მერე კი საერთოდ გააქრეს საყოველთაო მეხსიერებიდან. ამიტომაც ცოდვა გამხელილი ჯობია, საკუთარი ძალების შეფასება კი — ზუსტი.

თუ ჩვენი საზოგადოება არსებითად ასეთია, ის ვერასოდეს იარსებებს დამოუკიდებლად. ამიტომ უცხოეთის მხარდაჭერა მისთვის ყოველთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება. სამწუხაროდ, ამ ფაქტის ამღიარებელი ვერასოდეს მოიპოვებს პოპულარობას. ასეთ პირობებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები მხოლოდ იმიტომ არსებობენ, რომ გარეულები მათი დაცვით, შინაურები კი მათი ლანძღვით გაერთონ და არ შეუშალონ ჭკვიან ხალხს, დოსტოევსკისა არ იყოს, კონიაკით ნებივრობა. გავიხსენოთ ანა კორძაია-სამადაშვილის 5 ოქტომბერს გამოქვეყნებული სტატია "რომელი ერთი მადათოვი". მითების თხზვისკენ ჩვენი დაუოკებელი სწრაფვა თუ არ მოვთოკეთ, თუ არ ვისწავლეთ ვითარების ადეკვატური შეფასება, სხვაზე არაფერი რომ არა ვთქვათ, ნამდვილად ქართულ ლუდსაც ვერასოდეს ველირსებით.

ბ. *საქართველოში უკვე ჩამოყალიბდა კაპიტალისტური საზოგადოება, რომლის წევრებს მკაფიოდ შეგნებული ღირებულებები აქვთ და საკუთარ უფლება-ვალდებულებებშიც მშვენივრად ერკვევიან.* მაშინაც, რა თქმა უნდა, საშუალო მკითხველის ინტერესები სულ სხვა მხარეს იქნება მიმართული და გაზეთსაც იმისათვის არ იყიდის, რომ მაინცდამაინც ის გაიგოს, რაზე შეუთანხმდა ავთანდილ ჯორბენაძე არასამთავრობო ორგანიზაციებს, ან რას ფიქრობს ნატო-ში შესვლაზე ვინმე დოვ ლინჩი, რომელიც გაგვაცნეს მხოლოდ და მხოლოდ ირლანდიელ დოქტორად. ასეთ ანკესზე ხომ ქართველი კანდიდატიც არ მოეკიდება.

თანამედროვეობის ადეკვატური ცნობიერების მქონე საშუალო მკითხველს, ალბათ ის უფრო დააინტერესებს, როგორ იცვლება დღეს სამომხმარებლო ფასები, ან მომავალში რა ელის ენერგომომარაგებას, ან კიდევ ვინ იცის რამდენი რამ, რისგანაც მისი ყოველდღიური არსებობა შედგება და რაც მის თუნდაც ჩამოყალიბებულ, მაგრამ მაინც ვიწრო თვალსაწიერს ავსებს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩრდილოეთი იტალიის ყბადაღებულ "ლეგა-ნორდს" რა ვუყოთ? ეს ორგანიზაცია აშკარად სეპარატისტულია: იტალიის ორ ან რამდენიმე სახელმწიფოდ დაშლა აქვს განზრახული. ოღონდ მისი მამოძრავებელი ძალა ნახევრად მშიერი "ბოევიკები" კი არ არიან, არამედ კეთილდღეობის ჭაობში ჩაფლული წვრილი და საშუალო ბურჟუები. საძულველი საბჭოეთის ხანიდან მემკვიდრეობად გვერგო ღრმა თვალსაზრისების პატივისცემა და სტრიქონებს შორის კითხვის უნარი. ნუ დავკარგავთ.

ყოველგვარი ინტერპრეტაცია, მაშინაც კი, როცა ძალიან დამაჯერებელია, არ შეიძლება ერთადერთი იყოს. ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისები ერთმანეთისგან ჭეშმარიტებით კი არა, ხედვის სიმახვილით განსხვავდებიან. ქვემოთ ერთი და იგივე გაზეთის ორ საპირისპირო განხილვას შემოგთავაზებთ. მკითხველს საშუალება ექნება აირჩიოს, ინტერპრეტაციის რომელი დონეა მისთვის უფრო ახლობელი.

აი, თუნდაც 1 ოქტომბრის ნომერი ავიღოთ. ვკითხულობთ ვეებერთელა ასოებით მოცემულ წარწერას: *ნატო-ს დესანტი პანკისში*. მერე? მერე კი იმას ვიგებთ, რომ ავტორს, ზაზა წულაძეს მოკლე დიალოგების გაგება არა მხოლოდ უკვე ბანალურ ინგლისურსა თუ რუსულზე, არამედ გერმანულ და, რაც მთავარია, ალბანურ, მაკედონიურ და ჰოლანდიურ ენებზეც შეუძლია. ამის შემდეგ პირველ გვერდზე დარჩენილი სივრცე შინაგან საქმეთა მინისტრსა და მის თანაშემწეს შორის შინაურულ საუბრებს უკავია. ჩამოყალიბებული კაპიტალისტური ცნობიერების მქონე მოქალაქე კი არა, ჩვეულებრივი უბნელი "ბირჟავიკიც" ადვილი წარმოსადგენია, რომელიც დანარჩენის გასაგებად თავს აღარ შეიწუხებს და A8 გვერდზე ძრომიალს არ დაიწყებს. სამაგიეროდ, მარჯვენა ქვედა კუთხეში საცოდავადაა მიყუჟული მაია ურუშაძის სტატიის დასაწყისი: *"ეი-ი-ეს თელასისა" და "იბედროლას" (საბითუმო ბაზრის) დაპირისპირება უკიდურესად გამწვავდა.* რატომ ამყოფებს ჩვენი მედია ჩვენსავე ხალხს ისეთ სიბნელეში, რომ უკვე სათაურშივე განმარტება სჭირდება, რომ "იბედროლა" ენერგიის საბითუმო ბაზარს წარმოადგენს? განა მაია ურუშაძის ეს სტატია გაცილებით საინტერესო და მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს მათთვის, ვინც გაზეთში სიმწრით ნაშოვნ 50 თეთრს გადაიხდის და ვისაც ამინდის ყოველი ცვლილება, დღის შემოკლებაზე რომ არაფერი ვთქვათ, გაცილებით უფრო ავისმომსაწავებელი ნიშანია, ვიდრე რომელიმე ივანოვის მორიგი მუქარა?

ახლა შევატრიალოთ ჭადრაკის დაფა და წაგებული პარტიის მოგებას ვეცადოთ. დიახ, ვინმემ შეიძლება არ ისურვოს A8 გვერდზე "ძრომიალი", მაგრამ ბევრს დაკარგავს. კერძოდ, ფოტორეპორტაჟს, საიდანაც მიხვდება, რომ სიცოცხლე პანკისშიც ჩქეფს და რომ თუ შინაგან საქმეთა მინისტრს შინაური საუბრებისთვის სცალია, ესე იგი საქმე მთლად წასული არაა.

ამ რამდენიმე წლის წინათ ერთი სრულიად მშვიდობიანი შეკვეთა უნდა შემესრულებინა: საქმე ერთი ვრცელი სასულიერო ტექსტის თარგმნას ეხებოდა. მაგრამ იუგოსლავია დაბომბეს, ჩემს იტალიელ დამკვეთებს რაღაცის შეეშინდათ და მეც 2500 აშშ დოლარის ტოლ ანაზღაურებას დავემშვიდობე. მაშინ შემეხო უშუალოდ ის ფაქტი, რომ ყოველი ჩვენგანი არა მარტო საკუთარი ოჯახის ან ერის, არამედ კაცთა მოდგმის წარმომადგენელია. დროთა განმავლობაში ადამიანები კიდევ უფრო დაუახლოვდებიან ერთმანეთს და ეს ნიშნავს, რომ ჩვენც გაცილებით უფრო ძლიერად ვიქნებით დამოკიდებული დედამიწის რომელიმე შორეულ წერტილში ამტყდარ უბედურებაზე. ამაზე იქნება დამოკიდებული ჩვენი ფანჯრების სინათლე და ჩვენი ჭერის სითბოც.

ამ შემთხვევაში ძნელია ვუსაყვედუროთ ავტორებს, რომ უფრო პირდაპირნი იყვნენ, რომ უფრო აშკარად უთხრან სათქმელი მკითხველს. ბოლოსდაბოლოს კითხვის აქტი ინტელექტუალური სავარჯიშოა და ეს არსებითი თვისება თუ დაკარგა, კითხვასაც ვერ ვუწოდებთ. ნუთუ დავიჯეროთ, რომ ჩვენი შრომა ჩვენივე მკითხველისათვის ამაოა, ძირითადი მკითხველი-მოდელი კი შესაბამისი ქვეყნის საელჩოს ის თანამშრომელია, რომელსაც ადგილობრივი პრესის მონიტორინგი ევალება?

მაგრამ არის ისეთი პუბლიკაციებიც, რომლებსაც არ აწყენდა ოდნავი "გაიასნება"...

## არეული მოთხრობა ერთ შეთანხმებაზე

ვნახოთ 2 ოქტომბერს გამოქვეყნებული სტატია *"ედეპემ" და "ნაციონალებმა" საერთო ენა გამონახეს* (თამარ მჭედლიშვილი). საერთო ენის გამონახვის გარეგნულ ნიშნად დასახელებულ პარტიათა 1 ოქტომბერს გამართული ერთობლივი პრესკონფერენცია უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ამ მოვლენის შესახებ მხოლოდ მესამე აბზაციდან ვიგებთ. ვერანაირ დასკვნას ვერ გამოვიტანთ სტატიიდან პრესკონფერენციის მოწვევის რეალური მიზეზებისა და მიზნების შესახებ. მეორე აბზაცში საკმაოდ ბუნდოვნადაა მინიშნებული NDI-ს მიერ გუდაურში გამართული სემინარი, რომლის ჩატარების შედეგად ჩვენს ოპოზიციურ პარტიებს თურმე ისე გაზრდიათ ერთიანობის შეგნება, რომ საერთო ენის გამოსანახავად პრესკონფერენციების მოწყობაც განუზრახავთ.

პრესკონფერენციის შინაარსიც საკმაოდ ზერელედაა გადმოცემული. გვაქვს მხოლოდ რამდენიმე ულიმღამო ციტატა ჩვენს პოლიტიკოსთა ნააზრევის ჩვეული წყალწყალა ბულიონიდან:

ვანო მერაბიშვილი: "ადრე თუ გვიან აუცილებელი გახდება რეალურად ოპოზიციური პარტიების ერთად დგომა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ". რატომ? რა არგუმენტაცია შემოგვთავაზა ბ-ნმა მერაბიშვილმა ამ საკმაოდ არაორდინარული მდგომარეობის გასამართლებლად? დავიჯერო, ასე უბრალოდ საუბარს მოაყოლა? სულაც არ უნდა ვიფიქროთ, რომ ოპოზიცია აუცილებლად ისეთივე მონოლითური წარმონაქმნი უნდა იყოს, როგორც უმრავლესობა. ერთაზროვნება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია პოლიტიკურად მომგებიანიც იყოს, განსაკუთრებულ გარემოებებში, მაგრამ თუ ეს უბრალო "ნიუსი" კი არა, საკმაოდ ვრცელი სტატიაა, რომელსაც გვერდის მეოთხედი უჭირავს, ვფიქრობ, აუცილებლად უნდა გავიგოთ, რატომ შეიქმნა ასეთი მდგომარეობა მაინცდამაინც ამ მომენტში. საკრებულოს საკითხის გადაწყვეტის გაჭიანურება, თავისთავად, ნაწილობრივ ხსნის ამ შეკითხვას, მაგრამ ყოველთვის უნდა ვიგულისხმოთ, რომ არსებობს ადამიანი, რომელმაც დღეს ცხოვრებაში პირველად შეიძინა ჩვენი გაზეთი.

ბაჩუკი ქარდავა: "საჭიროა ყველა პოლიტიკური ძალის გამოსვლა არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ". ესეც ახალი ამერიკა! ნუთუ ამ გამომსვლელმაც ასე უბრალოდ სიტყვას მოაყოლა ეგზომ ორიგინალური ჭეშმარიტება? მე პირადად წარმომიდგენია, რომ ამგვარი წინადადება გავურიო მეტყველების ნაკადში, მაგრამ აშკარად დამცირებულად ვიგრძნობდი თავს, თუ ვინმე ციტირებისთვის მხოლოდ ამ ფრაზას აირჩევდა.

ვკითხულობთ შემდეგ: "სხვათა შორის, თავის დროზე თბილისის საკრებულოს პარალიზების ერთ-ერთი მიზეზი ამ ორი პარტიის მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელები გახდა...". სხვათა შორის კი არა, ეს ფაქტი სტატიაში განხილული მოვლენის წინაისტორიის ფრიად არსებითი ნაწილია...

ერთი სიტყვით, მასალა საკმაოდ საინტერესოა, მისი გადმოცემა კი რატომღაც ვერ განხორციელდა. რატომ?

*ფორმიდან გამომდინარე მიზეზები*: ტექსტის პოტენციური აზრი და მნიშვნელობა (მირჩიეს, აღარ გამოვიყენო სიტყვა "საზრისი", თუმცა ახლა უკვე აღარ ვიცი რა ვუყო "თვალსაზრისს"), ჰოდა იმას ვამბობდი, რომ ყოველივე ის, რის აღსანიშნავად შეიქმნა ხელოვნური სიტყვა "საზრისი", შეეწირა ტექსტის ელეგანტურობის შესახებ ყალბ წარმოდგენებს. სიზუსტე არა მარტო მეფეთა თავაზიანობა, — ჟურნალისტის პროფესიონალიზმიცაა. თავიდან მოვლენის მოკლე აღწერა უნდა ყოფილიყო მოცემული, მერე კი მისი წინაისტორია და ბოლოს მათი დაკავშირება. სქემა მარტივია, მის ფარგლებში კი ისეთივე მშვენიერი და ორიგინალური ნაწარმოებების შექმნაა შესაძლებელი, როგორც ხატწერის კანონით შემოსაზღვრულ არც თუ ისე ფართო სივრცეში. მით უმეტეს, რომ როცა სიტყვა "დაფიქსირება" ლამის ერთადერთ შემასმენლადაა ქცეული, ყველანაირი რიტორიკული თუ ნარატიული სამშვენისი ყოველგვარ ეფექტს კარგავს.

*საქმის ვითარებიდან გამომდინარე მიზეზები*: საქმის არსში შეღწევასა და მის სათანადოდ გადმოცემას მხოლოდ დამოუკიდებელი თვალი შეძლებს. მაგრამ სტატიის ავტორი, როგორც ეტყობა, უფრო მისი აღწერის თუ ანალიზის ობიექტებთანაა დაკავშირებული, ვიდრე გაზეთის მყიდველებთან. ამიტომაც მის "მესიჯს" სრულად მხოლოდ თვით მერაბიშვილი და ქარდავა გაიგებენ და მათი რამდენიმე პარტიული თანამებრძოლი თუ მოწინააღმდეგე, — განსაკუთრებით ისინი, ვინც NDI-ს მიერ გუდაურში გამართულ სემინარს დაესწრო.

ბოლოსდაბოლოს ნუთუ ვერ უნდა მივაბაროთ წარსულს გიგი თევზაძის ცნობილ წიგნში აღწერილი ერთ-ერთი "სიმულაცია", რომლის თანახმად პრესას საქართველოში მხოლოდ პოლიტიკური ინსტებლიშმენტი კითხულობს და გაზეთიც (ნებისმიერი გაზეთი) ამ ისტებლიშმენტის წევრებს შორის საქმეების გარჩევის ნახევრადსაჯარო საშუალებაა.

## მეფე შიშველია!

ვერაფრით ველევი (ისე კი საბოლოოდ არც უნდა შეველიო) ჩემი სანუკვარი B-ბლოკის მარგალიტებს. აქ კვლავ უნდა გავიხსენო ერთი შეკითხვა, რომელსაც ასევე ხშირად მისვამდნენ ამ ბლოკის კოლეგები: რაზე ვწეროთ? საინტერესოა, რომ ჩემს მრავალჯერ და არა მხოლოდ წერილობით გამოთქმულ აზრებს დაემთხვა ლადო ბურდულის 1 ოქტომბერს გამოქვეყნებული სტატია *მაგალითისთვის: კულტურა*.

ამ ავტორის არ იყოს, მეც მიყვარს დიდი რუსი ლიტერატურათმცოდნე, იური ტინიანოვი, რომელსაც ერთხელ უთქვამს: როცა ირგვლივ ყველა კარგად წერს, ორიგინალობა ცუდად წერააო. ლადო ბურდულის ტექსტი ერთობ ელეგანტურად ბაძავს, ერთი მხრივ, ქუჩის თუ მარშრუტკის მქადაგებლებს, მეორე მხრივ კი — იმ მიამიტ წერილებს, რომელსაც ოდესღაც წერდნენ ჩვენი მშრომელები: "ამხანაგო რედაქცია, მომეწონა თქვენი გადაცემა "ოქროპირი"...".

ადრე, მახსოვს, ვამბობდი, ქართული თარგმანების მიხედვით რომ გაეცნო, მთელი მსოფლიო ლიტერატურა ერთი კაცის დაწერილი გეგონება-მეთქი. ამაში, იქნებ, დოგმატური ნორმების დამცველ რედაქტორებსაც მიუძღვით ბრალი. მაგრამ ბ-ნი ბურდული სამართლიანად ხედავს იგივეს სხვა კულტურულ სფეროებშიც: პრესაში, ტელევიზიაში, რადიოში. ეს მისი წერილი B-ბლოკის ნამდვილ სამოქმედო პროგრამადაც შეიძლება აღვიქვათ. ყოველ შემთხვევაში, თუ ქართველ მკითხველს გავაცნობთ ჩვენი ტელეარხების ან FM რადიოსადგურების ცხოვრებას, მათ სიძნელეებსა და ხარვეზებს, ეს გაცილებით უფრო სასარგებლო იქნება და საინტერესოც, ვიდრე, მაგალითად, ბერლინელი ნინო შონიას უხეირო რეპორტაჟი გორან ბრეგოვიჩის კონცერტის შესახებ.

როგორც იქნა, გაზეთშიც გაისმა მისი ხმა, ვისთვისაც გამოდის, ან უფრო ზუსტად, უნდა გამოდიოდეს გაზეთი. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ამ კაცს, მკითხველს, რომელსაც წინა კვირაში ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაბადებული ბატონი გოგასი არ იყოს, ადრე არა მარტო ექსკლუზიურ პრეზენტაციებზე, გაზეთის ფურცლებზეც არ უშვებდნენ მათ წასაკითხად, გაცილებით უფრო ღრმა და მართებული თვალსაზრისი აქვს კულტურის შესახებ, ვიდრე B-ბლოკის მესვეურებმა გამოამჟღავნეს გაზეთის არსებობის განმავლობაში.

კოლეგებო, ნურავის შეეკითხებით, რაზე წეროთ: შეიყვარეთ ადამიანები და პასუხიც თავისთავად მოვა. მე კი თუ B-ბლოკის კითხვაში გამძვრება ტანჯული სული, პრეს-ომბუდსმენის მძიმე ჯვარი ლადო ბურდულისთვის დამილოცნია.

ლადო ბურდულის სვეტი

# მაგალითისთვის: ემიგრაცია



**"არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა"**

საქართველო 10 წლის შემდეგ აცნობიერებს, რომ ემიგრაციაში წასული მილიონი ახლგაზრდა, რომელთა უმრავლესობაც აღარასდროს დაბრუნდება უკან, თავისი ცოდნით, ენერგიით, ინტელექტით და იმ უამრავი პრობლემის გადაჭრის უნარით, რომლის გასაღებებიც მათ თან წაუღიათ ველურ დასავლეთში, თურმე ასე საჭირო ყოფილა ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც ჩვენი სამშობლოა.

ცალკე თემაა, ეს ახალგაზრდები რას საქმიანობენ და რითი შეცვალეს აქაური ყოფა უცხოეთში, მაგრამ ისიც ნათელია, რომ მიგრაციის პროცესი ბედნიერი ცხოვრებით არ არის გამოწვეული.

ეს კი სწორედ ის ჯანმრთელი თაობაა, რომელიც ჯერ კიდევ იმ ეპოქას ეკუთვნოდნენ, როცა სკოლის ასაკში ყველაზე ჩამორჩენილი მოსწავლეც კი რამოდენიმეჯერ იყო "ნაკატავები" საჰაერო ტრანსპორტით და ა .შ. თაობა, რომელსაც არ უნდოდა შეგუებოდა სიტყვებს "ატმორი" და "კუმტელი"...

ამას წინათ ვუყურებდი ქართულ ძველ კლიპებს და აღმოვაჩინე, რომ არა მარტო ეს ჯგუფები აღარ ცხოვრობენ დღეს აქ, არამედ მათი ფანებიც.

ეს უკვე მოხდა, ხოლო დროს რომ უკან ვერ დააბრუნებ, ყველამ გავაცნობიერეთ. მოდით, საქმეს ცოტა სხვა კუთხით შევხედოთ. რას აკეთებს დღევანდელი ხელისუფლება და საზოგადოება იმისთვის, რომ ვინც დარჩა, ისიც არ წავიდეს ქვეყნიდან, რაც უკვე რეალური კატასტროფა იქნება, პირველი და მეორე თაობის ემიგრაციასთან შედარებით?!

რატომ არის, რომ ყველა დემოკრატიულ ყვეყანაში ორ ჯერზე მეტად არ ირჩევენ პრეზიდენტს?! მე მხოლოდ ახლა მივხვდი ამას. მე ვარ 38 წლის და მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება გავატარე ბატონი პრეზიდენტის მზრუნველობისა და სათნოების ქვეშ; მერწმუნეთ, ბევრ ქართველ მეფეს ვერ უმართავს საქართველო ამხელა მანძილზე. იცვლება წყობილებები, იცვლება საუკუნეები, იცვლება თაობები, იცვლება ფასეულობები და მხოლოდ პრეზიდენტის სახელი რჩება უცვლელი! ალბათ ამაშიც არის რაღაც ქართული, მაგიური, დროის გაჩერების შეგრძნების შიში და რა თქმა უნდა სურვილი - მალე დაახვიო აქედან, სანამ ახალგაზრდა ხარ, სანამ შენც არ გახდი უკვდავი!!!

ახლა კი მინდა თავისუფალი ახალგაზრდობის მიგრაციის ჩემი ხუთი მიზეზი შემოგთავაზოთ:

1. ქართული პოლიტიკა - რომელსაც ეშინია თავისუფალი ახალგაზრდობის და მაქსიმალურად ცდილობს მის ძირშივე აღმოფხვრას იმ უამრავი ეფექტური მექანიზმების საშუალებით, რომელიც მას გააჩნია.

მიმოიხედეთ ირგვლივ და ნახავთ - ეს არის ქვეყანა, სადაც სტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ ახალგაზრდობის მხოლოდ ორი კატეგორია იზრდება: ერთნი, რომლებმაც უნდა დააშავონ და მეორენი, რომლებმაც უნდა დაიჭირონ. პოლიტიკისთვის ეს უფრო ადვილი სამართავი ქვეყანაა, ვიდრე...

მაგალითისთვის: რატომ არ ზრუნავს სახელმწიფო ახალგაზრდობის განათლებასა და პროფესიონალური დონის შეძენაზე? რატომ არ უკეთდება ახალგაზრდობაში პოპულარიზაცია განათლებას და პროფესიონალიზმს? იმიტომ, რომ სწორედ გაუნათლებელი ადამიანია იმპულსური და ასე ადვილი სამართი; ხოლო განათლებული და პროფესიონალი ადამიანი ისევე საშიში კატეგორიაა, როგორც "თავისუფალი ახალგაზრდობა", რომელსაც შეუძლია, ამდენი პრობლემა შეუქმნას და სუფთა სარკეში ჩაახედოს კორუფციას, სიმახინჯეს, ძალადობას და გოიმობას.

2. ოჯახი - სადაც მამებს და შვილებს შორის სხვაობა მხოლოდ ასაკშია. სხვა დანარჩენი კი ასე მსგავსი და არანაირი ნაბიჯი წინ ამ ჩვენს კომპიუტერულ ერაში. მერე ხვდები, თურმე რა მოწოდება ყოფილა ჩადებული ხალხურ აფორიზმში - "ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა". ხოლო ვაი თუ ვინმე ქარის წინააღმდეგ სიარულის მოყვარული გამოერევა... ის, რაც არ უნდა კეთილ გარემოცვაში ცხოვრობდეს, ოჯახი ვერ უძლებს საზოგადოების ზეწოლას, რომელსაც ასე ძალიან უყვარს უცხო სამიზნეებზე, რაღაც განსხვავებულსა და არაორიდინალურზე "გახურება", რაც გაუთავებელი კონფლიქტების მიზეზი ხდება. ეს კი ხშირ შემთხვევაში, ლოგიკურად ისევ ემიგრაციით მთავრდება.

3. სამართალი - ის თითქოს ვალის მოხდის მიზნით არის დაწერილი და მგონი მარტო პოლიციასა და პარლამენტს იცავს იმ გაუბედურებული, მშიერი ხალხისგან, რომელიც თავისი დაგროვილი პრობლემებით, სიღატაკითა და სამართლის ძებნისგან ოდნავ გაღიზიანებული გამომეტყველებითა და ტონით, უკვე ასე უშლის მათ ხელს, ბოლომდე "იგრიალონ".

4. წარმოების, კონკურენციის და ბაზრის უქონლობა - სწორედ ეს არის ის უმთავრესი მიზეზი, ურომლისოდაც დღეს შეუძლებელია და წარმოუდგენელი ნებისმიერი ქვეყნის არსებობა და საერთოდ რამეზე საუბარი; სწორედ რის არქონამაც ჩვენი ქვეყანა აქცია მესამე, "ბანანების რესპუბლიკად", ოღონდ - ბანანების გარეშე. განათლებული, ოდნავ ამბიციური და პროფესიონალი ახალგაზრდა პოტენციურად ვერ უმკლავდება ამდენ გულგრილობას, დილეტანტიზმს და უსამართლობას მის ირგვლივ; ვერ ახერხებს საკუთარი თავის რეალიზებას; არადა ხედავს, რომ უფრო ღრმა ცოდნა და პროფესიონალიზმი გააჩნია, რის მიხედვითაც არასდროს ფასდება საქართველოში ადამიანი და თავს განწირულად, ზედმეტად გრძნობს, ბეზრდება სულ "თეთრი ყვავის" როლში ყოფნა: იძულებულს ხდიან დატოვოს ქვეყანა.

5. საზოგადოება - სადაც მასმედია, უბანი, პოლიცია, პარლამენტი და სხვა "ვაჟნი" თანამდებობების უმრავლესობა ისეთი მოქალაქეების ხელშია, რომელთა აზრიც დიდი ჰიტია ჩვენს ქვეყანაში; ხოლო მათი აზრი და განცხადებები, რომელსაც ახვევენ მომავალ თაობებს, ძირითადად შემდეგი შინაარსის არის: თანამედროვე დასავლეთის ცივილიზაცია და ჩვენში მათი მიმბაძველი პრო-დასავლური ვაი ახალგაზრდები სატანისტები არიან!!! გამოდის, რომ უნდა გვიხაროდეს ამდენი სატანისტის მიგრაცია საქართველოდან.

მაგრამ ჩემთვის საკვირველი და გაუგებარია: მაშინ რატომ არ დადიან თვითონ ეს მოქალაქეები ვირებით და რატომ ჰყავთ ბოლო მოდელის უცხოური მანქანები? რატომ იყენებენ მობილურებს და კომპიუტერებს და საერთოდ იმ ყველაფერს, რაც ცივილიზაციას და დასავლეთს უკავშირდება?

რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით იმ დასავლურ გრანტებს, რომელზედაც შექმნეს თავიანთი კეთილდღეობა და კაპიტალი იმ ვალდებულებების სანაცვლოდ, რომელთა არშესრულებით გაკვირვებულები უცხოელი დამკვირვებლები ასე ხშირად მოჩანან ქართულ საინფორმაციო-"უჟასტიკ" გადაცემებში.

ცოტათი გეშვება, როცა აღმოაჩენ, რომ ეს ქართული მენტალიტეტი, თურმე იმ ძველ დროშიც მუდამ აქტუალური და შემაწუხებელი ყოფილა, რის გამოც ბრძენ ქართველ ხალხს ჯერ კიდევ მაშინ უთქვამს - ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო.

***P.S.* და რა რთული გამოცდაა, არამარტო ახალგაზრდისთვის, არამედ საქრთველოს ყველა მშიერი, შეციებული, შეშინებული და დამფრთხალი შვილისთვის ის ცდუნება, რასაც დასავლეთის გახსნილ, კომფორტულ, თბილ და მშვიდ გარემოში მოხვედრის შემდეგ, დაბრუნებაზე ფიქრი ჰქვია იმ "ზასტოიში" და საუკუნეების მანძილზე მუდამ დაშლის და განადგურების ზღვარზე მყოფ, შეუმდგარ და განუხორციელებელ ადამიანთა ქვეყანაში, რასაც "სამშობლო საქართველოს" ვეძახით.**

კალენდარი



## 7 ოქტომბერი

ბრიტანული როკ-ჯგუფი "რედიოჰედი" ჯერჯერობით საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ჯგუფად მიიჩნევა. ასეთია სხვადასხვა გამოკითხვის შედეგები. "ჩვენ ერთმანეთს დავუახლოვეთ ხელოვნება და როკი," – ამბობს "რედიოჰედის" ვოკალისტი ტომ იორკი, რომელსაც ინტერვიუებში არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ჯგუფის წევრები, საქმიანები არიან, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ამოძრავებთ კომერციული მიზნები. "ჩემი სიმღერით ვამბობ იმას, რასაც ვერსად ვერ ვიტყვი," – განმარტავს უპოპულარულესი სიმღერის, Creep-ის შემსრულებელი.

დღეს "რედიოჰედის" ვოკალისტს, **ტომ იორკს** 34 წელი შეუსრულდა. იორკი 1968 წლის 7 ოქტომბერს დაიბადა.

# „ნახეთ ისინი, სანამ გაიზრდებიან"

## ანსამბლი "ორბი" გასტროლებიდან გასტროლებზე

ნანა ბასილაშვილი

***ქართულ-ხალხური შემოქმედების ანსამბლებს საზღვარგარეთ წარმატებები არასდროს აკლდათ. უფრო მეტიც, ბოლო დროს, რიგი ქართული ფოლკლორული ანსამბლების შემფასებლები და დამფინანსებლები (ანსამბლი "ერისიონი"...) სწორედ რომ უცხოელები არიან.***

კულტურის ცენტრი "იმედის" ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი "ორბი" უკვე ექვსი წელიწადია არსებობს და თბილისში სოლო კონცერტი ჯერ არ გაუმართავს. აქედან გამომდინარე ქართველი საზოგადოება მას ნაკლებად იცნობს. "ერისიონის" არ იყოს, "ორბის" შესახებ უმრავლესობამ, ამჯერად ესპანელებისა და ამერიკელების წყალობით შევიტყვეთ. მათ უცხოეთში მოხვეჭილი წარმატებების შემდეგ ქართველი ჟურნალისტების ყურადღება მიიქციეს და შესაძლოა, ახლა ოპერის თეატრის სცენაზე გამოსვლისათვის საჭირო სამი ათასი ლარიც გამოიძებნოს. ანსამბლ "ორბის" 40 დღიან ლათინო-ამერიკულ ტურნეს შესახებ, ტელეკომპანია CNN-სა და ესპანეთის ტელევიზიის ცხრა ტელეარხი ათი დღის განმავლობაში იუწყებოდა. ანსამბლის მიერ ჩამოტანილ იქაურ პრესას რომ გადავხედე, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ერთმანეთს საქებარი სიტყვების თქმაში ეჯიბრებოდნენ. "ანსამბლ "ორბის" წარმოდგენები მოწმობენ მათ ბუნებრივ ნიჭსა და შემოქმედებით უნარზე. ამ ნიჭის წყალობით, მათ დაიმსახურეს მხურვალე აპლოდისმენტები მსოფლიო თეატრალურ სცენაზე. ესენი არიან ქართველი ვირტუოზი ბავშვები..." ასე იწყება საკმაოდ დიდი წერილი გაზეთ El Heraldo-ში. "ტრიუმფი "ახალი აპოლოს" თეატრში... "ქართველი ვირტუოზი ბავშვები" - ამ ტიტულით მონაწილე ბიჭუნები და გოგონები 7-დან 12 წლამდე ცეკვავენ მითიური საქართველოს ბალეტს და ხანჯლებით ჭრიან მადრიდის "კოლიზეოს" თეატრის იატაკს..." - გაზეთი El Mundo. "საქართველოს ეროვნული ბალეტის ბავშვები "ფრენით" ჩამოვიდნენ ლიმაში..., ნახეთ ისინი სანამ გაიზრდებიან" – ასეთ რჩევას იძლეოდა გაზეთი El Comercio.




*ამ პლაკატით უწევდნენ რეკლამას "ორბს" ამერიკაში*

ვენესუელა, პერუ, სალვადორი, კოსტა-რიკა, ნიკარაგუა, ჰონდურასი, ესპანეთი, - ამ ქვეყნებში ანსამბლმა ქართული ეროვნული ცეკვების მთელი რეპერტუარი წარმოადგინა. 35 ბიჭი და 16 გოგონა ორ განყოფილებიან სრულ კონცერტს (საათი და 50 წუთი) ასრულებენ: 18 ცეკვა და ორი მუსიკალური ნომერი. "ორბის" მიერ გამართული 27 კონცერტიდან, უმრავლესობა საქველმოქმედო იყო, შემოსული თანხა (ბილეთები საკმაოდ ძვირი ღირდა) SOS-ში, უმწეო და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის გადაირიცხა.

ახლა ცოტას იმის შესახებ, თუ როგორ და რა საშუალებებით იმოგზაურა ანსამბლმა. ტურნეს მენეჯერი, მსოფლიოში ცნობილი ამერიკული იმპრესარიოების, "ინტერ პორანე პროდუქსიონ არტისტიკის" წარმომადგენლებთან, ანა და პერსი ლიონისებთან დაახლოებული პირი, "სუხიშვილების" მთავარი ადმინისტრატორი, ემზარ გაბელია გახლავთ. ინფორმაცია და ვიდეომასალა "ორბის" შესახებ მან ამერიკელ იმპრესარიოებს წარუდგინა და მათაც პატარა ხელოვანები თავიანთ ქვეყანაში მიიწვიეს. გასულ ზაფხულს ამ პრესტიჟულ ტურნეში, ჯერ კიევის ხელოვნების აკადემიამ მიიღო მონაწილეობა, შემდეგ ქართულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა, მათ მერე კი მოსკოვის დიდი თეატრის პრიმა მოცეკვავეებმა.

"ორბის" წარმატების მთავარი მიზეზი (ნიჭიერ პატარებთან ერთად), ანსამბლის ქორეოგრაფისა და მისი სამხატვრო ხელმძღვანელის გია დავითაშვილის მაღალი პროფესიონალიზმი და მკაცრი დისციპლინაა. ასევე, რომ არა კულტურის სახლის დირექტორი დოდო ჩაჩავა, ანსამბლი საერთოდ არც იარსებებდა.

ამჟამად "ორბი", ისევე როგორც ექვსი წლის მანძილზე, მთელი მონდომებითა და სიმკაცრით, კვირაში ოთხჯერ გადის რეპეტიციას კულტურის ცენტრში. მოსამზადებელ ჯგუფში 5-6 წლის ახლი წევრებიც ჰყავთ, რომლებიც, მათი წინამორბედების მსგავსად, მუსიკისა და ცეკვის, ფიზიკური მონაცემებისა და ერთ-ერთი უმთავრესი - გარეგნობის მიხედვით შეარჩიეს. თუმცა, მკაცრი შერჩევის მიუხედავად, ანსამბლის ძირითად შემადგენლობაში, მხოლოდ სამთვიანი საცდელი ვადის შემდეგ ჩაირიცხებიან.

ოქტომბერში ანსამბლი საბერძნეთში გაემგზავრება, სადაც 12 კონცერტს გამართავს. ქართველ მაყურებელს კი მათი ხილვის საშუალება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემა, თუკი ვინმე კონცერტის გასამართად საჭირო თანხას გაიღებს. გია დავითაშვილთან საუბრისას ჩემთვის ყველაზე გასაკვირი და საგულისხმო ის იყო, რომ რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მსოფლიოს სხვადასხვა, მათ შორის დიდ თეატრებში მიღებული პრაქტიკის მიუხედავად, ქართველი მაყურებლის წინაშე გამოსვლისათვის საგანგებოდ ემზადება. "რატომღაც" იგი ამ მოვლენისათვის ზომაზე მეტად ღელავს. იმის მიუხედავად, რომ "ორბი", საქართველოში გამართული თითქმის ყველა ქორეოგრაფიული კონკურსის გრან-პრის მფლობელია.

საგამოფენო დარბაზები

# დავით მონავარდისაშვილი - ნონკონფორმიზმის მარწუხებიდან დღევანდელობაში

ნინო ჟანიშვილი

***ასეთი ეფექტური გამოფენა ქარვასლაში არასდროს მინახავს. ლიკა მამაცაშვილის გალერეის ოთხკუთხა სივრცე მთლიანად ათვისებული ჰქონდა მხატვარ დავით მონავარდისაშვილს თავისი სამგანზომალებიანი ობიექტებით.***

მთელი ექსპოზიცია გააზრებულად იყო მოწყობილი - დაწყებული კუთხეში მიდგმული მწვანე გიტარით, დამთავრებული ბესარიონოვიჩის სკივრით, რომელშიც 37 წელს რეპრესირებულთა სულები სახლობენ. ბევრი რამ დავით მონავარდისაშვილის ატრაქციონისტულ გამოფენაზე სალვადორ დალის მოგაგონებდათ, მაგრამ იყო ის, რაც ამ უკანასკნელს არასდროს უნახავს - საბჭოთა და დამოუკიდებელი საქართველო.

აღარ მეგონა თუ ამ უცენზურო ქვეყანაში ვინმე პოლიტიკურ კარიკატურას შექმნიდა და ამით მაყურებელს გააცინებდა - ერთ სკამზე მჯდომი ზვიადი და ედუარდი - ერთი ჩოხაში და წაღებში, მეორე კოსტიუმში, რომელსაც ჯიბეში ჯოკერი უდევს; ან კი ველოსიპედზე მჯდარი მხატვარი-ფოსტალიონი, რომლის ტანი ეკლესიებითაა დახუნძლული, და ის ბათუმიდან თბილისში მიემგზავრება, ველოსიპედის ბორბლებში კი ორი "ბაბუს" სურათია ჩახატული.

მოულოდნელი აღმოჩნდა დავით მონავარდისაშვლის გამოსვლა. მხატვარმა ადამიანურად თქვა, რომ



*დავით მონავარდისაშვილი თავის მეტალის მწერებთან ერთად*

ყველაფერს თავისი მეგობრებისთვის ქმნის და არა "მაღალი სულიერებისთვის" როგორც იციან ხოლმე ჩვენში თქმა. მან მოკლედ და გასაგებად აუხსნა თავისი სანახაობის კონცეფცია დამთვალიერებლებს. სანახაობა კი ნახვად ნამდვილად ღირდა - მფრინავი მუზარადიანი და საყვირიანი ამური-კენტავრები, რომლებიც სურათებიდან გადმოდიან; გრძელ ტილოზე ზემოდან წამოწოლილი გულში შუბით განგმირული, სპორტულ ფეხსაცმელში გამოწყობილი შიშველი ათლეტი; კედელზე აკრული, მოკრუნჩხული მიქელანჯელოს "მონა" ქრისტეს სამსჭვალებით გვემული და ამირანის ჯაჭვით შებორკილი; ლურსმნებისგან კონსტრუირებული სავარძელში მჯდომარე ავტოპორტრეტი, რომელიც ძალინ გავდა პიკასოს მიერ ჩახატულ ფიროსმანის პორტრეტს.

არანაკლებ საინტერესო და თავშესაქცევი აღმოჩნდა "ვაშინგტონ პოსტში", "ინტერპრაიზში" და სხვა ამერიკულ და გერმანულ გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები დავით მონავარდისაშვილის შესახებ. 2000 წელს მერილენდის "ბოიდენ გალერეაში", ნორტონ და ნენსი დოჯების კოლექციიდან ოთხი მხატვრის ვლადიმერ კანდელაკის, გიორგი მიქელაძის, დავით მონავარდისაშვილის და სერგეი ფარაჯანოვის ნონკონფორმისტული ნამუშევრების გამოფენა გამართულა, რომელიც ფართოდ გაუშუქებია ამერიკულ პრესას. ნორტონ დოჯი საბჭოთა ეკონომიკის პროფესორი, წლების მანძილზე პატრონაჟს უწევდა საბჭოთა დისიდენტ მხატვრებს და კონტრაბანდის სახით გამოჰქონდა საბჭოეთიდან მათი ნამუშევრები. ერთ-ერთი სტატიის ავტორი აღშფოთებული წერდა, რომ საბჭოეთში რელიგიური სიმბოლოების, შიშველი ფიგურების და აბსტრაქციების ხატვა აკრძალული იყო, და რომ რკინის ფარდის მიღმა უამრავი ნიჭიერი ადამიანი იკარგებოდა. მაგრამ როგორც შემდგომ პოსტსაბჭოთა რეალობამ დაგვანახა, ბევრისთვის რკინის ფარდის ახსნა შემოქმედებითი კარიერის დასასრული აღმოჩნდა. იგივე აკრძალულმა აბსტარაქციებმა და რელიგიურმა სიმბოლოებმა აზრი დაკარგეს და მხატვრებმა აღარ იცოდნენ საბჭოური დისიდენტური მხატვრობა რითი შეეცვალათ.

დავით მონავარდისაშვილმა კი შესძლო ახალი მასალებით, შემოქმედებითი ძალებით თანამედროვეობაში გადმოსვლა და იუმორით და იმედით შეხედა დღევანდელობას. თუ "ქარვასლაში" შეივლით, მხატვრის ბოლო ორი წლის განმავლობაში შექმნილი, სამგანზომილებიანი ობიექტებით დიზაინირებულ მშვენიერ სანახაობას იხილავთ. გამოფენა 18 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

# „ტერიტორია და პეიზაჟი" N გალერეაში

თეონა ჯაფარიძე

**N გალერეამ თავისი საგამოფენო დარბაზები კვლავ თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებას დაუთმო. "ტერიტორია და პეიზაჟი", ასეთია ქართულ-შვეიცარული ერთობლივი პროექტის სახელწოდება, რომელშიც ხუთმა შვეიცარელმა და ოთხმა ქართველმა არტისტმა მიიღო მონაწილეობა.**

ეს არის თანამედროვე ფოტოგრაფიისა და ვიდეოს საშუალებით წარმოდგენილი სახვითი ხელოვნების უძველესი ჟანრის – პეიზაჟის, ლანდშაფტის ახლებური ხედვა და მისი დატვირთვა სოციალური, გეოპოლიტიკური ანდა ისევ და ისევ, ესთეტიური თვალსაზრისით.

"საკმარისია გადავშალოთ ნებისმიერი დღის ნებისმიერი გაზეთი და ცნება "ტერიტორია" წარმოგვიდგება ყოვლისმომცველად ყველა რუბრიკაში", - ვკითხულობთ გამოფენის კატალოგის ტექსტში. კატალოგი შვეიცარიაში გამოიცა და ტექსტის ავტორი იორგ ბადერი – ჟენევის თანამედროვე ფოტოგრაფიის ცენტრის



*შვეიცარული ლანდშაფტები საქართველოში*

დირექტორია. სწორედ ამ ცნებების – "ტერიტორიისა" და "პეიზაჟის" შეხების წარმოჩენას ყოველდღიურობასთან ცდილობენ ქართველი და შვეიცარელი ავტორები.

ითქვა, რომ საქართველოსათვის "ტერიტორია" უფრო მწვავე გეოპოლიტიკური თემაა. შვეიცარელი არტისტების, ნიკოლას ფორის, სერჟ ბრიუ ჰაუფის, ლორანს ბონვინის მაღალი ხარისხის ფოტოებზე გამოსახულ ინდუსტრიულ პეიზაჟებთან შედარებით, ეს სიმწვავე კიდევ უფრო იგრძნობა ქართველი არტისტის, კოკა რამიშვილის ფოტონამუშევრებში. მის პეიზაჟებში სამოქალაქო ომის პერიოდის თბილისური ლანდშაფტია აღბეჭდილი და ნამუშევარსაც ასე ჰქვია: "ომი ჩემი ფანჯრიდან".

ლანდშაფტისა და "ტერიტორიის" თავისებური ხედვით წარსდგა ილიკო ზაუტაშვილი ფოტოსერიებით: "დრაკონის შეხება" და "ცასთან მიმართებაში, მიწასთან მიმართებაში". ექსპოზიციას თან ერთვის და აცოცხლებს მანანა დვალის აუდიონამუშევრის "რატომ დარვინი?"-ის საუნდი. ხოლო, გიორგი სუმბაძისა და ქეთუთა ალექსი-მესხიშვილის ფოტოები სახელწოდებით: "პეტროლიუმი" შესრულების მაღალი ხარისხითა და თემატიკით, შვეიცარელი კოლეგების ნამუშევრებს უახლოვდება.

ბოლოს კი, გაცნობებთ, რომ ამ გამოფენაზე საშუალება გეძლევათ დასავლურ არტ-სამყაროში ცნობილი ავტორების, პიტერ ფიშლისა და დევიდ ვაისის ოცდაათ წუთიანი ვიდეო-არტი - "ჯაჭვური მოვლენები" იხილოთ. გამოფენა 13 ოქტომბრამდე იქნება წარმოდგენილი N გალერეაში.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

ხალხის პირისპირ

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

იუმორი

7 ოქტომბერი, ორშაბათი, 2002 წელი. №127

24 საათი

## ლიტერატურული გალიმათიები

ყოველთვის უყვარდა ლამაზი, უცხოური ჟღერადობის სიტყვები, მაგალითად სიტყვა “ლუქსი,” რომლის მნიშვნელობა არ იცოდა, როდესაც დამწყები მწერალი არ იყო, და როცა გახდა დამწყები მწერალი, უკვე იცოდა მისი მნიშვნელობა, მაგრამ ამ დროს უკვე გიჟდებოდა სიტყვაზე “სიურრეალია,” რომლის მნიშვნელობა ვერ გაიგო, სანამ დამწყებიდან ჩვეულებრივ, რიგით მწერლად იქცეოდა. რიგითი მწერლობისას კი გაიტაცა სიტყვა “ეგზისტენციამ” და ის-ის იყო იწყებდა ამ სიტყვის არსის სუბსტანტირებას, როდესაც ტელევიზიის დამწყებმა წამყვანმა ლონდამ, როლმელსაც განსაცვიფრებელი უკანალი და ლიტერატურაზე ყოვლად უხამსი შეხედულებები ჰქონდა, ყურში ჩააწვეთა სიტყვების მახინჯი კომპოზიცია: “გლობალური პროცესები ლიტერატურაში და მხატვრული რეგიონალიზმის კრახი.” ფონეტიურად ძალად შეხამებული კომპონენტების აბსურდულობამ



ისე დააბნია, რომ გაიხსენა დრო, როდესაც არ იყო არც დამწყები, არც არანაირი მწერალი, “სოფლის ცხოვრებაში” მუშაობდა, და მისი საყვარელი სიტყვა იყო სიტყვა: “ბუკვალურად.” შემდეგი უცხო სიტყვა იყო “კავალერია,” ვინაიდან რედაქტორი თანამშრომელთა საძმოს “მეძებარ ესკადრონს” ეძახდა. ხოლო როდესაც რედაქტორი მოხსნეს, მთელი დეკადა ფიქრობდა სიტყვაზე “კორუფცია,” მაგრამ, გარდა იმისა, რომ სიტყვა ცუდად ჟღერდა, არასასიამოვნო ასოციაციებს აღუძრავდა. ასე რომ, საყვარელი სიტყვები გახდნენ სიტყვები “პოინტერი,” “კორპორაცია” და მთლად შორეული ნაერთი “ფამილირული ორქიდეა ცისფერ ოფისში.” ეს ნაერთი, საგულდაგულოდ გადმოთარგმნის შემდეგ, უძღვნა დამწყებ კორესპოდენტს, მომხიბლავ გოგონას კულტურის განყოფილებიდან, რომელსაც უჩქმიტა პირველივე დათრობისას და რომელიც ქალიშვილიც არ აღმოჩნდა, არამედ უარესი, და რომელმაც ამით აღშფოთებულს, ტიტლიკანამ უწოდა სიტყვა “სირი.” სირს სულხან საბაში მიაკვლია, სადაც ეს სიტყვა განიმარტებოდა, როგორც ბევრი ფრინველი ერთბაშად და იმ ღამესვე უსიამოვნო ამბავი შეემთხვა: ესიზმრა, რომ მეთოთხმეტე სართულიდან გადმოაგდო რედაქტორმა და რომ ვარდნისას მეთორმეტეზე ლოთი გალუსტას თავაზიან შეკითხვაზე - “როგორ ხარ, ძველო?” მიუგო: “ჯერ-ჯერობით, არა მიშავს რა,” და რომ მეშვიდეზე თვალი მოჰკრა შავი ტყავის სამოსში გამოწყობილ, სამეზობლოში მახინჯ ქალწულად შერაცხულ, სათნო მართას ფალოვიბრატორით ხელში, რომელიც სომეხ ლიფტიორ სუსკანციანს დააჭენებდა, და რომ ამ ამბით ფრიად გაოცებული დაენარცხა მდიდარი მეზობლის, ქველმოქმედ სურენის “მერსედესს”, სადაც ის აფეთქდა, დაიშალა პატარ-პატარა, საბასეულ მარტივ სირებად, რომლებმაც გაშალეს ფრთები და ცაში აიჭრნენ, და ის იყო ერთი მათგანი - საბრალო, ციცქნა სირი, რომელიც ჭყიოდა შეყვარებულ ტოროლასავით და მოუწოდებდა დანარჩენებს გაერთიანებისაკენ, ხოლო ისინი გლობალიზაციაზე უარს აცხადებდნენ და მიფრინავდნენ უფრო და უფრო შორს ერთმანეთისაგან, უცხოვდებოდნენ და ოფლდადენილს გამოეღვიძა, გაახსენდა ლექცია თემაზე “მოდერნისტული ეგზისტენციალიზმი და კაფკა,” მაგრამ ვერ გაიხსენა, ვინ იყო კაფკა, ვინაიდან სამსახურში მასალა უნდა მიეტანა ქათმის ფერმაზე, რომელშიც ქათმებს რეტრო-სტილში უწოდებდა “სირებს” და, სიზმრიდან გამომდინარე, იგივე სიტყვით მოიხსენიბდა ფერმერებს, რომლებიც გაუცხოვებულიყვნენ კოლექტივისაგან, და თანაც მაშინ უძრაობის ხანა იყო, და სირობისთვის მოხსნა რედაქტორმა, მას შემდეგ რაც “დამპალი დუმფარა” უწოდა გაყვითლებული თმების გამო, და საიდანაც დაიწყო მისი აღტოლვა მწერლობისაკენ.

ხოლო განსაცვიფრებელუკანალიან ლონდას “ლიტერატურული რეგიონალიზმის” გამო, მწვავედ აგინა. უცენზურო ლიტპაექრობისას სნობისტურად ახსენებდა წაუკითხავ აკუტაგავას, მაგრამ სხვა სიტყვებს აღარც გამოსდევნებია შემდეგ, რადაგან დანარჩენმა მწერლებმა ლონდას გამო ძალიან სცემეს. აქ მიხვდა, რომ აკუტაგავას ნაცვლად ლონდას თავის გავაზე მიელო ყველაფერი. და ცემის პროცესში თავს დასტრიალებდა ნისკარტებში ნოველებგაჩრილი უამრავი ყვითელი სირი, რომლებსაც ადრე მერცხლებად მოიხსენიებდა, და ვერაფრით გაეგო რატომ ელავდნენ სირნი ყვითლად, როდესაც ძველ, ტრადიციულ მოტივებში ისინი მოშავო-თალხისფერნი იყვნენ. მაგრამ ამაზეც ჩაიქნია ხელი და სამუდამოდ შეიძაგა უცხო სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა არ იცოდა. შუა ცემა-ტყეპაში აკრიფა 09 და იკითხა არსებობდა თუ არა გაზეთი “სოფლის ცხოვრება,” და თუ არსებობდა, დაუყოვნებლივ გამოეგზავნათ მისთვის გზამკვლელი ზემოთხსენებული რედაქციის ტელეფონის ნომერთან ერთად...

და მაშინ ყველა სიტყვა თავის ადგილას ჩაჯდა

* * *

და დადგა დრო, როდესაც აღარ აფასებდნენ პოეტებს საქართველოში და განსაკუთრებით იმას, რომელიც იდგა ყველაზე წინ და პრეზიდენტის გვერდით თრგუნავდა უკანასკნელებს,რომელთაც ჩახოხბილზე საზარელი წარმოდგენები ჰქონდათ, და ისინიც არ იყვნენ ღირსნი პოეტთა შორის უკანასკნელთა სახელის ტარებისა, ვინაიდან ამის პრეტენზია ჰქონდა ათეული წლების წინ ტერენტი გრანელს, რომელიც ნათესავებში კვირკველიად გვევლინებოდა და კულინარიული თვალსაზრით არც ის გიჟდებოდა ჩახოხბილზე, იმიტომ რომ ხოხობს პოეტური შეფერილობა ჰქონდა. და კვირკველიას მერმის, სწორედ იმ ათეული წლების შემდეგ მოღვაწეობდა ის, ვინც პრეზიდენტის გვერდით თრგუნავდა უკანასკნელებს ჩახოხბილის გამო და ვის სიმღერებსაც კვირკველიასგან განსხვავებით ანსამბლები მღეროდნენ. ხოლო ანსამბლებს უსმენდნენ მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული მენტალიტეტის ხალხი და ისიც გაურკვეველ მენტალობაში. და იმ სიმღერების შესრულებისას არავინ ახსენებდა პოეტის სახელს, როგორც ტექსტის ავტორისას, და პრეზიდენტსაც ფეხზე ეკიდა ეს ამბავი, ვინაიდან რუსეთი სამშობლოს ბომბავდა. და პიიტი პასუხისმგებელ პრეზიდენტის გვერდით მდგომელი ნერვიულობდა - თუ როდის გახდებოდა, ბოლოს და ბოლოს, უკვდავი სიმღერებში სულიერად გადასვლის გამო, ვინაიდან მისი ტექსტები საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ იყვნენ კატეგორიულად აქტუალურნი დაძაბული ხუთწლედების გამო და ვერ იტანდა ტერენტი გრანელს, რომელიც ცხოვრობდა ფაეტონში კაეშანს მიღმა. მაგრამ პრეზიდენტის დროს ფაეტონის მაგივრად ტაქსები იყვნენ, რომელთა მძღოლებიც იმ გაურკვეველ მენტალობაში უსმენდნენ მის სიმღერებს, რომელთა ტექსტის ავტორსაც არავინ მოიხსენიებდა. და გააჩერა ხოხბისლერბიანმა პოეტმა ტაქსი, ჩაჯდა და უთხრა: “რა სიმღერაა მაგ მუსიკებს რომ უსმენ?” ხოლო მძღოლმა მიუგო: “რავი, მაგის პატრონი დედაც!” და არამიზნობრივი მგზავრობისას პოეტმა



სთხოვა: “გიყვართ ლექსები?” და მძღოლმაც, ოდნავ დათრგუნულმა ალერსის გამო, ხათრით მიუგო: “ძალიან მიყვარს.” და მაშინ გვერდით მდგომელმა სთხოვა დაესახელებინა ყველაზე კარგი პოეტი. ხოლო მძღოლმა უთხრა: “რუსთაველი მკვდარია!” განმეორებითი თხოვნისას მძღოლმა დაასახელა იაკობ გოგებაშვილი და ლერმონტოვი, რომელიც დუელში თავისით მოკვდა, და კიდევ შემდგომი თხოვნისას მან დაასახელა აკაკი წერეთელი და სოციოლოგი მარკოვი ძაღლების ექიმ პავლოვთან ერთად, დაბოლოს დაასახელა ნონეშვილი, რომელიც რომ ფართო მოხმარების საქონლის მაღაზიაზე წერდა შემოდგომობით, და ცეკას მდივანი სუსლოვი. აქ პოეტი გაოცდა სუსლოვის ლირიულობის გამო, იმიტომ რომ მან ეს არ იცოდა. და სთხოვდა და სთხოვდა მძღოლს დაესახელებინა მისთვის სასურველი, ცოცხალი პოეტი, ვინაიდან იმედი ჰქონდა რომ მძღოლი, ბოლოს და ბოლოს, მას დაასახელებდა. მძღოლი ისე გამწარდა, რომ ძალდატანებით გაიხსენა დანტე და შელი, რომელთა ცოდნაც მას, როგორც მძღოლს, არ მოეთხოვებოდა. და კიდევ სთხოვა გაეხსენებინა ავტორი სასიმღერო ტექსტებისა და ფართოდ გახელილი თვალებით მძღოლს მრიცხველიან საცქერლებში ჩააშტერდა. და აქ მძღოლმა დაამუხრუჭა, გადმოაგდო მანქანიდან და ძალიან სცემა, ვინაიდან შეშლილი ჰომოსექსუალისტი ეგონა პრეზიდენტის გვერდით მდგომელი, რომელიც უკანასკნელებს თრგუნავდა და რომელიც მძღოლმა ვერ იცნო, მხოლოდ იმიტომ რომ ფეხზე ეკიდა. მაშინ პრეზიდენტთან მდგომელმა საჭე ჩასჩარა გაოცებულ მძღოლს ხახაში და წავიდა ნაცნობ ანსამბლებთან სიმღერებისთვის მითითებების გასაკეთებლად, რაიცა შეასრულა კიდეც....

## გვიან ახდენილი ნატვრების ხიბლი

ფეირვერკებით აფეთქებული სცენის უკან პროჟექტორებით განათებული ზღვა ჩანდა. ტალღებზე ქანაობდა მეწამული ხავერდებით დაფარული “ტიტანიკის” იმიტაცია. პატარა დელფინების მოთოკვა ჭირდა, ნორჩ ალიონას პირდაპირ პულტთან დაარტყა დენმა. დიდხანს უფერებდა სველ და სლიკინა თავზე: “დამშვიდდი, დამშვიდდი, ალიონა! ხანდაზმული დელფინები დინჯად გადაევლებოდნენ “ტიტანიკს,” მშვიდად ხტებოდნენ დელფინარიუმიდან ზღვაში, მაყურებლებს ჰაეროვან კოცნებს უგზავნიდნენ, სუბტროპიკულ სუვენირებს აყრიდნენ თავზე. ფერადი ღრუბლებით შემოზღუდულ დარბაზში აქა-იქ გაებნიათ ექსტრაორდინალური ტბები და ეგზოტიკური ზღვები. ეგზოტიკურ ზღვებში დელფინებშებმული ნიჟარებით დასეირნებოდნენ საცურაო-საკონცერტო კოსტუმებში გამოწყობილი რუსი გენერლები. ხოლო ექსტრად არაორდინალურ ტბებში ჰოსპიტალერთა ორდენის რაინდები დასდევდნენ ჩადრებიან ნიმფებს. აფხაზი სტუმრები ეცოტავა - ათიოდე პარტიზანსეპარიტისტი მოვიდა მხოლოდ.“ პრესმდივანი იხმო: “ გორაკები კარგად მოჩხრიკონ. ნადარეიშვილი უბილეთოდ უყურებდეს იქნება კონცერტს.” პრესმდივანი მალე დაბრუნდა. “რა ქნენ, მოჩხრიკენ?” “მოჩხრიკენ. არავინ არ უყურებს..”



სცენაზე კონფერანსიე გამოჩნდა. ზესაიდუმლო ვერტმფრენებმა მოტორები გამორთეს, წითლად შეღებილი, რადიაციული ჩაი გადმოყარეს. “ჩაის რა უჭირს, - ფიქრობდა პრესმდივანი, პიჯაკიდან კვერცხის ლაქას იწმენდდა, - გვარს არ დავასახელებ და, ზოგიერთს აჭარული ხაჭაპურების გადმოყრა უნდოდა.” კონფერანსიემ მიკროფონს წკიპურტი მიარტყა. ზღვის სიღრმეებში ატომურმა წყალქვეშა ესკადრილიამ გაიღვიძა, დელფინებმა ცაზე ადმირალ უშაკოვის პორტრეტი გამოსახეს. უფსკრულებიდან სუბმარინების საოკეანო ჯავშნით დაგუდული, სლავი პირატის ბულბულ-ყაჩაღის სიმღერა მოისმა: “ჩორნი ვოოო-რონ...” მერე ნორჩმა დელფინმა ალიონამ გააგრძელა: “ოტ ოდესი და კრონდშტატა ჩაიკა გორდაია ლეტიტ...” თითი დაუქნიეს. ალიონა გაიბუტა, საწოვარიანი ქაშაყი იტაცა პირში. და აღმართა კონფერანსიემ ხელები. მეჩეთის ქონგურებიდან საყვირებმა დასცხეს, ნიჟარებში წამოდგნენ რუსი გენერლები, პილოტურები მოიხადეს. მთვრალი რიგითებილა ცეკვავდნენ “აჭარულ ტანგოს.” და მოუხმო კონფერანსიემ სრულიად ესტრადას რუსეთისას. იფეთქა ვარდისფერმა დირიჟაბლმა, რომელიც მსოფლიო ომის დროს რუხი იყო და მოსკოვის თავზე ეკიდა. გამოიშალნენ დირიჟაბლიდან მომღერლები... წინ მოისეევი მოქროდა კისერზე შემომჯდარ ჩაპუტკუნებულ ალა ბორისის ასულთან ერთად, უკან კიდევ კირკოროვი კისერზე დამაგრებული მოისეევის იმიტაციით, მის უკან აგუტინი კისერზე ატირებული ალეგროვათი, და საშა ბუინოვს ბულანოვა ეჯდა ქედზე, და გალეშილი რასპუტინა ქართლის დედის კაბით მორთულ კარალიოვას ვიბრატორს თავში ურტყამდა, და ტიროდა სუსტი კარალიოვაც, რადგან კისერზე აგუტინი აჯდა, და მორბოდა კრილოვი, რომელსაც იგავების არა გაეგებოდა რა, და რომელსაც ეშმაკები ასხდნენ კისერზე და რაც მთავარია, იქვე, მოშორებით, ხულოს რაიონში კაციშვილმა აღარ იცოდა, რა იყო დენი და ფქვილი და ყვითლად გადამწვანებულ ხალხს აჭარის ტელევიზია ასწავლიდა, კუსტარულად როგორ გამოეკვერათ ნამგალი და ცელი, და როგორ მოეთიბათ ახლო მინდორში მხალი და თივა, როგორ მოეწველათ ძროხა და ამოეყვანათ ყველი, და როგორ უნდა ამოეყვანათ ყორე და როგორ უნდა მოეპოვებინათ ცეცხლი, და როგორ შეენახათ ის ცეცხლი ტყესთან ერთად შვილებისთვის, რათა გაეძლოთ... ათწლიანი შოუ-აგონიისთვის... ხოლო სხვა ყველაფერი იქნებოდა კარგად, ვინაიდან სუბმარინები დუმდნენ მოსყიდულ, აჭარელ დელფინებთან ერთად ბათუმიდან სრულიად კრონდშტატამდე და... და თბილისი...

“შენთან სიზმრებში მოვალ, - ზღვის ტალღებიდან გამოიჭრა მოსკოველ ბიჭუნათა ორასკაციანი კაპელა, - მოვალ, - წკრიალა ხმით გაუმეორა კაპელამ, - მოვალ და გიმღერებ...”

## პირველი ბათუმელი, კასპელი...

პირველი მინისტრი აღარაფერში ჭირდებოდა. არ მიდიოდა მაინც, იტკეპნებოდა ადგილზე.

- რატომ არ ჩამოდის? - ცალი თვალი მოჭუტა მეთაურმა, გაბრაზების დასაფარად ჭერში აიხედა - სამომავლო რეკომენდაციები ეწერა იქ სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის”, - ეშინია?” “გოგიტიძეს ჯერ-ჯერობით ეე... დაუსაქმებელი ნალმები უნახავს. თქვენთვის არისო, მიუტანია ენა.” “კაკუბავას ნალმებია ეგ!” - იფეთქა მეთაურმა, გაცოფების განსაქარვებლად დარბაზის მარცხენა კედელი შეათვალიერა. იქ ევროსაბჭოს წესდება და პირადად მისთვის განკუთვნილი ჭკუის დარიგებები ჩამოეწერათ. “კარგებია ისე, - გაწითლდა პირველი, - ბრჭყვიალობენ საყვარლად.” “დავნიშნოთ გოგიტიძე“ბავშვთა სამყაროს” ან ცენტრალური სუპერმარკეტის დირექ...” “ველოტრეკის დირექტორად მინდოდა, მაგრამ არ წავალ მანდო, ველოსიპედის გაგებაში არ ყოფილა.” “არ არის ის ანდაზა სწორი - “შიში შეიქმს სიყვარულსაო.” სულ მეშინია - მეშინიას გაიძახის, მაგრამ სად არის სიყვარული?” “თქვენც მასე არ ხართ? გაფეთქებენ - არ გიყვართ, კიდევ აგაფეთქებენ - კიდევ უფრო არ გიყვართ. ორშაბათობით...” “არ მეშინია და იმიტომ.” “ორშაბათობით გამოდიხართ და იმის ანალიზს აკეთებთ, თუ რატომ არ გიყვართ არავინ.”



მარჯვენა კედელზე ნატო-ში გაწევრიანების მსურველთათვის აუცილებელი პირობა-რეკომენდაციები იყო ჩამოწერილი.“ააჭრელეს ეს კედლები.” “მანჟეტებზეც გაქვთ.” პიჯაკის სახელოები დაიკაპიწა. მანჟეტებზე ევროკავშირის პარლამენტის მითითებები ეწერა, პიტერ შოუს პატარა სურათიც. ძველ საგანზე გადაიტანა ლაპარაკი, -” მაშ, არ ჩამოვალო არა, მაგ ჩემის ნდობით აღჭურვილმა? მიზეზი მაინც თქვას.” “პირველი ბათუმელი კოსმონავტის პრეზენტაციაზე... ეე... გაფრენაზე მივდივარო.” “რო მოვხსნი, ნახავს...” “სადმე თუ აფეთქდება თქვენსავით თავისით, თორემ ვინ მოხსნის?!”

აქ ძლიერ გაჯავრდა და გააგდო პირველი. თმა დაივარცხნეო, უთხრა, დაუვარცხნელი აღარ დამენახო საერთოდო. პირველი გაიბუტა და გავიდა. პარიკმახერ! პარიკმახერო! - ისმოდა ყვირილი. მეთაურს ჩაეცინა. ერთგულია, ოხერიო, სიყვარულით გაიფიქრა, ხანდახან თუ შემომითამამდება, თორემ აკეთებს საქმესო.

“ჰმ, პირველი ბათუმელი კოსმონავტი! პოპულისტი ეგ! კოსმონავტებზე, თხილზე და მომღერლებზე რომ გიჟდება... პირველი პლეხანოველი რუსეთის პრემიერი მყავდა. ვყვიროდი? აგერ პირველი ახმეტელი რუსეთის თავდაცვა მყავს. ვიტრაბახო? - მერე ორთავიანი არწივით დამშვენებულ პორტრეტს მიაჩერდა: “აგერ, პირველი კასპელი რუსეთის პრეზიდენტი მყავს! გამოვაცხადო ახლა ეს?” იატაკიდან მოაკაკუნეს. ქვედა სართულიდან არსად რომ არ ითქმის და არსად რომ არ დაიწერება, ისეთი დაზვერვის შეფი იყურებოდა ზევით: “წყალი ჩამოდის! გამოსაცვლელია თქვენი სისტემა!” “წლის ბოლომდე და გამოვცვლით!” “ამოვალ და თვითონ გამოვცვლი!” “კაფელს დამიმტვრევს, შეჩვენებული!” - გაიფიქრა, - “კოსმეტიკას გამიფუჭებს!”მარცხენა კედელს მიადგა და ევროსაბჭოს წესდების გამეორება დაიწყო. “ვუჩვენებ სეირს!” - ბუტბუტებდა, - მე ისეთი კარგი პირველი ახმეტელი ... - და კიდევ ბუტბუტებდა, - “მე ისეთი პირველი კასპელი...”

ზემორე დონეებზე მოლივლივე რუსეთის პირველი კასპელი და რუსეთის პირველი ახმეტელი აღარაფერზე ნერვიულობდნენ. საქართველოს დღევანდელი პირველიდან, უკანასკნელ ხვალინდელ მინისტრამდე ხელზე ჰყავდათ შეჩვეული, ხოლო გუშინდელებს მოსკოვში უტარებდნენ აკლიმატიზაციას, ხანდახან უმარილო ხორცსაც აჭმევდნენ, აბანავებდნენ და ცეცხლმოკიდებულ რგოლში გახტომასაც ასწავლიდნენ პარალელურად.

## ლუსტრაციის კანონი

ჩვეულებრივი ამინდები იდგა ირგვლივ და მოქალაქეებიც გაწონასწორებული სახეებით დადიოდნენ. საქილიკო არა ჰქონდა რა და ტყუილად იდგა იქ, სადაც ადრე სატირის თეატრი მოიაზრებოდა, ათვალიერებდა რეკლამებს... მათი შემხედვარე ამაოდ ცდილობდა გადაფურთხებას - გაწონასწორებულსახეებიანი, ლამაზჭიპიანი გოგონები მიმოდიოდნენ. ხანდახან თვალებში ჩახედავდნენ გოგონები და ჰკარგავდნენ წონასწორობას მაშინვე, კვდებოდნენ სიცილით. თავად ჭიპი არ უვარგოდა, გადმობრუნებულს ჰგავდა და სარკეშიც ვერ უსწორებდა ბოლო ხანებში თვალს. ადრე ეს ფეხებზე ეკიდა. ჭიპებით ვინ დადიოდა ადრე. სოჭის პლაჟზე ერთხელ სიგარეტი ჩააქრო იმ ჭიპზე გალეშილმა კუიბიშეველმა ჩათლახმა. მეტალურგი ვარო, ტრაბახობდა ჩათლახი, ვარვარა მქვიაო. სცემა მაშინ და გააგდო. არც უნანია - სავსე იყო ჩათლახებით კუიბიშევი მაშინ. სოჩა ძალიან უყვარდა. გამოიწერდა საგზურს და მარტო მიდიოდა სოჩაში. სანატორიუმში ღამე ბრუნდებოდა. დღე კი ნაპირზე იწვა ჩამქრალი სიგარეტით პირში, გასცქეროდა ჰორიზონტზე მოლივლივე გემებს, ფიქრობდა მაროკოს მეფეზე და ყავის სუნზე, რომელიც ვერაფრით გაეხსენებინა ახლა. ამაოდ იკვლევდნენ კუიბიშეველი თუ სარატოველი გაუწონასწორებელი ქალებია ვისი სურათი ეხატა მარცხენა მხარზე. მარჯვენაზე გასაგები იყო - ბელადი ყაზბეგის ფონზე. მარცხენაზე კი მაროკოს მეფე იყო - არავისთვის უთქვამს. ვერ გაიხსენა - რატომ სცემდა მაშინ პატივს, ამდენი წლები გავიდა... მეფე დაჩიავდა, მოიკუნტა და ცხვირი ჩამოუშვა. “აღსდექ, მუსულმანო!” - შეუძახებდა, - “გაწონასწორდი!” დღეს მთავარია გაწონასწორებული იყო, არ დაიბნე. რა სიმშვიდე იყო მაროკოში! დამპალი ნესვები და ნაცემი ამერიკელი გაახსენდა. გაეცინა. გაწონასწორებულსახეებიანმა ქალიშვილებმა მაშინვე შემოხედეს. მერე ერთმა ისე აუსვა ნაყინს ენა, ჯერ ტანში დაბურძგლა, მერე მაროკო და მადამ სისის ატელიეს ჩადრები და ხავერდის ლიფები გაახსენდა. თვალები დახარა, მიაშურა თავის მანქანას. მაროკოშიც “მერსედესი” ჰყავდა, შოფრად კი სომეხი ამაიაკი, მაგრამ პაბლო ერქვა ამაიაკს მაშინ. მანქანა არ დაუქოქავს. იჯდა ისე, ელოდა რომელიღაც გაუწონასწორებელს, ასე ორმოცი წლისას ან ორმოცამდე... სოჩის პლაჟი ამოტივტივდა ისევ. ოთხმოციანების ბოლოს სიდორ სიდორიჩი დაინახა პლაჟზე. მთლად დაბერებულიყო მოსკოველი პოლკოვნიკი. გვერდით წამოწვა. “ისევ მაროკოს მეფეზე ფიქრობ?” ხმა არ გაუცია. არც შეიძლებოდა გაცემა. “კარგი ზღვაა,” - განაგრძობდა სიდორიჩი, - “მაგრამ ოკეანეს ვერ შეედრება.” მერე ზღვაში ჩააფურთხა და წავიდა. ზურგზე კუბის პრეზიდენტის ბატისტას პორტრეტი ეხატა, მხარზე ნიკარაგუელი ფრუქტუოზო ოხედას კბილებჩამტვრეული სიფათი. მაროკოს მეფის წყნარი, მშვიდი სახე გაახსენდა. საათს დახედა... გაუწონასწორებელი ქალის მოძებნა ღამისთვის გადადო. პარლამენტში საღამოს სხდომა იწყებოდა უკვე და მანქანა მომართა, არ დამაგვიანდესო, შეეშინდა. ერიდებოდა თანაფრაქციელი ძმაკაცის - მარტოს შეეშინდება ხელის დაჭერაო. მაგრამ იმანაც ხომ დააგვიანა ამასწინათ, ჩე გევარას და პავლოვიჩის სვირინგს ვიშორებდი, ბოლო დროს ცუდ სიზმრებს ვხედავო - მოუბოდიშა. ჩე გევარა და პავლოვიჩი კი, მაგრამ იაპონიის იმპერატორის და ლოტოსის სვირინგიც ჰქონდა ილლიის ქვეშ გარდაბანში დაბადებულ, ყვითელ და ჭრუტათვალებიან ყოფილ პოდპოლკოვნიკს, ამჟამად ფრაქცია “კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვების და ასე შემდეგის” ლიდერს.



იმ საღამოს ლუსტრაციის კანონი მერამდენედ და ამაოდ გადიოდა განსახილველად სხდომაზე და ძალიან, ძალიან ფიქრობდა მაროკოს მეფეზე...

# პინოქიო

კარლო სასავატიანი შუა აზიაში მუშაობამ დაღუპა. არც ახსოვდა თბილისიდან როდის ჩამოეხეტა. პროვინციულ, პატარა და ვირებით სავსე ქალაქში ბამბის კომბინატში მოეწყო მწონავად და შეიძლება ფულიც ეშოვა, რომ არა ბურატ ბურატირმბაევის გოგო ალისა. ლამაზი იყო, თანაც, რეცხვა-დალაგება ჭირდებოდა კარლოს და გადმოიყვანა პატარა შვილითურთ ალისა ბურატის ასული თავისთან. პატარა ბურატს სამზარეულოში, საძილე ვაგონიდან მოპარულ თაროზე აძინებდა. მაინც აღვიძებდა ბავშვის იატაკზე დაცემის ხმა.

ქალაქი ერთიანად ჰაშიშს მოეცვა. ანაშის მტვერი იდო ქუჩაში, ფოთლებზე, ავეჯზე... მიდგებოდა ალისა და უხვევდა პაპიროსში. ბურატ ბურატირმბაევს "კანაფის მეფეს" ეძახდნენ, ბუზს ვერ უფრენდა ვერავინ. ეწეოდა ანაშას, ჩაის აყოლებდა და გამოთაყვანდა კარლო. დაბინდული თვალებით აკვირდებოდა ბურატირმბაევის ფოტოს - ხან თვალს ჩაუკრავდა ახვარი, ჩასუქებული ბერიკაცი, ხანაც კბილები და რქები გამოსდიოდა და ვგიჟდებიო, წუხდა სასავატიანი. ზოგჯერ ჩაეძინებოდა, მაშინვე - ბრახ! - მოისმოდა სამზარეულოდან და დიდთავიანი ბურატი წამოადგებოდა თავზე - მეტკინაო. ხისგან ხარ გაკეთებული, ამშვიდებდა კარლო, არაფერი მოგივაო. "პაპა ბურატიც ხისაა?" კიო. "შენ?" "მე ადამიანი ვარ. რომ გაიზრდები, კეთილ ფერიას შეეხვეწები და შენც ადამიანად გაქცევს," - და დაბოლილმა ისეთი ხარხარი ატეხა, ალისას ოპიუმი რომ არ მოედუღებინა, გული გაუსკდებოდა. ბურატი ამის შემდეგ მხოლოდ ხეებთან და ხის თოჯინებთან თამაშობდა, პაპას უფერებდა გადაპარსულ თავზე, ლაკი წაისვიო, ეხვეწებოდა, ასანთსაც მოერიდეო. ასე რომ, კარლო სასავატიანს ყველა პირობა ჰქონდა შეძლებულ ნარკოსაქმოსნად ქცეულიყო. მალე ბამბის კომბინატიდანაც გამოაგდეს. გაწყრა პაპა ბურატი - კანაფს და ოპიუმს ბამბის ფუთებით აგზავნიდნენ ევროკავშირის ქვეყნებში - და თბილისში გამოიქცა სასავატიანი, ათიოდე კილო "მაცანი" წამოიღო და ძლივს შეათრია თვითმფრინავის დანახვით გულგახეთქილი ხის ბიჭუნა სალონში. ავლაბრის ძველ სახლში დაბინავდნენ. ამასობაში კარლოს ბიძაშვილი ბასილ ბალოიანიც ჩამოვიდა არგენტინიდან. მოქალაქეობა გაეჩალიჩებინა, ახალ პასპორტში ბაზილიო ბალოიად ეწერა. გაურიგდა ბაზილიოს და შეუდგნენ ანაშის გაყიდვას. პატარა ბურატის ჩათრევაც უნდოდათ და ბაზილიომ მალე საყვარლად გაიხადა ალისა. ბურატი წამოიზარდა, მაგრამ ისევ ხის ეგონა თავი, დასანახად ვერ იტანდა ხერხს და შალაშინს. ერთხელ პაწია, კორეელ დიპლომატს ჩაეხუტა, ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან. ბაზილიომ და ალისამ "მაცანი" ჩაუყარეს "ჰერკულესში," ჭამა და დაეძინა. ბოლოს კარლო საუნაში წავიდა, ძალიან თეთრი ჩათლახი შეარჩია, დაარიგა რეები ელაპარაკა და შუაღამისას გააღვიძა მაცანნაჭამი ბიჭი - ფერია მოვიდაო. იმან წვნიანის ამოსაღები ჩამჩა ჩაარტყა თავში, დღეიდან ნამდვილი ბიჭი ხარო, გამოუცხადა. "დღეიდან ლოგინში დავიძინებ!" - გამოაცხადა ბიჭმა და კარლოს ლოგინი მიისაკუთრა. ახალი საფიქრალი გაუჩნდა - მოტოციკლეტი მოეპარა საბურთალოზე და ძალიან ჭირდა ბიჭის დაჭერა. ამასობაში არგენტინის მოქალაქე ბაზილიო ბალოია დააპატიმრეს, გაასამრთლეს და არგენტინაში გადააგზავნეს. ბაზილიოს "მერსედესი" და ოქროს საათი ბურატინოს აჩუქეს. საათი გაყიდა ბიჭმა და დაიკარგა. მამილო კარლომ ნაცნობ საუნაში მიაგნო ბოლოს. დავიღუპეო! - ბიჭს "ჰერკულესის" და ტეკილის მძაფე სუნი ასდიოდა, - ფერია შე..ეემომეჟიმაო. ზეწრებში გახვეული ქალი კვდებოდა სიცილით - ფული ხომ გადაიხადე, ჩათვალე, რომ მალვინა ვარო. დაამშვიდეს - ფერიების ჟიმვა ჩვეულებრივი ამბავია, დედაშენი ალისა ავიღოთ თუნდაცო.



ალისა კი მალე არგენტინაში წავიდა - ბაზილიოს ტოლმა და სუჯუკი წაუღო. მალვინა ხშირად მოდიოდა. ყოჩაღი გოგო ჩანდა, ბიჭს მიხედავსო, კარლოს უხაროდა. ახლა სამი შვილი ყავს ბურატს და ხე-ტყის გადამამუშავებელ ქარხანას ამუშავებს. ხერხების ყურება უყვარს ძალიან და "ჰერკულესის" "მაცანის" ბურთულებს ჩაყრის შიგ და სადილობს თავისთვის თვალებგაშტერებული...

# ახალი პოეზიის შესახებ

საუნიდან დაბრუნებული და ძალიან მთვრალი პოეტი, ფსევდონიმით ლარიონ სესე, რომელიც აღარ იყო დამწყები, არამედ ხნიერი, მაგრამ მაინც არავინ აღარაფერს უბეჭდავდა, და რომელსაც იმ საუნიდან საპონი და თურქული პირსახოცი მოეპარა, ანალიზისთვის მოშარდვას ვერ ახერხებდა - რაღაცა უმძიმდებოდა ქვევით. მაშინ გაახსენდა რომ საპონთან, პირსახოცთან და ფინურ უნიტაზთან ერთად ზემოთხსენებული საუნიდან პრეზერვატივ "სიკოს" კომპლექტიც მოიპარა და კონსპირაციისთვის მოირგო კიდეც. კომპლექტს ახლა სისხლის მოძრაობა გადაეკეტა და სასწრაფოთი წაიყვანეს ლარიონ სესე. ქირურგიული ჩარევისას სანიტარ-ქალწულთა მთელი რიგი აღტაცებები დაიმსახურა, ერთმა ლოყაზე უჩქმიტა კიდეც, და ლარიონ სესემ იქვე გადაწყვიტა შეექმნა ზომიერად ეროტიული ციკლი, სადაც დაგმობდა გარყვნილებას და ძველი თბილისის ტრადიციულ ბოჰემას და სიყვარულნარევ სექსს აალორძინებდა. საავადმყოფოდან გამოწერისთანავე ეს აზრი გაუზიარა ვაჟს მესამე ქორწინებიდან ლიტერატორ სევერიან სესეს, რომელიც ბიბლიურ მოტივებზე მუშაობდა, და რომელმაც ჯერ სილა გააწნა ბიოლოგიურ მამას, მერე სასწრაფოდ გადაიკეთა გვარი და იწოდა სევერიან ხიხიდ. მაგრამ ლარიონმა უხმო შვილს პირველი ქორწინებიდან სესე მანუელს, რომელიც შორს იდგა ლიტერატურისგან და ანტანანარივუს გარეუბანში სამეფუტკრეო ბიზნესი ჰქონდა. ის ცოლთან, ტაილანდელ სესილი კამასთან ერთად მოვიდა და მამას განუცხადა, რომ თაფლი უამრავ დაავადებას კურნავდა. ლარიონ სესემ აღშფოთებით უკუაგდო ეს ვარაუდი და მოსთხოვა, როგორც ბიზნესმენს, ჯიქურ უზრუნველყო მომავალი ციკლი, როგორც სასტამბო ხარჯებით, ასევე საბეჭდი ქაღალდით, სურსათით და საუნათი. ამასობაში გარყვნილიყო თურმე სესილი კამა, რომელმაც თქვა, რომ პოეტები ბოლო დროს პირდაპირ ქალებზე წერენ, ტიტველ ფურცლებს პოდიუმებზე გამოფენენ და პრეზენტაციაზე ლირიულ გაცხრომას ეძლევიან. ეს ჭკუაში დაუჯდა ლარიონ სესეს, ჭოჭმანებდა მაინც, კავკასიურ მენტალიტეტს უჩიოდა, მაგრამ წამოდგა ცუგრუმელა სესილი კამა, ბარძაყობრივი გრაცია გაიშიშვლა და შესძახა: "გრიშაშვილი გაიხსენეთ - აზიელი აშუღი ჩვენი!" და ყველაფრის ორგანიზება თავად ითავა - დარბოდა საუნიდან საუნაში, ერთი სამოდელოდან მეორეში, აგროვებდა ფურცლ... ეე... საწერ მასალას, ლარიონ სესე აბანოს-ლუქსში გარშემორტყმულიყო ლამაზმანებით და სწერდა და სწერდა. თავზე ადგა თაფლიანი ქილით ნაღვლიანი მანუელი, ქალწულებს უამბობდა თუ რა მუყაითი არსებაა ფუტკარი, და რომ მალე ფუტკრის ახალ, ჰიბრიდულ ჯიშს გამოიყვანს. სევერიან ხიხი კი მართლმადიდებელ პატრიოტებთან ერთად მართავდა მიტინგებს და მამას საშინელ აღსასრულს უწინასწარმეტყველებდა.



"როგორ მინდა გულზე დარდი ჩამოგბანო, და ლექსებიც დაგიწერო ათიოდე, ღამის თბილისს დაამშვენებ, ბანოვანო, შენ რომ ახლა დაბანილი დადიოდე," - აბანოში თხზავდა ლარიონი. იბნიდებოდა გარყვნილი რძალი სესილი კამა. ხოლო პოეტი აგრძელებდა: "მოგიხდება აბრეშუმის ხაბარდები, შენს დაცინვას აბრეშუმის გამო ვიტან, ორთაჭალის ცეცხლს და გოგირდს ჩავბარდები, და იქიდან ახალ ლექსებს გამოვიტან." "საღოლ!" - ჭყიოდა სესილი კამა. და კიდევ: "შენ გაიხადე და ჩემი ლექსი გადაგაწერე ზურგზე წვიმებად, შენც წაიკითხავ სარკეში ალბათ და სიშიშვლეზე გაგეღიმება!" "აჰ, მამაჰ!" - წარმოსახულ პოდიუმთან ბოდავდა უკვე სესილი კამა და გადასათეთრებლად ზოგიერთ ლამაზმანს შინ უგზავნიდა. ძალიან, ძალიან იღლებოდა ლარიონ სესე. ერთხელ, გადაქანცულმა ისეთი ძალუმი წერტილი დასვა, ბროლის დუნდულა დაეკოდა ავლაბრელ ვანდას, სააგენტო "ლუგელას" გამოგზავნილ კბილის პასტის დედოფალს. დიდხანს დარბოდნენ სეფსისის ცენტრში. ვანდა აღარ გამოდგებოდა საწერად, მთელ თვეს მოუნდნენ, სანამ ვანდას მზალოზე გადაწერდნენ, სააგენტო "შატილის" გამოგზავნილ მოდელზე. "როგორ გაჰრყვნილხარ თინაო, პირდაპირ სახლის წინაო, ეგრე არ უნდა გაოხრდე კომფორტი გულითვინაო," - ხალხურ მოტივებს ხარკს უხდიდა, ელაციცებოდა წარმოშობით კასპელი ლარიონ სესე.

და როცა თბილისში საწერი მასალა გამოილია, როდესაც სევერიან ხიხის ნორმალურმა წნევამ ორასი ასოცზე აჩვენა და მართლმადიდებლებმაც კი დაიწყეს საკუთარი ოჯახის წევრებზე ჩანახატების შესრულება, როდესაც წინასიტყვაობისთვის საკუთარი სხეული გაიღო ქველმოქმედმა ტაილანდელმა სესილი კამამ, როცა გრიშაშვილის ნათესავები საცემად აბანოში მიუვარდნენ ლარიონ სესეს, და როცა პრეზენტაციის დღეც დაინიშნა, სული განუტევა ახლადგამოყვანილი, ჰიბრიდული ფუტკრებისაგან საშინლად დაგესლილმა სესე მანუელმა. მაგრამ სიკვდილის წინ გონს მოეგო და დედის გვარზე გორგიჯანაშვილზე გადავიდა. გაავებული დაქროდნენ ქალაქის თავზე ფაფარაშლილი, თვალებჩასისხლიანებული სექსუალური ფუტკრები, ყველაფერს ამსხვრევდნენ. მხრებჩამოყრილი იდგნენ სესილი კამას ნაქირავებ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პოდიუმზე გაშიშვლებული ცოცხალი ფურცლები. ფუტკრებისგან დაშინებული პოეტები არ მოვიდნენ, ძაძებით შემოსილი ლარიონ სესე უმწეოდ მიმოდიოდა აშოლტილ და ტიტველ ფურცლებს შორის, გასვენების დღეს და საათს იტყობინებოდა: "გამოსვენება სამ საათზე, ქ. ანტანანარივუ და ასე შემდეგ..."

ძმის დაკარგვით გაცოფებული სევერიანიც დაუბრუნდა დედის გვარს ზინგერ-კაკაბაძისას, ხოლო გამოსვენების ჟამმა რომ დაჰკრა, ყველასგან მოულოდნელად ვიღაც ახმახი დედაკაცი წამოაქცია პუშკინის სკვერში, მის ზურგზე გააფთრებული შეუდგა წერას: "ხოლო პოეზია არის ამონათქვამი ნავნები სულისა, თავისუფალი ყველაფრისაგან! თავისუფალი... ხოლო ლიტერატურა აღარ არსებობს - ჰიბრიდულ ფუტკრებად გარდაქმნილი გაიფანტა ეთერში და აღარასოდეს დაბრუნდება!" შემდეგ ქალს უბრძანა მთელი კვირა მწერალთა კავშირის წინ მდგარიყო, ხოლო ნორჩი პოეტები ოქროს კბილებით დაეფრთხო ხოლმე, ვინაიდან ფეხი არასოდეს შეედგათ შიგ. შემდეგ კი სავახშმოდ გასწია კიბოთი დასნებოვნებულ სტომატოლოგთან ერთად, რომელსაც ძმა ჰყავდა ბელეტრისტი და ლიტერატურის არაფერი გაეგებოდა.

# პიროქსილინი

და როდესაც შეიწყალეს, ის აღარ იყო დამწყები ტერორისტი, ხოლო პატიმრობისას ყოველთვის აფეთქებდა მოსაშარდ "პარაშას". განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პარაშა იყო სავსე და ფიქრობდა გარდასულ დროზე, როდესაც ფართო ასპარეზი მიეცემოდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. შეწყალებული წავიდა ცოლ-შვილის მოსანახულებლად და დაადგინა, რომ ცოლ-შვილი, მისი პარაშასთან პაექრობის პერიოდში გაწევრიანებულიყო პარტიაში, რომელიც ასაფეთქებელ ობიექტებს თანაუგრძნობდა. მაშინ გაემართა ნაცნობ ფსიქიატრთან, რათა დამშვიდებულიყო და საღამოს მაინც გაეუვნებელეყო ნალმი, რომელითაც ცოლ-შვილი საღამომდე ერთობოდა, როგორც ალუბლისა და ვაქსის არომატით გაჯერებული სუვენირ-ბონბონერით. და სწორედ მაშინ მიუსწრო, როდესაც ცოლ-შვილთაგან უმცროსმა ვალიკო ხაშიგმა უკვე გამოაძრო დეტონატორი ბასტი-ბუბუს შესახედაობის მსუყე მარმალადს, რომელიც მან ჯერ კიდევ ციხეში დატენა პიროქსელინით. ალერსიანად აუხსნა უმცროს მემკვიდრეს, რომ დეტონატორი დაეთმო დედისთვის, რომელსაც ქვეცნობიერად აბრალებდა ვალიკო ხაშიგის და უფროსი ძის კესკენჯურის იმ პარტიაში გაწევრიანებას, რომელიც რომ ასაფეთქებელ ობიექტებს უთანაგრძნობდა. ხოლო როდესაც დედა ეთერში გაიფანტა იასამნისფერ ყვავილებად, ვალიკო ხაშიგმა წაიმღერა: "არ მიყვარდა ერთი გოგო..." წამღერების შედეგად დაადგინა რომ ვალიკო ხაშიგი გაცილებით უარესი იყო, ვიდრე კესკენჯური და ვარდიკო ნადიბაიძე, რომელიც მინისტრობის პერიოდში ვაჭრობდა ხახვით შუა აზიაში, ვინაიდან იქ მეგობარი მებოსტნეები ჰყავდა. მაშინ საშუალება მისცა კესკენჯურს ჰუმანიტარული განხრით განვითარებულიყო და ნერვიულად გადააფურთხა, იმიტომ რომ, მისი აზრით კესკენჯური არ შედგა. ხოლო ვალიკო ხაშიგი მაშინვე ჩაწერა პრეზიდენტთან მიღებაზე მადლობის სათქმელად, ვინაიდან მან შეიწყალა იგი. მაგრამ პრეზიდენტთან მიღწევამდე ლიკვიდაციას დაექვემდაბარა ოპოზიციური პარტიის თეთრთმეტი ლიდერი, რომლებიც ბორის ელცინს სიბერეში თანაუგრძნობდნენ და სძულდათ ლირიული ტერორისტები, რომლებმაც წყალში ისე გადააგდეს ელცინი, რომ, ქვაც არ დაუკიდიათ მისთვის, რის შედეგადაც ელცინს განუვითარდა ტრიხომონაზი, რომელიც მძაფრი სიმთვრალის დროს გადაედო თერმოპილის გმირის ლეონიდ ბრეჟნევის გოგონას, რომელიც რომ გარდაქმნის შემდეგ გასუქებულიყო და აბოყინებდა, ხოლო შარდი ჰქონდა გამდიდრებული ურანისფერი. და მაშინ მან კუნცევოს აგარაკთან მოწამლული "მამალო" მიჰყიდა ასლოკინებული ბრეჟნევის ქალიშვილს, რითაც პატივი მიაგო იოსიფ ბროზ ტიტოს ხსოვნას სტალინთან მიმართებაში. მერე კი პრეზიდენტთან მიღებაზე გასწია, სადაც ყოვლად უსამართლოდ დააპატიმრეს, რადგანაც გაოცებულ კესკენჯურს ცნობისმოყვარეობის გამო უკვე აეფეთქებინა სახელმწიფოს მეთაური, რომელიც გონს იკრეფდა და რადიკალური შეხედულების პატრიოტებს ასაჩუქრებდა წახალისების მიზნით. და მაშინ მისმა სიცოცხლემ ყოველივე აზრი დაჰკარგა და მთლიანად გახდა დამოკიდებული ვალიკო ხაშიგის შეხედულებებზე. ხოლო ვალიკო ფიქრობდა, რომ მის სიცოცხლეს ჯერ-ჯერობით აზრი გააჩნდა.

## მინიატურები

### მკვლელობა

- იქ... ჩქარა, ჩქარა იქ იცით... არა, არა ეს შეუძლებელია, ეს...

- დაწყნარდით ყმაწვილო, დამშვიდდით და ყველაფერი თანმიმდევრულად მომიყევით - წარმოთქვა მშვიდი ხმით მან, ვისადმიც იყო მიმართული ის გონგაურეველი სიტყვები.

- ო, ეს საშინელებაა, იქ, იქ წამოდით ჩქა...

- დამშვიდდით მეთქი - მრისხანებით გააზავა ხმის ხავერდოვანი ტემბრი მეორემ.

- იქ გვამია - გასაოცრად მშვიდი ხმით წარმოსთქვა პირველმა.



- სად იქ? - ისევ სიმშვიდე დაუბრუნა ტონს მეორემ.

- წამომყევით, გაჩვენებთ.

ერთად მიმავალნი თითქმის სასაცილონი იყვნენ. პირველი მეტად მაღალი და მეტისმეტად გამხდარი იყო, მოუსვენრად დარბოდა წინ და უკან, გარშემო უვლიდა მშვიდად მიმავალ მეორეს და განუწყვეტლივ რაღაცას ელაპარაკებოდა, მაგრამ მისი ლაპარაკიდან ძნელი იყო რაიმე აზრის გამოტანა. პირველისაგან განსხვავებით მეორე დაბალი, ჩასუქებული და ცოტა არ იყოს მოუხეშავი მოხუცი იყო. მთელი გზა სიმშვიდეს ინარჩუნებდა და ყურადღებით უსმენდა პირველის როშვას, იმის შესახებ, თუ როგორ იპოვა მან გვამი. როცა შემთხვევის ადგილამდეც მივიდნენ, შემდეგი სურათი წარმოუდგათ თვალწინ: საშინლად მოკრუნჩხული გვამი გულაღმა ეგდო, დასახიჩრებული კიდურები არაბუნებრივად გაეშალა აქეთ-იქით, თავი ისე ჰქონდა გაჭეჭყილი, რომ გვამის ცნობა შეუძლებელი იყო. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა თითქოს რაღაც ძალიან მძიმე დასცემოდა თავზე და შემდეგ უკვალოდ გამქრალიყო. მეორე გვამს მიუახლოვდა, დაიხარა და ყურადღებით დააკვირდა იმ ადგილას, რასაც ჩვეულებრივ თავს ვუწოდებთ ხოლმე. ბოლოს პირველისკენ წამოვიდა, სახეზე გამარჯვებულის იერი აღბეჭდვოდა და ხელებს გამალებით იფშვნეტდა. "ყველაფერი გასაგებია - თითქოს თავისთვის ჩაიბუტბუტა. უკვე დამშვიდებულ პირველს სახეზე კვლავ მღელვარება აღებეჭდა და ნერვიული ხმით აყვირდა: "რა არის გასაგები? პირიქით ყველაფერი გაუგებარია!" "დამშვიდდით, ყმაწვილო!" - მტკიცე ხმით წარმოსთქვა მეორემანმა. მისმა წყნარმა, ხავერდოვანმა ხმამ საოცრად დამამშვიდებლად იმოქმედა ყმაწვილზე. "ხედავთ ამ კვადრატულ ნაჭდევებს გვამის თავზე? ეს სწორედ იმ საშინელი იარაღის კვალია, ისინი რომ იყენებენ ჩვენს წინააღმდეგ." "ნუთუ ყველაფერი თავიდან დაიწყო?! არა, მე ვეღარ გავუძლებ გამუდმებულ დევნას...არ შემიძლია არა, არა, არა...

ოთახში აუტანელი სიცხე იდგა. ტახტზე ბუზის საკლავი შეიარაღებული, ღიპიანი კაცი იწვა. კაცმა მაგიდას გადახედა, ნელა-ნელა წამოდგა. ბუზის საკლავი შემართა და ნელი ნაბიჯებით დაიძრა. მაგიდამდე ორიოდე ნაბიჯიღა დარჩა, კაცი სულ გაინაბა. "ორივეს ერთად!" - გაიფიქრა მან.

მაგიდაზე მკვდარი ბუზი ეგდო, რომლის გარშემო ორი ჯერ კიდევ არამკვდარი ბუზი დაცოცავდა. ბუზის საკლავმა ჰაერი შხუილით გაკვეთა და... მაგიდაზე უკვე სამი მკვდარი ბუზი გდია.

- ორმოცდასამი - თავისთვის ჩაილაპარაკა კაცმა. ღია ფანჯრიდან გაზაფხულის, თავისუფლების, სიცოცხლის და კიდევ რაღაცის აუტანლად სასიამოვნო სურნელი შემოდიოდა.

### შურისძიება

- რატომ, რატომ მას ხომ არაფერი დაუშავებია?! იგი ხომ ისეთი ნაზი იყო, ისეთი მშვენიერი - მოთქვამდა ქალიშვილის გვამზე დამხობილი მონდი. იქვე შორიახლოს მისი მეგობარი შუნკი იდგა. შუნკი კარგა ხანს ვერ ბედავდა ხმის ამოღებას. ბოლოს მეგობრებისაკენ ნაბიჯი წადგა და წაიჩურჩულა:



- გეყოფა, ცრემლი რომ რამეს შველოდეს მთელი ქვეყანა დაიტბორებოდა.

- ცრემლი რომ რამეს შველოდეს, ამდენი აღარ დაიღვრებოდა, რაც იღვრება.

ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ. ბოლოს მონდიმ თქვა:

- მე ვიცი ვინც ჩაიდინა ეგ. - ეშინოდა სიკვდილის ხსენების.

- მეც ვიცი, მაგრამ ხვდები რა მოჰყვება შურისძიებას?

- ჩემთვის უკვე არაფერს არავითარი აზრი აღარა აქვს - შუნკიმ იცოდა - როდესაც მონდი ასე იღიმებოდა, მისი გადაწყვეტილების შეცვლა აღარავის შეეძლო. მაინც შეეცადა.

- შურისძიება მდაბალი გრძნობაა, მონდი, თანაც აზრი არა აქვს, რადგან იგი თვით წარმოადგენს ახალ ბოროტებას და ხშირად სხვა ბოროტების წყაროსაც. თუ ერთ ბოროტებას ანადგურებს, მის ადგილას სხვა რამდენიმეს წარმოშობს.

- კი არ ანადგურებს, არამედ სჯის მას. იგი ერთ-ერთი უმაღლესი გრძნობაა და მხოლოდ ზნემაღალ ადამიანს ხელეწიფება. - შუნკი მიხვდა, რომ კამათის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და გაჩუმდა.

ორი დღის შემდეგ მეგობრები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

- დადგა შურისძიების დღე - შესძახა მონდიმ მეგობრის დანახვისთანავე, - აი, მოდის!

მოსახვევში კაცი გამოჩნდა. მოდიოდა, რაღაცას ღიღინებდა, ეტყობოდა კარგ ხასიათზე იყო - წადი - ხელი აუქნია მის ირგვლივ მფრინავ ფუტკარს. ფუტკარი არ ეშვებოდა. თავგაბეზრებულმა კაცმა კედელზე მიასრისა აბეზარი მწერი და გზა განაგრძო.

- მონდიიი... - იღრიალა შუნკიმ და კაცისაკენ დაეშვა. ცოტაც და მისი გესლიანი ნესტარი კაცის კანქვეშ შეიჭრა. კაცი ტკივილისაგან დაიგრიხა და გვერდზე გახტა. ნახტომი ძალიან დიდი მოუვიდა, ტროტუარს გადასცდა და... უკანასკნელი რაც მან დაინახა სატვირთო მანქანის არაჩვეულებრივად მძიმე და დიდი ბორბლები იყო.

■ ■ ■

ოთახში ნაცემი პატიმრები შემოიყვანეს. ისინი კვნესით დასხდნენ და გამომძიებელს მიაჩერდნენ.

- თვალი რატომ გაქვს ჩალურჯებული? - ეკითხება გამომძიებელი ერთ-ერთს, - ვინმემ ხომ არ...



- არა, რას ბრძანებთ... კარებს მივარტყი.

- და... წარბზე რა მოგივიდათ? სისხლი გაქვთ შემხმარი? - ახლა მეორეს მიმართა გამომძიებელმა, - ვინმემ ხომ არ...

- არა, არა... ამან რომ კარებს რომ თვალი მიარტყა, მაშინ მეც იმ კარებს... მეორე მხრიდან...

- თქვენ რატომ კოჭლობთ? ვინმემ ხომ არ...

- აი, ამათ კარებს რომ ჯერ თვალი მიარტყეს და მერე რომ იმ კარებს...

- გასაგებია. პანკისში რა გინდოდათ?

- საქეიფოდ წავედით, - პატიმრებმა ჭერში ააცეცეს თვალები.

- მოყევით, როგორ მოხდა ყველაფერი!

- ალყაში მოვხვდით. წინ ჩეჩნები იყვნენ ავტომატებით, მარჯვნიდან ჩეჩნები გვაწვებოდნენ, მარცხნიდანაც ჩეჩნები ტყვიამფრქვევებით... უკან არაბები "მუხებით" მოგვადგნენ... ცაში რუსული "სუები" დაფრინავდნენ... თან ბლოკ-პოსტიდან ფული გამოგვატანეს... რა უნდა გვექნა? რომ არ გვეყიდა ის ხუთასი გრამი ჰეროინი, ახლა ცოცხლებიც არ ვიქნებოდით.

**ჩანართი მოამზადა პაატა ბერიკაშვილმა**

## ბინები

### იყიდება

იყიდება ლეონიძის (კიროვის) ქუჩაზე 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა სათავსოებით ე.წ. "სტალინის სახლში", III სართულზე. 99-80-71

იყიდება 3-ოთახიანი სუფთა ბინა გლდანში, ეკლესიასთან. ფასი 6 000. 30 22 36

იყიდება 3-ოთახიანი სუფთა ბინა დიდი ლოჯიით მაღალ ბელეტაჟზე ვაკეში. წყნეთის ქუჩა № 1. 23 12 22

იყიდება 1-ოთახიანი წინამძღვრიშვილის № 134-ში. 33 15 98

სასწრაფოდ და იაფად იყიდება გარემონტებული 3- და 4-ოთახიანი ბინები ქობულეთში. 65 01 01, 8(99) 56 51 72

იყიდება ან იცვლება კერძო სახლი მიწის ნაკვეთით ყვარლის რაიონის სოფელ გრემიდან. 39 43 73

იყიდება 3-ოთახიანი ბინა, საერთო ფართი 90 კვ.მ. იზოლირებული, მაღალი ჭერით. ლეონიძის და მაჩაბლის კუთხეში. 37 000-ად. 98 24 04

იყიდება 3-ოთახიანი სუფთა ბინა გლდანში, ეკლესიასთან. ფასი 6 000. 30 22 36

იყიდება 3-ოთახიანი სუფთა ბინა დიდი ლოჯიით მაღალ ბელეტაჟზე ვაკეში. წყნეთის ქუჩა № 1. 23 12 22

იყიდება 1-ოთახიანი წინამძღვრიშვილის № 134-ში. 33 15 98

იყიდება არასტანდარტული 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა გურამიშვილის გამზირზე. 2(4). 61 65 04

იყიდება 4-ოთახიანი გარემონტებული ბინა იოსელიანის 37-ში (დოლიძის პარალელურად) მე-14 სართულზე. ფასი შეთანხმებით. 33 76 07

იყიდება არასტანდარტული 3-ოთახიანი (90 კვ.მ. საერთო ფართი, ჭერი 4.5 მ) ბინა ლეონიძისა და მაჩაბლის ქუჩის კუთხეში 3(3) სართულზე. 36 კვ.მ. მანსარდის დაშენების ნებართვით, ტელეფონით, სარდაფით. ფასი 38 000. 98 24 04, 8(99) 27 02 61

იყიდება საკუთარი სახლი ბელეტაჟზე 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, მაღაზიით და პურის საცხობით. შეიძლება განვადებაც. სანზონა, მუხრანის ქ. № 15. 61 86 93

სასწრაფოდ იყიდება 220 კვ/მ 5 ოთახიანი არასტანდარტული ბინა 10(12), 3 დიდი აივნით. სახლში ორი ლიფტია. საწყისი ფასი 37 000 დოლარი. მის: ფანასკერტელის ქ. XI კორპუსი, ტელ: 38-41-15, 899 94 44 84 (თინა ან რომა).

იყიდება საკუთარი 4-ოთახიანი სახლი ბელეტაჟზე, ნაკვეთებით. ხაშურის რაიონში, სოფ. ტეზერში. ფასი 2500. 99 38 02

იყიდება ბინა თემქის დასახლების III მკრ-ში, III კვარტალი. ბ/აირით, რკინის კარით, ელგაყვანილობა, კოსმეტიკური რემონტით. საბაღე ნაკვეთით. 68 28 79

იყიდება ან იცვლება ნაკლებ ფართზე 4-ოთახიანი ბინა დიღმის მასივში 8(9) სართულზე ბ/აირით და ცხელი წყლით, მეტროსთან ახლოს. 52 73 72

იყიდება თუხარელის პროექტის პრივატიზებული 3-ოთახიანი ბინა. საერთო ფართი 117 კვ.მ. 2 ლოჯიით, მაკაგონის პარკეტით, ბ/აირით, ატმორით. 32 82 00, 53 73 99

იყიდება 2-ოთახიანი ყავლაშვილის პროექტის ბინა ნუცუბიძის IV პლატოზე 10(16) სართულზე. ფასი 6000 $. 32 05 48

იყიდება არასტანდარტული 4-ოთახიანი ბინა 1(8) მაღალ ბელეტაჟზე. ს.ფ. 140 კვ.მ. ს/ფასი 45000. ყიფშიძეზე. 23 05 00 საღამოს

იყიდება 1,5-ოთახიანი ბინა რუსთავში და მიწის ნაკვეთი გაჩიანში. ფასი შეთანხმებით. 96 53 15

სასწრაფოდ იყიდება 2-სართულიანი, 6-ოთახიანი სახლი მეტრო "ისანსა" და "სამგორს" შორის. ს/ფ. 12 500 $. 77 46 69, 8(99) 96 26 70 ვასიკო

იყიდება საგურამოს ცენტრში კაპიტალური სახლი. ს/ფ. 184 კვ.მ. დამხმ. 119 კვ.მ. ეზო 1000 კვ.მ. 37 09 13

### მიწის ნაკვეთები

იყიდება 40 კვ.მ.+15 კვ.მ. კომერციული ფართი ვერაზე, რომელიც მუშაობდა მაღაზიად. ს/ფასი 36 000. 8(99) 51 58 54

იყიდება 650 კვ.მ. ნაკვეთი მუხათწყაროში გაზეთ "სოფლის ცხოვრების" აგარაკებზე. ტყეში. გაჭრილი არის ჭა. ფასი შეთანხმებით. 22 25 76

### კომერციული ფართი

სასწრაფოდ იყიდება ნაკვეთი დიდი დიღმის ტერიტორიაზე, მთავარი სამმართველოს უკან, მშენებარე უბანში. 52 98 04

ვიქირავებ კაფე-ბარს ხალხმრავალ ადგილზე. 39 70 41, 8(99) 24 39 26

ვიქირავებ საოფისედ ფართს ხალხმრავალ ადგილზე (1 ოთახს) ქუჩაში გამავალი შესასვლელით. 39 70 41, 8(99) 24 39 26

იყიდება 500 კვ.მ. რესტორანი რუსთაველზე ყველანაირი აღჭურვილობით. 79 90 45

ვიქირავებ ჯიხურს დიღმის ბაზართან მიმდებარე ტერიტორიაზე ან მეტრო გოცირიძესთან. 39 70 41, 8(99) 98 95 18, 8(99) 24 39 26

## ბინები

### ქირა

ვიგირავებ 1000-1500 დოლარის ფარგლებში იზოლირებულ ბინას. ტელ: 897 58 34 04, 897 58 34 00

ქირავდება 1 ოთახი საერთო პირობებით, ტელეფონით 1 ან 2 სტუდენტ გოგონაზე. წინამძღვრიშვილზე. ფასი 100 ლარი. 52 47 75

ვიქირავებ ავტოფარეხს, კარგად დაცულს. 39 70 41, 8(99) 24 39 26, 8(99) 98 95 18

ვიქირავებ საოფისედ 1 ოთახს ქუჩაზე გამავალი შესასვლელით. ხალხმრავალ ადგილზე. ტელეფონით. 39 70 41, 8(99) 24 39 26

ქირავდება 2,5-ოთახიანი ბინა უცხოელებზე, ვერაზე, ფილარმონიასთან. 3(8). ფასი 300. 77 03 95

ვიგირავებ 2- ან 3-ოთახიან კეთილმოწყობილ ბინას ქალაქის ცენტრში 4 000-დან 15 000-მდე. 92 39 68

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა სოლოლაკში ტაბიძეზე. სასურველი იქნება 2 სტუდენტი გოგონა. ფასი 120 $. 98 39 24

გირავდება საკუთარი სახლის 1 ოთახი მეტრო "სამგორთან". 70 81 65

## მანქანები

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში (იხ. ფოტო). ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

ვცვლი BMW-320 6-ცილინდრიანი, 4-კარიანი, იდეალურ მდგომარეობაში ავტომანქანა ნივაზე, ასევე იდეალურ მდგომარეობაში. 29 39 09

იყიდება "ჯიპ-ჩეროკი 4.0" 1989 წლის. სრული ავტომატიკა. საუკეთესო მდგომარეობაში. კონდიციონერით. სრული ელ-პაკეტით. 33 50 51, 8(99) 57 52 74

## სწავლება

კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ინდივიდუალური კურსები: Windows, Word, Excell, Internet, E-mail - 60 ლარი. პროფესიული კურსი - 120 ლარი. Photo shop - 80 ლარი . Pagemaker - 60 ლარი. Adobe-premier - 200 ლარი

მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908. 25-35-48, 23-53-69, (899) 551504

ვამზადებ ევროპულ კერძებს. ვიმუშავებ სასტუმროში ან უცხოელებთან. 79 65 33

მოვამზადებ მათემატიკაში. 79 87 40

მოვამზადებ გერმანულში. 79 87 40

მოვამზადებ გერმანულ ენაში. ვმუშაობ ინსტიტუტში, მაქვს გამოცდილება. 96 76 46

მოვამზადებ ინგლისურში. 53 83 75

ფრანგული ენის სპეციალისტი მოამზადებს მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს. ფასი შეთანხმებით. 69 25 75

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ფრანგულ ენაში. 62 24 27 ან 62 28 15

მოვამზადებ გერმანულში. ფასი 20 ლარი. 32 89 70

მოვამზადებ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მათემატიკაში. 34 42 78

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს და აბიტურიენტებს ქიმიასა და ბიოლოგიაში შეღავათიან ფასებში. ბინაზე მისვლით. 35 49 83 ლალი

ვამზადებ ფრანგულში. 33 12 05

მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მოამზადებს ქიმია-ბიოლოგიაში, რუსულ და ქართულ ენებში იაფად. 77 84 11

ვამზადებ იტალიურ კერძებს. ვიმუშავებ სასტუმროში ან უცხოელებთან. 79 65 33

მოვამზადებ გერმანულ ენაში. 96 76 46

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ინგლისურ ენაში ყველა სახის მეთოდით. ფასი შეთანხმებით. 69 25 75

ვასწავლი ნებისმიერი ასაკის მსურველს ესპანურ ენას, ასევე ვთარგმნი ესპანურიდან ქართულზე და პირიქით. 61 00 84, 8(99) 94 84 85

იყიდება ავტოფარეხი. კანდელაკის ქ. № 10. 38 04 59

მოვამზადებ გერმანულ ენაში. 30 99 01 ნინო

ვასწავლი რუსულ ენას, შესაძლებელია ბინაზე მისვლა. 53 05 74 (20 სთ-ის შემდეგ)

უმაღლესი სასწავლებლის ლექტორი მოამზადებს ნებისმიერ მსურველს ბინაზე მისვლით. 79 41 06

ვამზადებ ინგლისურ ენაში. ფასი შეთანხმებით. 98 39 24

მოვამზადებ აბიტურიენტებს გეოგრაფიაში და ბიოლოგიაში სახელმწიფო და სამედიცინო უნივერსიტეტის პროგრამით. სარაჯიშვილის № 14. 93 88 22, 99 08 31

სკოლის მოსწავლეე ბს შევასწავლი ინგლისურს საფუძვლიანად, შეღავათიან ფასებში. ბინაზე მისვლითაც. 96 04 31 შორენა

## სხვადასხვა

შევიძენ სხვადასხვა მოცულობის თერმოპლასტავტომატს. 52 88 09

სკოლის მოსწავლეებს შევასწავლი ინგლისურს საფუძვლიანად, შეღავათიან ფასებში. ბინაზე მისვლითაც. 96 04 31 შორენა

- პარკეტი გემბანური;
- პარკეტის გერმანული აქსესუარები.
ტელ: 333560
8(77) 739129

კერძო საბავშვო ბაღი (ქართული, რუსული) მთაწმინდაზე. ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო.
ტელ: 23-25-14. საღამოს

დაგიმზადებთ ხის კარ-ფანჯარას, შიდა კიბეს, კარადებს ხარისხიანად და შეღავათიან ფასებში. 22 82 26, 8(99) 51 28 44

იყიდება ბროლის ჭაღი, მაგიდა და 6 რბილი სკამი. 22 59 55

ვიმუშავებ დამლაგებლად. 76 03 59

იყიდება სახაჭაპურე ღუმელი, გაზზე მომუშავე. 98 61 02, 79 87 90 ვლადიმერი

იყიდება საწოლი და გარდერობი. 200 ლ. საკერავი მანქანა ჩაიკა. 70 ლ. 30 08 34

იყიდება რკინის წყლის ბაკი 1000-ლიტრიანი. 30 08 34

დაგიმზადებთ ავეჯს, საწერ მაგიდას, წიგნის თაროებს, სამზარეულოს, გარდერობს. იაფად. 77 04 23, 74 03 48

შევიძენ სხვადასხვა მოცულობის თერმოპლასტავტომატს. 52 88 09

დაგიმზადებთ ხის კარ-ფანჯარას, შიდა კიბეს, კარადებს ხარისხიანად და შეღავათიან ფასებში. 22 82 26, 8(99) 51 28 44

იყიდება კაკლის ხის საძინებელი "ველენსე", მუხის ხის ტახტი და მაცივარი. 61 30 55

იყიდება წიგნების კარადა. 61 65 04

მოვუვლი ბავშვს. 8(97) 57 47 46

იყიდება ავტოსამრეცხაოებისათვის ცივი და ცხელი წყლის გერმანული წარმოების ავტოსამრეცხაო დანადგარი. ფასი 1 200. 76 73 51, 8(99) 55 85 73

იყიდება გერმანული ველოტრენაჟორი პედლით, სპიდომეტრით და დატვირთვებით. ფასი 150. 76 73 51, 8(99) 55 85 73

იყიდება ასაწყობი ოდა წაბლის ხის მასალის. 8(99) 23 89 74

ნოთ, დავითაშვილის I ჩიხი № 7. 92 18 71 მელიქიანი ალუნიკა

ვისესხებ 1000 დოლარს 100 ლარზე 10 ლარის გადახდით. 37 48 58

იყიდება ვიდეოკამერა პანასონიკი "M-3500". 57 25 24, 8(99) 97 25 24

ყიდება ახალი, ჩეხური წარმოების ბროლის ჭაღი. ფასი 220 №. 39 35 80

ვეძებ სამუშაოს მაღალი ანაზღაურებით. სპეციალობით ვარ ავტოინჟინერი და მშენებელ-ინჟინერი. 32 05 48

იყიდება სტომატოლოგიური კაბინეტი "ხირენა" ყველა საჭირო დანადგარებით, ერთად ან ცალ-ცალკე. 22 59 55

ყველაზე იაფად საქართველოში! ოთახების გადაკეთება, ლესვა, ელექტრობა, რემონტი. 8(77) 72 39 41 გივი

იყიდება ელექტროორღანი "იამაჰა" (იაპონია) 2-იარუსიანი კლავიატურით, სხვადასხვა დანიშნულების გადამრთველებით. ფასი 400 $. 99 95 33 გურამი

ვთარგმნი რუსულიდან, გერმანულიდან და ინგლისურიდან ქართულად შეღავათიანად. 75 53 55










## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**დიდი საკონცერტო დარბაზი**

მიუზიკლი "რქიანეთი", წარმოადგენს ანსამბლი "ივერია"
დას: 19:00, ფასი 5-8 ლარი

**თბილისის მუსიკალური ცენტრი**

საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი
"შემოდგომის თბილისი" 2002
თბილისის სიმფონიური ორკესტრი
საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა
თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის ბიჭუნათა გუნდი
სოლისტები, თეა დანელია (სოპრანო), ქატევან ქემოკლიძე (მეცო სოპრანო), გიორგი მახარაძე (ტენორი), გოჩა დათუსანი (ბანი)
მოცარტი, Missa brevis
მოცარტი, რექვიემი
დირიჟორი, ვახტანგ კახიძე
დას: 19:00 სთ

### თეატრები

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო"**

"ჩემი გალაკტიონი", რეჟ. ელდინო სალარაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 3 ლარი

### კინოთეატრები

**„ამირანი"**

"ასტერიქსი და ობელიქსი", მთავარ როლებში: ჟერარ დეპარდიე, მონიკა ბელუჩი
დას: 14:00; 16:00; 20:00 სთ; ფასი: 5,6, ლარი
"ესაუბრე მას", რეჟ. პედრო ალმადოვარი
დას: 18:00; ფასი: 6,7 ლარი

**„რუსთაველი"**

"დიდი გამყინვარება", საბავშვო ანიმაციური ფილმი
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"განსაკუთრებული აზრი" რეჟ. სტივენ სპილბერგი, მთავარ როლში ტომ კრუზი
დას: 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

## სკანდინავიური კროსვორდი






ფეხბურთი

# პრობლემებითა და ახალი ნახევარდაცვით

## საქართველოს ნაკრებს, ჯამარაულთან ერთად, შესაძლოა, ცქიტიშვილიც დააკლდეს

***ისეთი აჟიოტაჟი, როგორიც 12 ოქტომბერს დაგეგმილ, რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ მატჩს ახლავს თან, ქართულ ფეხბურთში, დიდი ხანია, აღარ ყოფილა. შვეიცარიასთან განცდილი მარცხის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა აუცილებლად უნდა მოახდინოს საკუთარი თავის რეაბილიტაცია. ქართველი გულშემატკივარი არასოდეს ყოფილა ისეთი გაბრაზებული, ისეთი შეურაცხყოფილი, როგორიც ახლაა. კიდევ ერთ მარცხს, მით უმეტეს, რუსებთან მატჩში, საქართველო ძნელად შეეგუება.***

აკა ტონია

მატჩამდე მხოლოდ ხუთი დღე დარჩა, პრობლემებმა კი სწორედ ახლა იჩინეს თავი. ჩივაძეს სერიოზული თავსატეხი გაუჩნდა.

რამდენიმე დღის წინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა დაასახელა რვა ლეგიონერი, რომელთა გამოძახებას რუსეთის წინააღმდეგ მატჩში აპირებს. შემდეგ ამ სიას დაემატა პოლონეთის "ამიცაში" მოასპარეზე მამია ჯიქიაც. ლეგიონერების საკითხი თითქოს უკვე გარკვეული იყო, როდესაც გოჩა ჯამარაულს მამა გარდაეცვალა და რუსეთის წინააღმდეგ მისი თამაში თითქმის გამოირიცხა. ჯამარაულის ნაცვლად, ჩივაძემ ნაკრებში ავსტრიული "შტურმის" ნახევარმცველს დავით მუჯირს უხმო. მუჯირი მშვენიერ ფორმაშია და მისი გამოძახება დროულია. "ლივინგსტონის" წინააღმდეგ ჩატარებულ უეფა-ს თასის ორ მატჩში ქართველმა ფეხბურთელმა სამი გოლი გაიტანა.

პარასკევს, მეორე ბუნდესლიგის მე-8 ტურის მატჩში, "ფრაიბურგის" შემადგენლობაში ტრავმის გამო არ უთამაშია ლევან ცქიტიშვილს, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთის წინააღმდეგ მატჩში მისი თამაში ნაკლებად სავარაუდოა. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ ვის უხმობს ჩივაძე ცქიტიშვილის ნაცვლად, მაგრამ ის კი დანამდვილებიდ შეიძლება ითქვას, რომ 12 ოქტომბერს საქართველოს ნაკრებს სრულიად ახალი ნახევარდაცვა ეყოლება: შვეიცარიაში "ცუდი თამაშის" გამო ჩივაძემ აღარ გამოიძახა შუა ხაზის მოთამაშეები გიორგი ქინქლაძე და გიორგი ნემსაძე, მამის გარდაცვალების გამო ვერ ითამაშებს გოჩა ჯამარაული, ლევან ცქიტიშვილის თამაში კი ნაკლებსავარაუდოა. რუსეთთან მატჩში სათამაშოდ გამოძახებულ ფეხბურთელებს შორის ჯერჯერობით მხოლოდ ორი ნახევარმცველია, რომელთაც შვეიცარიის ნაკრებთან შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა: ლევან კობიაშვილი ("ფრაიბურგი") და ალექსანდრე რეხვიაშვილი ("სკონტო").

დანარჩენ ფეხბურთელებს ჩივაძე, სავარაუდოდ, დღეს ან ხვალ დაასახელებს.



გოჩა ჯამარაული



ლევან ცქიტიშვილი

# "რისთვის შევცვალოთ გამარჯვებული შემადგენლობა?"

12 ოქტომბერს, როდესაც საქართველოს ნაკრები რუსებს უმასპინძლებს, ჩვენთვის "ავადსახსენებელი" შვეიცარიის ნაკრები ალბანეთს ესტუმრება. შვეიცარიელთა მთავარმა მწვრთნელმა კობი კუნმა ამ მატჩზე გამოიძახა 20 ფეხბურთელი, რომელთა შორის არც ერთი არ არის "ახალი სახე". საქართველოსთან მატჩის შემდეგ კუნმა არც ერთი ფეხბურთელი არ შეცვალა. "რა აზრი აქვს გამარჯვებული შემადგენლობის შეცვლას?", – განაცხადა შვეიცარიის ნაკრების მეორე მწვრთნელმა მიშელ პონტმა. ცვლილება მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ გუნდის რომელიმე წევრი ალბანეთში გამგზავრებამდე ტრავმას მიიღებს. ამ შემთხვევისთვის შვეიცარიელებს თადარიგში ჰყავთ ფრანგული "სოშოს" ნახევარმცველი ლონფატი.

"ალბანეთში მძიმე მატჩი გველის, მაგრამ ჩვენი ფეხბურთელები კარგ ფორმაში არიან. შევეცდებით, ერთი ქულა მაინც ავიღოთ", - განაცხადა მიშელ პონტმა.

შვეიცარიის ნაკრების შემადგენლობა:

***მეკარეები:***
შტილი ("მიონხენგლადბახი", გერმანია)
ბორერი ("გრასჰოპერსი")
ცუბერბიულერი ("ბაზელი")

***მცველები:***
ბერნერი ("ფრაიბურგი", გერმანია)
ანშო ("ლივერპული", ინგლისი)
მ. იაკინი ("ბაზელი")
ჰაასი ("ბაზელი")
კელერი ("ციურიხი")
მანინი ("ვერდერი", გერმანია)
მაიერი ("მიუნხენ 1860, გერმანია)

***ნახევარმცველები:***
კაბანასი ("გრასჰოპერსი")
კანტალუპი ("ბაზელი")
ე. იაკინი ("ბაზელი")
მიულერი ("ლიონი")
სელესტინი ("მარსელი")
ფოგელი ("ეინდჰოვენი")
ვიკი ("ჰამბურგი", გერმანია)

***თავდამსხმელები:***
შაპუიზა ("იანგ ბოიზი")
ფრაი ("სერვეტი")
ტიური ("სერვეტი")

# მარადონა, მარადონა და ისევ მარადონა

ჩანს, ამ სახელის ხსენება კიდევ დიდი ხნის განმავლობაში მოუწევთ სამართალდამცავებს და სკანდალის მოყვარულ ჟურნალისტებს. პარასკევს, მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას და საყოველთაოდ ცნობილ სკანდალისტს, არგენტინის სასამართლომ 2 წლიანი პირობითი სასჯელი გამოუტანა.

პარასკევს საბოლოოდ დაესვა წერტილი რვა წლის განმავლობაში გაწელილ, გახმაურებულ საქმეს. ერთხელ, 1994 წელს არგენტინელი ჟურნალისტები მარადონას სახლს უდარაჯებდნენ იმ იმედით, რომ რაიმე რეპორტაჟის გაკეთება მოეხერხებინათ. ჩანს, იმ დღეს მარადონა უხასიათოდ გახლდათ, რადგან სახლის წინ მდგომი ჟურნალისტები რომ დაინახა, ხელი პნევმატურ თოფს დაავლო და დაუპატიჟებელ სტუმრებს სროლა დაუწყო. შედეგად, ერთ-ერთი მათგანს, რაულ მოლეონს ტყვია ხელში და მკერდში მოხვდა. მეორე დღესვე დაზარალებულმა მარადონას სასამართლოში უჩივლა. ეს საქმე იმ დღიდან მოყოლებული ირჩევა და როგორც იქნა, წერტილი დაესვა.

აღსანიშნავია, რომ სასამართლომ მარადონას ორწლიანი სასჯელი არ აკმარა - მას, ერთი თვის განმავლობაში, მოლეონისთვის 15 000 დოლარის გადახდა მოუწევს; თავად კი, მომდევნო 10 წლის მანძილზე, წესიერების განსახიერებად უნდა იქცეს, რადგან, თუნდაც ერთი კანონდარღვევის შემთხვევაში, მაშინვე ციხეში უკრავენ თავს.

დაზარალებული ჟურნალისტი მარადონასგან 100 000 დოლარს ითხოვდა. თავის მხრივ, მარადონამაც შეიტანა სასამართლოში აპელაცია - თავს ვიცავდიო. სასამართლომ ორივე მხარის არგუმენტები მოისმინა და გამოიტანა ზემოთხსენებული განაჩენი, რომელმაც ორივე მხარე უკმაყოფილო დატოვა. მარადონას 15 000 დოლარის გადახდა ეძვირა, ჟურნალისტს კი ეცოტავა. როგორც დაზარალებულის ადვოკატი მარსელო ბერმოლენი აცხადებს, ის საქმის გადასინჯვას და საკომპენსაციო თანხის გაზრდას მოითხოვს.



დიეგო მარადონა

REUTERS

მინი-ფეხბურთი

# ქართველების წარმატებული დებიუტი ჩემპიონთა ლიგაში

***მინიფეხბურთში საქართველოს ჩემპიონის, "იბერია 2000"-ის დებიუტი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირში წარმატებული გამოდგა. გუშინ ჩვენმა გუნდმა ლატვიის ჩემპიონი დაამარცხა ანგარიშით 3:0. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი სოლიდური სხვაობის მიუხედავად, თამაში საკმაოდ ნერვიული და დაძაბული გამოდგა.***

მიხეილ აბაიშვილი

დასაწყისშივე სათამაშო უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ და მეტოქე საკუთარ კართან მიაჯაჭვეს. თავიდანვე ნათელი გახდა, რომ ლატვიელები დიდხანს ვერ გაუძლებდნენ "იბერია 2000"-ის გამუდმებულ იერიშებს. ასეც მოხდა: უკვე პირველი ტაიმის მეოთხე წუთზე შეხვედრის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელმა, საქართველოს ნაკრების წევრმა ალიკ სარქისიანმა, ანგარიში გახსნა. მოგეხსენებათ, მინიფეხბურთში ერთბურთიანი უპირატესობა თითქმის არაფერს ნიშნავს. ამიტომაც, ჩვენმა ფეხბურთელებმა გატანილი გოლის შემდეგაც არ გაუშვეს მატჩის სადავეები ხელიდან და განაგრძეს აქტიური თამაში, რასაც 10 წუთში იმავე სარქისიანის კიდევ ერთი გოლი მოჰყვა. პირველი ტაიმი ასეც დასრულდა.

შეხვედრის მეორე ნახევარში თამაშის ხასიათი კარდინალურად შეიცვალა. "იბერია 2000"-ის ფეხბურთელებმა საქმე მოთავებულად ნაადრევად ჩათვალეს და ამის გამო კინაღამ დაისაჯნენ. "ოლიმპის" ფეხბურთელები მომენტს მომენტზე ქმნიდნენ მასპინძელთა კართან და მათ დამაგვირგვინებელ ფაზაში საშემსრულებლო ოსტატობა რომ ჰყოფნოდათ, ძნელი სათქმელია, ვისი გამარჯვებით დასრულდებოდა მატჩი. მასპინძლები დაბნეულობიდან ისევ სარქისიანმა გამოიყვანა: მან დრიბლინგით გაირბინა მთელი მოედანი, გზად რამდენიმე მეტოქეც მოატყუა და ხონჩით მიართვა საგოლე პასი ყოფილ თბილისის დინამოელ გოჩა ჩიქოვანს, რომელსაც კარის აღების გარდა აღარაფერი დარჩენოდა.

### მატჩის შემდეგ

**გელა ინალიშვილი ("იბერია 2000"-ის მთავარი მწვრთნელი):** *"დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს კონტროლის პალატის ხელმძღვანელობას. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ეს გუნდი არსებობს და თბილისში მინიფეხბურთის ასეთი ზეიმი იმართება. რაც შეეხება ლატვიელებთან მატჩს, ჩვენ უფრო დიდი ანგარიშითაც შეგვეძლო მოგება. შედეგით მაინც კმაყოფილი ვარ, მაგრამ თამაშის ხარისხი აუცილებლად უნდა გავაუმჯობესოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დანარჩენ ორ თამაშში განწირულები ვიქნებით."*

**იგორ ბასკაკოვი ("ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი):** *"ჩვენს გუნდში ამჟამად თაობათა ცვლაა, რაც, ჩვენთვის სამწუხაროდ, უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს. ჩვენ ახალი გუნდის ჩამოყალიბების პროცესში ვართ და, მეტწილად, დღეს სწორედ ამის გამო დავმარცხდით. პრინციპში, თქვენმა ერთმა ფეხბურთელმა, ნომერმა შვიდმა (სარქისიანი, რედ.) მარტომ მოგვიგო. მიმაჩნია, რომ ამ ტურნირში "ნორილსკ ნიკელი" გაიმარჯვებს. პორტუგალიელებს და ქართველებს მეორე ადგილისთვის მოუწევთ ბრძოლა."*



კბილაძე შეტევისას

ლატვიელების მთავარი მწვრთნელი არც ისე შორსაა სიმართლისგან. რუსებმა მართლაც ძალიან კარგი გუნდი ჩამოიყვანეს, რაც პირველივე მატჩში დაამტკიცეს კიდეც. "ნორილსკმა" პორტუგალიის ჩემპიონი "ფრეიშეირა" ერთ ამოსუნთქვით, დიდი ძალისხმევის გარეშე, ანგარიშით 4:1 დაამარცხეს. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო რუსი მინი-ფეხბურთელების შესაშური ფიზიკური მომზადება, რაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია სპორტის ამ სახეობაში.

დღეს "ნორილსკი" "ოლიმპს" დაუპირისპირდება, ხოლო ამ შეხვედრის შემდეგ, 20 საათსა და 30 წუთზე, "იბერია 2000"-ის და "ფრეიშეირას" მატჩი დაიწყება.

მოკლედ

**ფეხბურთი.** ლოთარ მათეუსმა განაცხადა, რომ მართლაც განიხილავს მოსკოვის კლუბების "ცსკასა" და "სპარტაკის" წინადადებებს. ეს გუნდები მათეუსს მწვრთნელის პოსტს სთავაზობენ. რუსების დიდი სურვილის მიუხედავად, წარსულში სახელგანთქმულ ფეხბურთელს იტალიისკენ უფრო მიუწევს გული და სერია A-ს რომელიმე კლუბის გაწვრთნა სურს. "დასამალი არაფერია, იტალიური ფეხბურთი უფრო მიზიდავს. თუ სერია A-დან შემოთავაზებას მივიღებ, უყოყმანოდ დავთანხმდები", - განაცხადა მათეუსმა. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინათ მოსკოვის "ცსკას" პრეზიდენტის, ევგენი გინერის მიწვევით, გერმანელი მოსკოვში ჩავიდა, თუმცა, მაშინ ორივე მხარე ამტკიცებდა, რომ ეს ვიზიტი მათეუსის "ცსკას" სათავეში მოსვლასთან არ იყო დაკავშირებული. მწვრთნელის პოსტზე ლოთარ მათეუსის დანიშვნა დონეცკის "შახტარის" ხელმძღვანელობასაც სურდა, მაგრამ უკრაინელებმა უარი მიიღეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** დევიდ ბექჰემი კვლავაც აოცებს საზოგადოებას თავისი ექსტრავაგანტური ვარცხნილობებით. როცა მან თმა გადაიპარსა, საპარიკმახეროებს, ანალოგიური სურვილით, უამრავი ადამიანი მიაწყდა. შემდეგ ფეხბურთელმა თმა გაიზარდა, მსოფლიო ჩემპიონატზე ის კვლავ უცნაური ვარცხნილობით გამოირჩეოდა - ბექჰემი იროკეზების ტომის ინდიელს წააგავდა.



ამბობენ, ბრიტანეთში ახალი მოდა შემოდისო. ძნელი სათქმელია, რა დაერქმევა ვარცხნილობას, რომელსაც ბექჰემი ატარებს, მაგრამ მოდაში კი აუცილებლად შემოვა. ამბობენ, ფეხბურთელმა იმიჯი იმიტომ შეიცვალა, რომ ბავშვებს, რომელთაც იმგვარი ვარცხნილობის გაკეთება უნდოდათ, სკოლიდან რიცხავდნენო.

■ ■ ■

**კალათბურთი.** NBA-ს ლეგენდას, მაიკლ ჯორდანს, როგორც ჩანს, გაქურდვა ემუქრებოდა. როგორც ჩიკაგოს პოლიცია იუწყება, სექტემბრის ბოლოს დააპატიმრეს ამერიკის მოქალაქე იშემ უოკერი. ბინის დათვალიერებისას, უამრავ ყალბ საბუთთან და საბანკო ჩეკთან ერთად უპოვეს, აგრეთვე, ჯორდანის ანგარიშის ნომერი. გამოძიებამ დაადგინა, რომ იშემ უოკერი კალათბურთელის ორეულის ძიებაში იყო, რათა ჯორდანის ანგარიშიდან ფული გამოეტანა. თუ ეჭვმიტანილს დანაშაული დაუმტკიცდა, მას ხანგრძლივი პატიმრობა ელის.

■ ■ ■

**კალათბურთი.** 11 სექტემბერს გაკეთებული ოპერაციიდან 25 დღის შემდეგ, NBA-ს სუპერვარსკვლავი შაკილ ო`ნილი ვარჯიშს შეუდგა. გასულ შაბათ-კვირას ლოს ანჯელესის "ლეიკერსის" ცენტრმა მსუბუქი, სარეაბილიტაციო ვარჯიში ჩაატარა. ო`ნილი იმედოვნებს, რომ 29 ოქტომბერს, სან ანტონიოს "სპურსის" წინააღმდეგ, NBA-ს მორიგი სეზონის სასტარტო მატჩში მიიღებს მონაწილეობას.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** პირველად 1995 წლის შემდეგ, "კრემლის თასის" ფინალში რუსი ჩოგბურთელი არ ითამაშებს. ევგენი კაფელნიკოვის მსგავსად, ასპარეზობას გამოეთიშა რუსთა მთავარი იმედი და ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი მარატ საფინი. ფინალისკენ საფინს გზა გადაუღობა ახალგაზრდა ფრანგმა პოლ ანრი მატიემ.

ჩანს, ფრანგულ ჩოგბურთს ეზრდება ახალი ვარსკვლავი, რომელმაც თავისი სიკაშკაშით, შესაძლოა, გი ფორჟესა და იანიკ ნოასაც აჯობოს. 20 წლის მატიეს ბოლოდროინდელი ასპარეზობა ამის ვარაუდის საფუძველს იძლევა. ფრანგმა ჩოგბურთელმა არნახული პროგრესი განიცადა. სწორედ ამიტომ მისი ATP-ს ტურნირის ნახევარფინალში პირველად გასვლა არავის გაკვირვებია. იქ კი მისგან მარატ საფინის დამარცხებას ნამდვილად არავინ ელოდა.

საფინი, ალბათ, ზედმეტმა თავდაჯერებულობამ დაღუპა, რადგან მატჩამდე რუსული საინფორმაციო წყაროებისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მთავარი ბრძოლა ფინალში მოუწევდა. ეტყობა, რიცხვი "13" თარსია რუსებისთვის, რადგან, როგორც ზემოთაც ვთქვით, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ ტურნირის ფინალში, რომელიც წლეულს მეცამეტედ ტარდება, რუსი ჩოგბურთელი არ ითამაშებს.

■ ■ ■

**კრივი.** უკრაინელმა მოკრივეებმა, ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოებმა, ყოფილ მწვრთნელს, ვლადიმირ ზოლოტარიოვს, ამაგი დაუფასეს. ძმებმა მწვრთნელისთვის, ალბათ, ყველაზე ძვირფასი ნადავლი გაიმეტეს. საქმე ეხება მათ მიერ პროფესიულ რინგზე WBO-ს (ორგანიზაციის) ვერსიით მოპოვებულ მსოფლიო ჩემპიონის ქამარს.



ვლადიმირ ზოლოტარიოვის ხელმძღვანელობით (მას 4 ოქტომბერს 50 წელი შეუსრულდა) ძმებმა კლიჩკოებმა პირველ დიდ წარმატებას სამოყვარულო რინგზე მიაღწიეს.

"ეს საჩემპიონო ქამარი იმ საძირკვლის შედეგია, რომელიც თქვენ ჩაგვიყარეთ", - მწვრთნელისთვის საჩუქრის გადაცემის შემდეგ განაცხადეს კლიჩკოებმა.

■ ■ ■

**სათხილამურო სპორტი.** ლეგენდარული გერმანელი მოთხილამურე ქალი, გუნდა ნიმან-შტირნემანი, თავის სპორტულ კარიერას დასრულებულად თვლის. ხვალ, თავის მშობლიურ ქალაქ ერფურტში, 36 წლის მოთხილამურე გამართავს საგანგებო პრესკონფერენციას, რომელზეც ის კარიერის დასრულების შესახებ განაცხადებს. 24 მაისს გუნდა ნიმანს ქალიშვილი შეეძინა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა 19-გზის მსოფლიოს და სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სპორტიდან წასულიყო. "გუნდამ ვიქტორიას კიდევ ოთხი კვირის განმავლობაში უნდა აჭამოს რძე, რის გამოც, უახლოეს ერთ თვეში, ვარჯიშს ვერ განაახლებს", - განაცხადა ნიმანის მეუღლემ და მენეჯერმა ოლივერ შტირნემანმა. მოთხილამურის მწვრთნელს კლაუს ებერტს კი იმედი აქვს, რომ გუნდა კარიერას მაინც არ დაასრულებს და საუკუნის მოთხილამურე კვლავაც იასპარეზებს გერმანიის ნაკრებში.

■ ■ ■

**ფიგურული სრიალი.** მოციგურავეთა საერთაშორისო ტურნირზე - Campbell's International Figure Skating Classic-ზე, სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ფინალი განმეორდა. ფლორიდაში ახლახან დასრულებულ ტურნირზე, ისევე როგორც XIX ოლიმპიურ თამაშებზე, ვაჟთა შორის თავისუფალ პროგრამაში რუსმა ალექსეი იაგუდინმა გაიმარჯვა. დაცემის მიუხედავად, იაგუდინმა თავის უშუალო მეტოქეს, თანამემამულე ევგენი პლუშენკოს ქულებით მაინც გაუსწრო. იაგუდინი და პლუშენკო სოლტ ლეიკ სიტის თამაშებზეც არკვევდნენ ურთიერთობას, თუმცა, ამ უკანასკნელმა ვერც ფლორიდაში აიღო რევანში. პლუშენკო აქაც ვერცხლს დასჯერდა. მესამეზეა ამერიკელი მაიკლ უეისი. რაც შეეხება ქალებს, ახალი მწვრთნელის, სკოტ უილიამსის ხელმძღვანელობით, პირველად იასპარეზა და გამარჯვება მოიპოვა სოლტ ლეიკ სიტის ბრინჯაოს პრიზიორმა, ნაგანოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანმა და ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონმა ამერიკელმა მიშელ ქვანმა. XIX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ამერიკელმა სარა ჰიუზმა კი მესამე ადგილი დაიკავა. მეორეზეა ენ პატრის მაკდონოუ.



■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** 2006 წლის ტურინის (იტალია) ზამთრის ოლიმპიურ თამაშებამდე ჯერ კიდევ შორია, მაგრამ მასპინძლები, რა ხანია, ტექნიკურ საკითხებს აგვარებენ. ამ მხრივ იტალიელები ყველაზე მეტ ყურადღებას უთმობენ პრესასთან სამომავლო მუშაობას. როგორც ამას წინათ "პრეს-სერვისის" – ოლიმპიური ჯგუფის ხელმძღვანელმა კრისტიანო კარლუტიმ განაცხადა, ტურინში შენდება მთავარი პრესცენტრი. მასში განთავსდება საკომუნიკაციო საშუალებები, ბარები, რესტორნები, მაღაზიები და საპარიკმახეროები. გარდა ამისა, უმსხვილესი საერთაშორისო სააგენტოებისა თუ გამომცემლობებისთვის შენობაში გამოიყოფა 80 დამოუკიდებელი ბოქსი. ჟურნალისტებს ყველანაირ პირობას შეუქმნიან ოლიმპიურ ობიექტებზეც. აქ მათთვის იქნება როგორც სპეციალური ტრიბუნები, ისე კაბინები, კომპიუტერული ტერმინალები, საპრესკონფერენციოები და ფოტოლაბორატორიები. ამასთან, შეიქმნება ახალი ცენტრალიზებული ბეჭდვის სააგენტო "ოლიმპიკ ნიუზ სერვისი", რომელიც ჟურნალისტებს მიაწვდის კომპლექსურ ინფორმაციას ოლიმპიურ სარბიელზე მიმდინარე მოვლენების შესახებ და ინფორმაციათა ქრონიკას.



B1 ასაკი-19, 177/90/60/90



B2



B3



B4



B5



B6

გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს

# მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. [illegible]

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მოგვაკითხეთ მისამართზე

მის ფოტო მოდელი 2002 1 2 3 4 5 6

## TV პროგრამა 7 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 დრაკონთა მომთვინიერებელნი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 "ხალხის პირისპირ"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "ოცნების კოშკები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00 კურიერი
18.20 დრაკონთა მომთვინიერებელი
18.55 სერიალი "ტალღის ქიმზე"
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 "ხალხის პირისპირ"
22.50 კურიერი
00.20 მხ.ფილმი "3000 მილი აღთქმულ მიწამდე"
02.20 კურიერი.
02.30 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
16.00 "ოქროს მართვე"
16.30 "საქართველო და გარესამყარო"
17.00 "რამპა"
17.05 50-50
17.40 დოკ. ფილმი "ჩვენი სახლი"
18.00 "ვესტნიკი"
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "მრავალჟამიერ"
19.05 ვიდეოპატრული
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
20.00 მოამბე
20.30 მინი ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ლიგის გათამაშების საკვალიფიკაციო მატჩი: თბილისის "იბერია" - პორტუგალიის "ფრეიკსერი"
21.55 "დრო და ფული"
22.05 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი"
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 სერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "ორმაგი სიცოცხლე"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
12.00 "მო" განმეორებით
13.30 "არასარეკლამო ათეული" განმეორებით
13.45 "ცენტრი" განმეორებით
14.45 მხ.ფილმი
17.00 "კომედია" მხ.ფ. "მისტერ მაგუ"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 უცნობი
22.45 "პა-სეანსი"
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ზეცა ცეცხლში".
01.40 "ღამურა" მხ.ფ. "მოსული"
03.10 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
21.00 ჯანმრთელობა
21.40 მიზანი
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "ქალები და მამაკაცები"

### ევრიკა

10.00 მსოფლიო სპორტი
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
12.30 მხ. ფილმი "მარიონეტების ცხოვრებიდან"
14.30 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში"
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 ექსტრაორდინალური
20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.40 პირველი ნაბიჯები
21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები
22.30 მუსიკალური პაუზა
22.45, 00.15 მხ. ფილმი "ლოთი"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 ალსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "უკანასკნელ მომენტში"
10.20 მხ.ფ. "კარტუში"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
19.30 ბურთი და მოედანი
20.00 მხ.ფ. "ქეთლოუ"
22.15 მხ.ფ. "ფრთოსანი გველის შურისძიება"
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ბრონქსის ისტორია"
14.00 მხ. ფილმი "სასაცილო გოგონა"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "მოჩვენება და ბნელეთი"
19.20 სპექტრი
21.00 დოკ.ფილმი "მე-20 საუკუნის ყველაზე გახმაურებული დანაშაულები"
21.45 მხ. ფილმი "რობინ ჰუდი"

### მეცხრე არხი

09.00 მუსიკა
09.10 მულტფილმი "ცეროდენა და ნამცეცა"
10.00, 15.00 "დილა"
11.45 მხ. ფილმი "კიდევ ერთი კარგი რამ"

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

13.30 დოკ. სერიალი "პალიტრა - ნიკოლო პუსენი"
14.00 გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი"
14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
14.45 მაცაცერა
16.45 "ტელეპროცესი - ნოე ჟორდანია"
17.45 მულტფილმი "ალექსი" მე-17 სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო"
18.45 "გაიხსენეთ საბჭოთა საქართველო"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 21-ე სერია
20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
21.10 "ტელეპროცესი - ნოე ჟორდანია"
22.00 მუსიკა
22.15 მხ.ფ. "კარიერა"
00.20 მხ.ფ. "სევდიანი ლეგენდა სასალის დედოფალზე"

### აჭარის ტელევიზია

07.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხატვრული ფილმი "ჩარირამა"
10.45 სათავგადასავლო ფილმი "ბიჭუნა ჯუნგლებიდან"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ფილმი-კატასტროფა "კასანდრის ულელტეხილი"
14.20 კომედია "მენავთოგე ქალები"
16,15 მულტფილმი "ტარზანი"
17.40 ფანტასტიკა "სამყაროს შექმნა"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.30 ტელესერიალი "ბანდიტური პეტერბურგი"
20.20 მხატვრული ფილმი "ძველი თოფი"
22.00, 00.00 "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00 დოკუმენტური ფილმი
01.00 დრამა "ბრწყინვალება"
03.30 კომედია "იუმორის მეფეები"
05.00 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

09.00 ანონსი
09.20 "აჩიკუდა"
09.55 "სახლიდან გაუსვლელად"
10.25 მელოდია
11.00 ანიმაცია
11.15 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპ. ტექნიკა
11.45 "ობიექტივი"
12.40 "ბრძოლა წესების გარეშე"
12.55 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი
13.00 დისნეი და მისი მეგობრები
13.20 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
14.00 სპორტი
18.10 პრესა
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
18.45 მელოდია
19.00 "აჩიკუდა"
19.40 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპ. ტექნიკა
20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
21.00 "ლა-ლა-ლა"
21.50 "ბრძოლა წესების გარეშე"
22.25 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
23.00 "კინოკლუბი " - "ლამაზმანები"
00.35 პრესის მიმოხილვა
00.40 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი
00.55 მელოდია
01.10 "სახლიდან გაუსვლელად"
01.40 "ბიორითმი"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия".
09.45 х.ф. "МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ"
11.50 Вести. Дежурная часть.
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 ВЕСТИ.
12.20 "Сказки о любви".
13.20 В "Городке"
13.25 Вести недели
14.30 ВЕСТИ - МОСКВА.
15.20 ВЕСТИ - СПОРТ.
15.25 "Что хочет женщина". Ток-шоу.
16.25 Стань звездой.
17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ".
18.20 "Вера, надежда, любовь".
19.20, 21.35 ВЕСТИ-МОСКВА.
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ".
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 "Владимир Путин. Вечерний разговор". Док. фильм.
22.55 Сериал "ЛИНИЯ ЗАЩИТЫ"
00.05 Вести. Дежурная часть.
00.35 "Дежурный по стране". Михаил Жванецкий.
01.30 "Синемания".
02.00 "Дорожный патруль"

გამომცემლობა «ლოგოს პრესი» წარმოგიდგენთ



შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.